



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



სოხილანი  
სამართლიანობის  
ცენტრი

# კონსტრუქცი, იერარქია და კალაუფლება

თვალთვალის არქიტექტურის სანაგართლო ზედაგხედვებოგა საქართველოში



კონტროლი, იერარქია და ძალაუფლება:  
თვალთვალის არქიტექტურის სასამართლო  
გედამხედველობა საქართველოში



**ევროკავშირი  
საქართველოსთვის**



**სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი**



**საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია**



**საბაბოს კოლეჯი  
ჩუბურაძის ცენტრი**

კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის, „ანგარიშგაღებულ და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“, ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

**კვლევაზე პასუხისმგებელი პირი:** გურამ იმნაძე  
**მკვლევრები:** ლია ჩხეტიანი, თამთა წვერაიძე  
**რედაქტორი:** მედეა იმერლიშვილი  
**ყდის დიზაინი:** როლანდ რაიკი  
**დაკაბადონება:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**ტირაჟი:** 100  
**ISBN:**

ავრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

**ციტირების წესი:** *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლია ჩხეტიანი, თამთა წვერაიძე, „კონტროლი, იერარქია და ძალაუფლება: თვალთვალის არქიტექტურის სასამართლო გე-დამხედველობა საქართველოში“, 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო  
ტელ.: +995 032 2 23 37 06

[www.socialjustice.org.ge](http://www.socialjustice.org.ge)  
[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)  
<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

# სარჩევი

შემოკლებები და განმარტებები .....	7
კვლევის შესახებ.....	10
მეთოდოლოგია.....	14

<b>თავი 1. სასამართლო ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორის მიერ თვალთვალის ღონისძიებების გამოყენებაზე: თეორიული პერსპექტივა ...</b>	<b>17</b>
1.1 შესავალი .....	17
1.2 რატომ არის საჭირო სასამართლო ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორზე? .....	20
1.3 სასამართლო ზედამხედველობის პრაქტიკული ლიმიტები.....	23
1.4 სასამართლო ზედამხედველობის განხორციელების ფორმები .....	25
1.5 სასამართლო ზედამხედველობის შინაარსობრივი ფარგლები .....	27
1.6 სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობა.....	31

<b>თავი 2. სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლო ზედამხედველობა .....</b>	<b>33</b>
2.1 შესავალი .....	33
2.2 ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები .....	34
2.3 დანაშაულები, რომლებზეც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება .....	36
2.4 ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი სუბიექტების წრე.....	39
2.5 ფარული საგამოძიებო მოქმედებების სამიზნე პირები .....	40
2.6 ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცედურა და მისი კონტროლი.....	42
2.7 ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ეტაპები და ვადები .....	47
2.8 ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ შეტყობინება და გასაჩივრების მექანიზმები .....	52
2.9 ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობა, შენახვა და განადგურება.....	56
2.10 ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობა.....	59
2.11 სტატისტიკურ მონაცემებში გამოკვეთილი ტენდენციები.....	65
2.12 შეჯამება .....	78

<b>თავი 3. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ სპეციალურ ღონისძიებებზე სასამართლო კონტროლი .....</b>	<b>81</b>
3.1. შესავალი .....	81
3.2. სპეციალური ღონისძიებების სახეები .....	82
3.3. სპეციალური ღონისძიებების განმახორციელებელი სუბიექტები .....	88
3.4. სპეციალური სამსახურების კომპეტენციები და უფლებამოსილებების დუბლირების პრობლემა .....	90
3.5. სპეციალური ღონისძიებების სამიზნე ობიექტები .....	94
3.6. სპეციალური ღონისძიებების ჩატარების პროცედურა და სასამართლო კონტროლი .....	97
3.7. სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა .....	104
3.8. შეჯამება .....	108
<b>დასკვნა .....</b>	<b>111</b>
<b>რეკომენდაციები .....</b>	<b>114</b>

## შემოკლებები და განმარტებები

**თვალთვალის ღონისძიებები** – კვლევის ავტორების სტილისტური გადაწყვეტილებით შერჩეული კრებითი ტერმინი, რომელშიც იგულისხმება მოქალაქის მიმართ სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოძიების ან/და კონტრდაზვერვის მიზნით განხორციელებული ფარული მეთვალყურეობის ყველა ღონისძიება.

**ფარული საგამოძიებო მოქმედებები** – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოიყენება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიზნით. მისი სახეები გათვალისწინებულია სსსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლით.

**სპეციალური ღონისძიებები** – „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის“ მე-9 მუხლით გათვალისწინებული ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც სპეციალური სამსახურების მიერ გამოიყენება კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელების მიზნით.

**ოპერატიული ღონისძიებები** – კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ღია ან/და ფარული მეთოდებით განხორციელებული სპეციალური ღონისძიებები. მისი სახეები კანონით განსაზღვრული არ არის.

**ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები** – კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მისი სახეები განსაზღვრულია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის“ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით.

**ზედამხედველი მოსამართლე** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც ზედამხედველობს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების განხორციელებას.

**საქმის განმხილველი მოსამართლე (მოსამართლე)** – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით, ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს და ზედამხედველობს საქ-

მესთან დაკავშირებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას.

**ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (სააგენტო)** – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) შემადგენლობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ექსკლუზიურად უფლებამოსილია, ჩაატაროს სსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება და იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები.

**სპეციალური სამსახურები** – საქართველოს ხელისუფლების სპეციალური ორგანოები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ კონტრდაზვერვით საქმიანობას.

**ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანო** – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლისა და გენერალური პროკურორის ბრძანებით განსაზღვრული, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების უფლებამოსილების მქონე ორგანოები არიან: შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს), თავდაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს), სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პროკურატურის საგამოძიებო ქვედანაყოფების გამომძიებლები. შესაბამისად, ამ ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება, განახორციელონ ის ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებსაც ექსკლუზიურად არ ახორციელებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (143<sup>1</sup>-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები).

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს)** – სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კონტექსტში, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანო; კონტრდაზვერვითი საქმიანობის კონტექსტში, სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია კონტრდაზვერვითი საქმიანობის კოორდინაციაზე და სუს-ის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეული არის კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალური სამსახური.

**შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)** – გარდა გენერალური პროკურორის ბრძანებით განსაზღვრული სპეციალური წესებისა, ჩვეულებრივ, სისხლის სა-



მართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის კონტექსტში, შსს-ის სტრუქტურული ერთეულები – გენერალური ინსპექცია, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი და სასაზღვრო პოლიცია – წარმოადგენენ სპეციალურ სამსახურებს.

**პროკურორი** – სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაწყების, შეჩერების, შეწყვეტისა და გაგრძელების თაობაზე.

**განჩინება** – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**ბრძანება** – ზედამხედველი მოსამართლის ნებართვა ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**შუამდგომლობა** – პროკურორის მიმართვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან ზედამხედველი მოსამართლისადმი ფარული საგამოძიებო მოქმედების/სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

## კვლევის შესახებ

დემოკრატიულ სახელმწიფოში უსაფრთხოების ინსტიტუტები ორლესული მახვილის ფუნქციას ასრულებენ. ერთი მხრივ, მათი ეფექტიანი საქმიანობა ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილური განვითარების საფუძველია. მეორე მხრივ, ზედამხედველობის სუსტი მექანიზმებისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობის პირობებში, მკვეთრად იზრდება რისკი, რომ უსაფრთხოების სამსახურების განკარგულებაში არსებული თვალთვალის ინსტრუმენტები პოლიტიკური ოპონენტების შევიწროებისა და ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის ინსტრუმენტად იქცევა. ამგვარი საფრთხეების მიმართ განსაკუთრებით მონყვლადნი არიან დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი სახელმწიფოები, სადაც ინსტიტუტები არ არიან საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა კანონიერების ფარგლებში მოაქციონ და ინსტიტუციური მიუკერძოებლობა შეინარჩუნონ. საქართველოში უკანასკნელ წლებში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და მათში უსაფრთხოების სამსახურების მზარდი ჩართულობა აჩვენებს, რომ ქვეყანა სწორედ ამ საფრთხის წინაშეა და „თვალთვალის სახელმწიფოდ“<sup>1</sup> ჩამოყალიბების გზაზე დგას.

საქართველოში უსაფრთხოების სექტორის, კერძოდ კი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ხელში არსებული ჭარბი ძალაუფლება შეუთავსებელია ქვეყნის დემოკრატიულ მისწრაფებებთან. სუს-ზე საპარლამენტო და სამოქალაქო ზედამხედველობა სუსტად ვრცელდება და მისი საქმიანობა საზოგადოებაში ანგარიშვალდებულების კრიტიკულ დეფიციტსა და დახურულობასთან ასოცირდება. პოლიტიკური პირების, მედიის, აქტივისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ მასობრივი მიყურადების, პირადი ცხოვრების ფაქტებით შანტაჟისა და ამგვარი საქმეების სისტემური გამოუძიებლობის შემთხვევები სუს-ის საქმიანობის კანონიერებასა და ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს და ხელისუფლების მიერ მის ინსტრუმენტალიზებაზე მიუთითებს.

მაგალითად, 2021 წლის სექტემბერში მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია 2013–2021 წლებში, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონო თვალთვალის შედეგად შეგროვებული 55 000-მდე ფაილის, ე.წ. „კრებსების“ შესახებ, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, აქტივისტების,

---

1 Wegge, N. (2017). Intelligence Oversight and the Security of the State. *International Journal of Intelligence and CounterIntelligence*, 30 (4), 687–700.

რელიგიური პირების, დიპლომატებისა და ჟურნალისტების პირადი კომუნიკაციების დეტალებს შეიცავდა.<sup>2</sup> ჩანაწერები, რომელთა ავთენტურობა ბევრმა ადამიანმა პირადადაც დაადასტურა, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ იყო შეგროვებული და კერძო კომუნიკაციების მასობრივი თვალთვალის დამკვიდრებულ პრაქტიკაზე მიუთითებდა.<sup>3</sup> 2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა თავად გაავრცელა სამოქალაქო საზოგადოება „კანვასის“ მიერ არაძალადობრივი წინააღმდეგობის ფორმების შესახებ ჩატარებული ლექცია-მოხსენებების ფარულად მოპოვებული ვიდეოჩანაწერები, რომელიც, მათი მტკიცებით, ორგანიზაციის მიერ „დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის“ მოწყობას ისახავდა მიზნად.<sup>4</sup> ორივე საქმე სუს-ის საქმიანობაში პოლიტიკურად აქტიური ჯგუფებისა და საინფორმაციო ოპერაციებით საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიზანს გამოხატავს, რასაც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე ფართომასშტაბიანი „მსუსხავი ზემოქმედება“ აქვს და არსებითად აუარესებს პოლიტიკური თავისუფლების ხარისხს.

ქვეყანაში უსაფრთხოების სამსახურების მიერ თვალთვალის მექანიზმების გამოყენების ძირითადი ორი რეჟიმი არსებობს: გამოძიების (სამართალდაცვითი) და კონტრდაზვერვითი (არასამართალდაცვითი). მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი მიმართულებით უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობა განსხვავებულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებთან არის დაკავშირებული, საქართველოში სუს-ის ინსტიტუციურ მოწყობაში ორივე ეს მიმართულება გაერთიანებულია, რაც ამ ორგანოს ჭარბ ძალაუფლებას ანიჭებს და სხვადასხვა რეჟიმს მიკუთვნებული უფლებამოსილებების აღრევისა და ბოროტად გამოყენების რისკებს ზრდის.

სუს-ის ხელში საგამოძიებო ფუნქციების არსებობასთან დაკავშირებულ რისკებზე ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში გაამახვილა, რომელშიც აღნიშნა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური „პროფესიულად არის დაინტერესებული, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას“, შესაბამისად, გამოძიებაზე პასუხისმგებელ ორგანოს არ უნდა ჰქონდეს თვალთვალის განხორციელების საშუალებებზე

---

2 პუბლიკა (2021). „ომბუდსმენი სავარაუდო უკანონო მიყურადების ფაქტებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/sw3a6qMlh>. განახლებულია: 28.03.2024.

3 ნეტგაზეთი (2022). „მოსმენების საქმეზე დაზარალებულად ცნობას კიდევ 19 ჟურნალისტი ითხოვს“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/kw3swehy>. განახლებულია: 28.03.2024.

4 სოციალური სამართლიანობის ცენტრი (2023). „სუს-ის მხრიდან ტოტალური კონტროლი გრძელდება“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Vw3sexx5>. განახლებულია: 28.03.2024.

ტექნიკური და სამართლებრივი კონტროლი.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი მაშინდელი თვალთვალის მოდელის ჩასანაცვლებლად ახალი სუბიექტი – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო დააფუძნა, მას არ მიანიჭა დამოუკიდებლობისთვის საკმარისი ინსტიტუციური გარანტიები: სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სამართლებრივად და პრაქტიკულად კვლავ სუს-ის მმართველობის სფეროში შედის. ამ უკანასკნელის ხელში საგამოძიებო ფუნქციების არსებობა კი ზრდის სააგენტოს საქმიანობაში ჩარევისა და სასამართლო კონტროლს მიღმა არსებული მასობრივი თვალთვალისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის საფრთხეს.<sup>6</sup>

უსაფრთხოების სექტორის პრობლემური ინსტიტუციური მოწყობისა და სუსტი საპარლამენტო და სამოქალაქო ზედამხედველობის პირობებში, ეფექტიანი სასამართლო ზედამხედველობის როლი უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების მიღწევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ფხიზელი, ეფექტიანი და კომპეტენტური მოსამართლეების მიერ თვალთვალის მექანიზმების გამოყენების კანონიერების, ლეგიტიმურობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასება ყოველ ინდივიდუალურ საქმეში უზრუნველყოფს, რომ უსაფრთხოების სამსახურები ამ მექანიზმებს მხოლოდ გადაუდებელი საჭიროებისა და ადამიანის უფლებების სტანდარტების მკაცრი დაცვით გამოიყენებენ.

საქართველოში კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში წარმოებული თვალთვალის მხოლოდ მცირე ნაწილი (ელექტრონული თვალთვალი) ექვემდებარება სასამართლო ზედამხედველობას. გამოძიების მიზნებისთვის წარმოებული თვალთვალის შემთხვევაში კი, მართალია, მათი წამოწყება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით არის დასაშვები, თუმცა მიმდინარეობის პროცესზე ზედამხედველობა მხოლოდ ფრაგმენტულად და ზედაპირულად ვრცელდება. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ საერთო სასამართლოების მიერ გაცემული ნებართვების პროცენტული წილი საკმაოდ მაღალია (80%-ზე მეტი), რაც, სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, აჩენს წარმოდგენას, რომ მოსამართლეები საკმარისად კრიტიკულად არ აფასებენ უსაფრთხოების სამსახურების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ჭარბად ექვემდებარებიან მათ ზეგავლენას.

---

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/625,640. 2016 წლის 14 აპრილი, პარა. 55.

6 სოციალური სამართლიანობის ცენტრი (2017). „კამპანია „ეს შენ გეხებას“ განცხადება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ინიციატივაზე“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/lw3su15w>. განახლებულია: 28.03.2024.

ეფექტიანი სასამართლო ზედამხედველობის საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა 2022 წლის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, რომლის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა იმ მუხლების რაოდენობა, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა თვალთვალისა და მის შესახებ მოქალაქეებისთვის შეტყობინების ვადები, რაც ერთობლიობაში საგრძნობლად ზრდის ადამიანის უფლებებში არაპროპორციული ჩარევის რისკებს<sup>7</sup>.

ჩამოთვლილი ფაქტორები განაპირობებს საზოგადოებაში არა მარტო უსაფრთხოების სექტორის სანდოობის დაბალ ხარისხს (მაგ., მოსახლეობის 46%-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პოლიტიკური/პარტიული გავლენებისგან თავისუფალი არ ჰგონია<sup>8</sup>), არამედ პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მედიის, პოლიტიკური და სამოქალაქო ჯგუფების საქმიანობის ხარისხსა და თავისუფლებაზე. გარდა ამისა, უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი კრიტიკულად დაბალია,<sup>9</sup> რაც კიდევ უფრო ართულებს ინფორმაციის მოპოვებას არა მხოლოდ უშუალოდ უსაფრთხოების სამსახურების, არამედ მის კონტროლსა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობაზე. შედეგად, უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის შესახებ საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებს მწირი და ზედაპირული ინფორმაცია აქვთ, რაც უარყოფითად აისახება ადამიანის თავისუფლებებსა და პირად ავტონომიაზე, ხელს უწყობს საზოგადოებაში ტოტალური კონტროლის განცდის დამყარებას და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საკითხების მითოლოგიზებას.

წინამდებარე კვლევაში სისტემურად არის გაანალიზებული საქართველოში უსაფრთხოების სამსახურების მიერ თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე სასამართლო ზედამხედველობის დემოკრატიულობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ხარისხი და მის საფუძველზე ჩამოყალიბებულია შესაბამისი სამოქმედო რეკომენდაციები.

---

7 Civil Georgia (2022). პარლამენტმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/487614>. განახლებულია: 28.03.2024.

8 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2022). პირადი და სახელმწიფო უსაფრთხოება: საზოგადოების დამოკიდებულება და აღქმები 2022, 30. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/jw3svZBf>. განახლებულია: 28.03.2024.

9 სოციალური სამართლიანობის ცენტრი (2023). „საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი წლიდან წლამდე უარესდება“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Cw3snvVN>. განახლებულია: 28.03.2024.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის გაანალიზებულია საგამოძიებო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების ფარგლებში მოქალაქეების მიმართ თვალთვალზე სასამართლო ზედამხედველობის მექანიზმები. ნაშრომი გამოყოფს თვალთვალის განხორციელებაზე ზედამხედველობის სამ დამოუკიდებელ ეტაპს: *ex ante*, მიმდინარეობისა და *ex post facto* შეფასების. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში ძირითადი წყაროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI<sup>1</sup> თავი („ფარული საგამოძიებო მოქმედებები“) და „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევებში კვლევა შეეხება უსაფრთხოების სამსახურების ინსტიტუციური მონეობის თავისებურებებსა და შიდა და გარე კონტროლის სხვადასხვა ფორმას, მისი ძირითადი მიზანია, სისტემურად აღწეროს თვალთვალის მექანიზმების გამოყენების მთლიან პროცესზე სასამართლო ზედამხედველობის ეფექტიანობა და შეაფასოს მისი დემოკრატიულობის ხარისხი, კერძოდ, რამდენად შეესაბამება ის შეკავება-განონანსნორების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სტანდარტებს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ემპირიულ სამართლებრივ კვლევას, რომელიც ეყრდნობა კვლევის თვისებრივ მეთოდებს.<sup>10</sup> ნაშრომი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: პირველი – თეორიული ნაწილი, რომელიც გამოყოფს ძირითად პრინციპებს, თეორიულ დათქმებსა და კონცეპტუალურ ელემენტებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საგამოძიებო/კონტრდაზვერვითი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული თვალთვალის ღონისძიებებზე სასამართლო ზედამხედველობის სისტემა. თეორიული ჩარჩო დაფუძნებულია თვალთვალისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებებისა და თვალთვალის სამართლებრივი, სოციო-პოლიტიკური და ეთიკური განზომილებების შესახებ მომზადებულ აკადემიურ ნაშრომებზე. შესაბამისად, თეორიული ჩარჩოს განსაზღვრის მთავარი საშუალებებია სასამართლო პრაქტიკისა და აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა.

---

10 Cane Peter, Kritzer Herbert (2012). The Oxford Handbook of Empirical Legal Research, OUP Oxford, 927.

კვლევის მეორე, ემპირიული, ნაწილი შეისწავლის საქართველოში მოქალაქეების თვალთვალზე სასამართლო ზედამხედველობის ინსტიტუციურ აგებულებას და აფასებს მის შესაბამისობას თეორიული ჩარჩოს ფარგლებში ჩამოყალიბებულ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან. კვლევის ემპირიული ნაწილი ეყრდნობა საკანონმდებლო ჩარჩოსა და მისი პრაქტიკაში აღსრულების ანალიზს.

თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე სასამართლო ზედამხედველობის შესწავლას თან ახლავს მთელი რიგი სირთულეები, რომლებმაც შეაფერხა კვლევის მიზნების სრულყოფილად განხორციელება. პირველ რიგში, ვინაიდან უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის ეფექტიანობა ხშირად დაკავშირებულია მათ გასაიდუმლოებულ ბუნებასთან, მწირია საჭაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია და სახელმწიფო უწყებები ნაკლებად დაინტერესებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. უკანასკნელ წლებში სქართველოში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაუარესებულია და საჭაროდ უწყებები ხშირად ზოგადი სტატისტიკური ინფორმაციის გაცემასაც კი თავს არიდებენ მათ გასაიდუმლოებულ ბუნებაზე მითითების საფუძვლით.<sup>11</sup> აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში ორგანიზაციამ საჭაროდ ინფორმაციის გამოთხოვის წერილებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, პროკურატურას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, თუმცა მონოდებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი იმეორებდა უკვე საჭაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, არ პასუხობდა დასმულ კითხვებს ან უარს ამბობდა მოთხოვნილი ინფორმაციის გაზიარებაზე. გარდა ამისა, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ექსპერტული ინტერვიუს ჩატარების თხოვნით მიმართა ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, თუმცა თხოვნაზე პასუხი ვერ მიიღო. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთ მთავარ შეზღუდვად იქცა პოლიტიკური ინსტიტუტების ნების არარსებობა საჭაროდ ინფორმაციის გაზიარებასა და თანამშრომლობაზე.

ასევე, კვლევის თავდაპირველ ეტაპზე დაგეგმილი იყო ჩალრმავებული ინტერვიუების ჩატარება თვალთვალის მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებული სამსახურებრივი თუ პირადი გამოცდილების მქონე პირებთან, თუმცა რესპონდენტების მოძიების პროცესში წარმოჩნდა, რომ უსაფრთხოების სამსახურების ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომლები, პროკურორები და მოსამართლეები, თავს არიდებენ ამ თემებზე ღიად საუბარს ან მიუთითებენ ინფორმაციაზე წვდო-

---

11 ფაჩულია თამარ (2023). „(არა)საჭაროდ ინფორმაცია: სახელმწიფო უწყებების გაუარესებული ანგარიშვალდებულება“. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/iw3s7nlp>. განახლებულია: 28.03.2024.

მის ნაკლებობაზე საქმიანობის განხორციელების ეტაპზე. რაც შეეხება მოქალაქეებს, მათ თვალთვალის შესახებ ინფორმაცია შეზღუდულად მიეწოდებათ, გასაჩივრების შემთხვევები კი კიდევ უფრო იშვიათია, შესაბამისად, მწირია ამ მიმართულებით უფლებადამცველთა გამოცდილებაც.

ამ სირთულეების მიუხედავად, კანონმდებლობისა და მისი პრაქტიკული აღსრულების შესახებ არსებული წყაროების სისტემური ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, რომ საკმარისი დამაჯერებლობით გამოვლინდეს თვალთვალის განმახორციელებელ ორგანოებზე სასამართლო ზედამხედველობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და დემოკრატიულობის ხარისხი. აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენები შეზღუდვების გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევას არ აქვს უსაფრთხოების მთელ სექტორზე განზოგადების მიზანი.



# თავი 1. სასამართლო ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორის მიერ თვალთვალის ღონისძიებების გამოყენებაზე: თეორიული პერსპექტივა

## 1.1 შესავალი

საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელი ფუნქციაა.<sup>12</sup> უსაფრთხოების ინსტიტუტების მიერ მოქალაქეების მიმართ თვალთვალის ღონისძიებების გამოყენება ამ ფუნქციის შესასრულებლად ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. თვალთვალის გზით ადამიანის უფლებებში ჩარევა ამ ინსტიტუტების საქმიანობის თავისთავადი ნაწილია, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონის უზენაესობის დაცვის საჯარო მიზნებით მართლდება. უსაფრთხოების სექტორის საქმიანობის ეფექტიანობა მოქნილობასა და ფარულობასთან არის დაკავშირებული, თვალთვალის თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომა კი მათ შესაძლებლობებს განსაკუთრებით მძლავრსა და რთულად მოსახელთებელს ხდის. ასეთ პირობებში ამ ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის რისკები მკვეთრად იზრდება. შესაბამისად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებებში თვალთვალის სხვადასხვა მექანიზმით ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შეთავსებადი დემოკრატიული მმართველობის პრინციპებთან, თუ ჩარევის საფუძვლები, ფარგლები და მიზნები კანონმდებლობით მკაფიოდ არის განსაზღვრული, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სტანდარტებს აკმაყოფილებს და დამოუკიდებელი დემოკრატიული ინსტიტუტების მხრიდან ეფექტიან ზედამხედველობას ექვემდებარება.<sup>13</sup>

ამგვარი ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში მაღალია ალბათობა იმისა, რომ უსაფრთხოების სამსახურები არაკანონიერად მოიპოვებენ ადამი-

12 European Commission for Democracy through Law (Venice Commission) (2015). Report on the Democratic Oversight of the Security Services, 4. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/tw3fD1lm>. განახლებულია: 28.03.2024.

13 Miyamoto, I. (2020). Surveillance Technology Challenges Political Culture of Democratic States, 49. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Ew3fKNU8>. ბოლო წვდომა: 28.03.2024.

ანების პირად მონაცემებს და მათ მოქალაქეთა უფლებების მასობრივი დარღვევების, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების გაუმართლებელი შეზღუდვისა და დემოკრატიის ფორმალური და არაფორმალური გარანტიების დაზიანებისთვის გამოიყენებენ. უსაფრთხოების სექტორზე ეფექტიანი დემოკრატიული ზედამხედველობის ნაკლებობა გაუმართლებლად ზრდის არა მხოლოდ უშუალოდ ამ სამსახურების მოქმედების ფარგლებს, არამედ ბიძგს აძლევს არადემოკრატიული მიზნების მქონე პოლიტიკურ აქტორებს, უსაფრთხოების სექტორზე ჭარბი ზეგავლენა მოიპოვონ და ისინი ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით გამოიყენონ.<sup>14</sup>

უსაფრთხოების სამსახურების ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხი და დემოკრატიული ზედამხედველობის სისუსტე ქმნის „თვალთვალის სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების რისკს, სადაც საზოგადოების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი პოლიტიკურად აქტიური სეგმენტი, ტოტალური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ამგვარ საზოგადოებებში, როგორც წესი, ინდივიდუალური თვალთვალი ფარულად და მოქალაქეებისთვის შეუმჩნეველად ხორციელდება. ამავე დროს, თვალთვალის მასობრიობა და მისი ყოვლისმომცველობა მოსახლეობისთვის აშკარაა, რადგან ხელისუფლება პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მოქალაქეების ქცევაზე ზეგავლენის მოსახდენად სისტემურად იყენებს და თვალთვალის საშუალებებს სხვადასხვა სივრცეში განზოგადებული არგუმენტებით (მაგალითად, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, გამოძიების) რუტინულად ათავსებს.<sup>15</sup> კომუნიკაციის არხებისა და ფიზიკური კონტროლის მუდმივი მოლოდინით ცხოვრება ზეგავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროზე. მოქალაქეში ყალიბდება თვითცენზურისა და ზედმეტი სიფრთხილისკენ მიდრეკილება და მცირდება პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის სურვილი. შიშსა და სიფრთხილეში ყოველდღიური ცხოვრება ხელს უწყობს პოლიტიკურად მორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომლის პასიურობა დემოკრატიული ინსტიტუტების გამოფიტვისა და თავისუფალი სივრცეების შეზღუდვისთვის ნოციერ ნიადაგს ქმნის ავტორიტარული ხელისუფლისთვის.<sup>16</sup>

---

14 Harfield, C. (2014). Law, morality and the authorisation of covert police surveillance. *Australian Journal of Human Rights*, 20(2), 134. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Ww3fL4cQ>. განახლებულია: 28.03.2024.

15 Elmer, G. (2013). *Panopticon-Discipline-Control*, 25. K. Ball, K.D. Haggerty and D. Lyon, Routledge Handbook of Surveillance Studies. New York NY: Routledge.

16 Ball, K., Bellanova, R. and Webster, W. (2019). *Surveillance and democracy: sympathies and antagonisms*, 5. K. Ball and W. Webster, *Surveillance and Democracy in Europe*. New York NY: Routledge.

ამ რისკების კონტროლის მიზნით, დემოკრატიულ სახელმწიფოში უსაფრთხოების სამსახურებს ზედამხედველობას ერთდროულად უწევს სხვადასხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტი და სასურველია, რომ ამ პროცესში ხელისუფლების სამივე შტო სხვადასხვა ფორმით იყოს ჩართული.<sup>17</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელია, რომ ზედამხედველი ინსტიტუტები ერთმანეთისგან ფორმალურად და შინაარსობრივად დამოუკიდებელი იყვნენ.<sup>18</sup> აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიული ზედამხედველობის ფარგლები შედარებით შეზღუდულია, რადგან უსაფრთხოების სამსახურები, ჩვეულებრივ, მთავრობის შემადგენლობაში შედიან ან მას უშუალოდ ექვემდებარებიან. უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაზე პარლამენტის ზედამხედველობა დემოკრატიული ზედამხედველობის განხორციელების მთავარი საშუალებაა, თუმცა პარლამენტის წევრები იშვიათად არიან ჩახედულნი უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის დეტალებში. უსაფრთხოების სამსახურების მიერ მოქალაქეთა უფლებებში ჩარევის ღონისძიებებზე განგრძობად, სისტემურ და რუტინულ ზედამხედველობას ინდივიდუალური შემთხვევების შემონმების გზით, ჩვეულებრივ, სასამართლოები ახორციელებენ. კვაზისასამართლო ორგანოები კი, მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ომბუდსმენი, ექსპერტთა კომიტეტი და მსგავსნი, უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის კონკრეტული თემატური ასპექტების ზედამხედველობით არიან დაკავებული.<sup>19</sup>

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციური მონყოლა სახელმწიფოს სუვერენული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და ადგილობრივ ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ვენეციის კომისიის 2015 წლის ანგარიშები უსაფრთხოების სფეროს<sup>20</sup> და სიგნალური

---

17 Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces (2011). *Compilation of Good Practices for Intelligence Agencies and their Oversight*, 23. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1w3gumTf>. განახლებულია: 28.03.2023.

18 Murray, D., Fussey, P., McGregor, L. and Sunkin, M. (2021). *Effective Oversight of Large-Scale Surveillance Activities: A Human Rights Perspective*. *Journal of National Security Law and Policy*, 753. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/bw3gaHWm>. განახლებულია: 28.03.2023.

19 *Compilation of Good Practices for Intelligence Agencies and their Oversight*, 23.

20 European Commission for Democracy through Law (Venice Commission) (2015). *Report on the Democratic Oversight of the Security Services*. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/tw3fD1m>. განახლებულია: 28.03.2024.

თვალთვალის ორგანოების დემოკრატიული ზედამხედველობის შესახებ,<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა დამცველი და კვლევითი ორგანიზაციების მიერ 2007 წელს შემუშავებული ოტავას პრინციპები ადამიანის უფლებებისა და ანტიტერორიზმის შესახებ<sup>22</sup> და 2013 წელს ტშვანეში მიღებული პრინციპები ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის უფლების შესახებ,<sup>23</sup> ასევე ამ თემაზე შექმნილი მრავალფეროვანი აკადემიური ლიტერატურა იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩამოყალიბდეს ზოგადი თეორიული ჩარჩო, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების სამსახურების მიერ მოქალაქეთა თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე სასამართლოს ეფექტიანი და დემოკრატიული ზედამხედველობა.<sup>24</sup>

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, თვალთვალის მექანიზმებში იგულისხმება იმ ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უსაფრთხოების სამსახურების მიერ მოქალაქეების პერსონალური მონაცემების ფარულად მოპოვებას ემსახურება.

## 1.2 რატომ არის საჭირო სასამართლო ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორზე?

უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან თვალთვალის შეიძლება ემსახურებოდეს საგამოძიებო და კონტრდაზვერვის მიზნებს.<sup>25</sup> პირველს, ჩვეულებრივ, ახორციელებენ საგამოძიებო ორგანოები (მაგ., პოლიცია) დანაშაულის გამოძიების მიზნით, ხოლო მეორეს – კონტრდაზვერვის სამსახურები ქვეყნის შიდა უსაფრთხოების (მაგ., ტერორიზმის, ექსტრემიზმის, ჰიბრიდული ომის საფრთხეები) დაცვის მიზნით.<sup>26</sup> გამოძიების მიზნებისთვის თვალ-

---

21 European Commission for Democracy through Law (Venice Commission) (2015). Report on the Democratic Oversight of Signals Intelligence Agencies. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/bw3gaHWm>. განახლებულია: 28.03.2024.

22 University of Ottawa Faculty of Law (2007). Ottawa Principles on Anti-terrorism and Human Rights. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ow3gbG0t>. განახლებულია: 28.03.2024.

23 The Global Principles on National Security and the Right to Information (The Tshwane Principles) (2013). ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Qw3gQpTM>. განახლებულია: 28.03.2024.

24 Report on the Democratic Oversight of the Security Services, 7.

25 Office of the High Commissioner for Human Rights (2021). The Right to Privacy in the Digital Age: Report, 14. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Tw3vsfIN>. განახლებულია: 28.03.2024.

26 Malgieri, G. and De Hert, P. (2017). European Human Rights, Criminal Surveillance, and Intelligence Surveillance: Towards 'Good Enough' Oversight, Preferably but Not Necessarily by Judges, 518. D. Gray and S. E. Henderson, eds., The Cambridge Handbook of Surveillance Law. New York, NY: Cambridge University Press.

თვალი ინარმოება კონკრეტულ პირთა წრის მიმართ, ხოლო კონტრდაზვერვის მიზნებისთვის წარმოებულ თვალთვალს, შესაძლოა, არ ჰყავდეს ამგვარი სამიზნე ჯგუფი და „სტრატეგიულ“ მიზნებს ემსახურებოდეს, რაც გულისხმობს, რომ თვალთვალის საფუძველი არა მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის ან საფრთხის რისკი, არამედ უსაფრთხოების, სტრატეგიული და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისთვის რელევანტური ინფორმაციის პროაქტიულად შეგროვება იყოს.<sup>27</sup>

პრაქტიკაში სასამართლო ზედამხედველობას რუტინულად ექვემდებარება მხოლოდ საგამოძიებო მიზნებისთვის წარმოებული თვალთვალი, ხოლო კონტრდაზვერვითი სამსახურების საქმიანობა სასამართლოს მიერ ირიბად ან მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში კონტროლდება.<sup>28</sup> ეს განსხვავება განპირობებულია იმით, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ხასიათი პოლიტიკურია და, სისხლისსამართლებრივი საქმიანობისგან განსხვავებით, სავალდებულოდ არ მიემართება კონკრეტულ სასამართლო პროცესს. კონტრდაზვერვითი ორგანოების საქმიანობისთვის ფარულობისა და მოქნილობის უფრო ფართო ფარგლების მინიჭება დასაშვებია, თუმცა ლეგიტიმურობისა და კანონიერების შესანარჩუნებლად, აუცილებელია, რომ სასამართლო ზედამხედველობა მათ საქმიანობაზეც ვრცელდებოდეს. უსაფრთხოების სამსახურებს აქვთ ბუნებრივი მიდრეკილება საჭიროზე ზედმეტი, „რაც შეიძლება მეტი“,<sup>29</sup> ინფორმაცია მოიპოვონ. თვალთვალის საწარმოებლად სასამართლოს ნებართვის მოპოვების საჭიროება ან მოპოვებული ინფორმაციის კანონიერების მოგვიანებით შემოწმება კი უსაფრთხოების სამსახურებს თვითბოჭვისკენ უბიძგებს და პრევენციულ ფუნქციას ასრულებს, რადგან მოსამართლის დასარწმუნებლად მათ დასაბუთებულობის მინიმალური სტანდარტი უნდა დააკმაყოფილონ. შესაბამისად, კონტრდაზვერვის სამსახურებს მოუწევთ, რომ თვალთვალის მექანიზმები მხოლოდ ისეთ შემთხვევებში გამოიყენონ, როდესაც ის აუცილებელი და უკანასკნელი საშუალებაა ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნების მისაღწევად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პრეცედენტულ საქმეებზე, „Szabo და Vissy უნგრეთის წინააღმდეგ“ და „Klass და სხვები გერმანიის წინააღმდეგ“, ჩამოყალიბებული პრაქტიკით, სასამართლო ზედამხედველო-

---

27 Report on the Democratic Oversight of Signals Intelligence Agencies, 3.

28 European Human Rights, Criminal Surveillance, and Intelligence Surveillance: Towards “Good Enough” Oversight, Preferably but Not Necessarily by Judges, 518.

29 Report on the Democratic Oversight of the Security Services, 13.

ბა ყველა ტიპის თვალთვალზე უნდა ვრცელდებოდეს და მას სპეციალური ექსპერტიზის მქონე მოსამართლე უნდა ახორციელებდეს.<sup>30</sup> საქმეზე, „Klass და სხვები გერმანიის წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებებში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევის ეფექტიანი კონტროლი სასამართლო ხელისუფლებამ უზრუნველყოს მინიმუმ როგორც უფლების დაცვის საბოლოო საშუალება, რადგან „სასამართლო ზედამხედველობა გვთავაზობს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სათანადო პროცედურის დაცვის საუკეთესო გარანტიებს“.<sup>31</sup> კიდევ ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში, „Big Brother Watch და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სასურველია, უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის სისტემის სათავეში სასამართლო ხელისუფლება იდგეს, რომლის გადაწყვეტილებებსაც სავალდებულო ძალა ექნება.<sup>32</sup> ამასთან ერთად, სასამართლო ზედამხედველობა კანონმდებლობაში ხარვეზების გამოვლენის შესაძლებლობასაც იძლევა და პარლამენტს საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებაზე მუშაობისკენაც უბიძგებს.<sup>33</sup>

უსაფრთხოების სფეროზე სასამართლო ზედამხედველობის საჭიროება იმიტაც არის განპირობებული, რომ პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, სასამართლო არ წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანოს, არ არის ჩართული ყოველდღიურ პოლიტიკურ პროცესებში და, შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენასა თუ პოლიტიკურ ინტერესებს ნაკლებად ექვემდებარება.<sup>34</sup> ეს განსაკუთრებით რელევანტურია კრიზისების დროს, როდესაც როგორც აღმასრულებელი, ისე საპარლამენტო ხელისუფლება საზოგადოებრივ გენოლას გრძნობს და ამიტომ მოკლე დროში ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას ცდილობს. ხელისუფლების ამ შტოებისგან განსხვავებით, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, პოლიტიკური გენოლისგან შედარებითი თავისუფლების პირობებში, მიუკერძოებლად, „ცივი გონებით“ და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით შეამომნოს უსაფრთხოების ორგანოების საქმიანობის

---

30 Report on the Democratic Oversight of the Security Services, გვ. 13.

Case of Szabo and Vissy v. Hungary. 37138/14, 40-41. European Court of Human Rights (2016).

31 Case of Klass and Others v. Germany. 5029/71, 55. European Court of Human Rights (1978).

32 Case of Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, 58170/13, 62322/14, 24960/15, 320. European Court of Human Rights (2021).

33 McIntyre, T.J. (2015). Judicial Oversight of Surveillance: The Case of Ireland in Comparative Perspective, 144. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Jw3vpUVA>. განახლებულია: 28.03.2024.

34 Office of the High Commissioner for Human Rights (2021). The Right to Privacy in the Digital Age: Report, 14. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Tw3vsfIN>. განახლებულია: 28.03.2024.

შესაბამისობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სტანდარტებთან.<sup>35</sup>

ამდენად, სასამართლო ზედამხედველობის ფარგლებში, შესაძლებელია შემონიშნოს როგორც თვალთვალის დაწყების ფორმალური კანონიერება, ასევე მისი შინაარსობრივი შესაბამისობა კონსტიტუციურ ნორმებსა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან.

### 1.3 სასამართლო ზედამხედველობის პრაქტიკული ლიმიტები

აღსანიშნავია, რომ თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე სასამართლოს ზედამხედველობა თავისთავად არ წარმოადგენს ეფექტიან დემოკრატიული კონტროლის გარანტიას, რადგან ხშირად მოსამართლეები თვალთვალზე ნებართვებს ფაქტობრივად ავტომატურად გასცემენ და იშვიათად იკვლევენ მათი საჭიროების რეალურ საფუძვლებს.<sup>36</sup> ზედამხედველობის ეფექტიანობას საფრთხეს უქმნის სხვადასხვა შეზღუდვა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საიმისოდ, რომ სასამართლო რეალურად აღიჭურვოს თვალთვალის კანონიერების შემოწმებისთვის საჭირო ინსტრუმენტებით.

მოქალაქეებზე თვალთვალის განხორციელების სანდის, ანუ ნებართვის გაცემის ეტაპზე, სასამართლოს ხშირად ინფორმაცია მხოლოდ ცალმხრივად, უსაფრთხოების სამსახურების პერსპექტივიდან მიეწოდება. ამ ეტაპზე შეჭიბვითობის პრინციპის არარსებობა და სასამართლოსა და უსაფრთხოების სამსახურებს შორის ორმხრივი ურთიერთობა, რომელშიც ჩართული არ არის მოქალაქისა თუ სხვა საზედამხედველო ორგანოს პოტენციურად განსხვავებული პოზიცია, ქმნის საფრთხეს, რომ მოსამართლე თავს შეიკავებს უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის დეტალური გამოკვლევისგან, დაეყრდნობა უსაფრთხოების სამსახურების დასაბუთებას, ზედმეტი სიფრთხილით მოეკიდება მათ მიერ განმარტებულ უსაფრთხოების რისკებს და მომეტებული სიხშირით გასცემს თვალთვალის დაწყების ნებართვებს.<sup>37</sup> ასეთ შემთხვევაში მოსამართლის ზედამხედველობა მხოლოდ ფორმალურ ფუნქციას ასრულებს და ხელს უწყობს უსაფრთხოების სფეროს „სახელმწიფოს შიგნით სახელმწი-

---

35 Judicial Oversight of surveillance: the case of Ireland in comparative perspective, 139.

36 The right to privacy in the digital age, 13.

37 Judicial Oversight of surveillance: the case of Ireland in comparative perspective, 127.

ფოდ“ ჩამოყალიბებას.<sup>38</sup> სწორედ ამიტომ, როგორც შვანეს 2013 წლის პრინციპებშია აღნიშნული, სასურველია, რომ უსაფრთხოების რისკების შინაარსი კანონმდებლობით მეტ-ნაკლები სიზუსტით იყოს განსაზღვრული და მოსამართლეები აღიჭურვონ ისეთი პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, დეტალურად შეაფასონ უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის მიზანშეწონილობა და თვალთვალის ღონისძიებების ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპებთან შესაბამისობა.<sup>39</sup>

გარდა ამისა, თვალთვალის ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე, შესაძლებელია, რომ მოსამართლეებს არ ჰქონდეთ საკმარისი სპეციალიზებული ცოდნა საიმისოდ, რომ ეფექტიანად გამოიკვლიონ თვალთვალის რეალური მასშტაბები და ფარგლები.<sup>40</sup> სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, როდესაც თვალთვალის გზით მოპოვებული მტკიცებულება მოპასუხის მხრიდან შეფასებასაც ექვემდებარება, არსებობს შესაძლებლობა, რომ მოსამართლემ, თვალთვალის ნებართვის მინიჭების შემდგომ ეტაპზე, მოპასუხის მითითებით, უფრო კრიტიკულად გამოიკვლიოს მოპოვებული მტკიცებულების შინაარსი, მოპოვების ფორმა და კანონიერება. ამისგან განსხვავებით, კონტრდაზვერვითი საქმიანობის დროს მოპოვებული ინფორმაცია, რომელთა უმეტესობა ხშირად მხოლოდ „სტრატეგიული“ და „კვლევითი“ ინტერესებით არის შეგროვებული, შედარებით იშვიათად ექვემდებარება დეტალურ შემოწმებას და ამ დროსაც შემოწმების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოსამართლის ტექნიკურ უნარებსა და უსაფრთხოების კონტექსტის სიღრმისეულ ცოდნაზე. ამ რისკის საპასუხოდ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, კანადაში, საფრანგეთში, ესპანეთში, აშშ-სა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კონტრდაზვერვასთან დაკავშირებულ საქმეებს სპეციალიზაციის მქონე მოსამართლეები განიხილავენ.<sup>41</sup> თუმცა, ეს შეიძლება გულისხმობდეს სპეციალიზებული მოსამართლეების იზოლირებას სხვა ტიპის საქმეებისგან და უსაფრთხოების ორგანოებთან მუდმივ რეჟიმში მუშაობას, რაც შეიცავს „ინსტიტუტის მითაცების“<sup>42</sup> რისკებსაც – ზედამხედველმა ორგანომ, შესაძლოა, მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ინსტიტუტთან თვითიდენტიფიცირება განიცადოს და მისი

---

38 Report on the Democratic Oversight of the Security Services, 17.

39 The Tschwane Principles, 4.

40 Effective Oversight of Large-Scale Surveillance Activities: A Human Rights Perspective, 749.

41 Born, H. and Wills, A. (2021). *Overseeing Intelligence Services: A Toolkit*, 96. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Kw3vltun>. განახლებულია: 28.03.2024.

42 Venice Commission Report on the Democratic Oversight of the Security Services, 13.



ინსტიტუციური „მენტალიტეტი“ შეითვისოს.<sup>43</sup> შესაბამისად, სასურველია სასამართლო ზედამხედველობის პროცესში ტექნიკური სპეციალიზაციის მქონე კვაზისასამართლო ორგანოების ჩართვა, რომლებიც არასპეციალიზებულ მოსამართლეებს ზედამხედველობის პროცესში დახმარებას გაუწევენ ან სპეციალიზებული მოსამართლეების აქტიური როტაცია და ჩართვა სხვა ტიპის საქმეებშიც.

## 1.4 სასამართლო ზედამხედველობის განხორციელების ფორმები

თვალთვალის მექანიზმების გამოყენების პროცესზე სასამართლოს ზედამხედველობა სამი ფორმით შეიძლება განხორციელდეს. ეს ფორმებია:

- (1) Ex ante ზედამხედველობა, რომელიც გულისხმობს ნებართვის გაცემას თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე;
- (2) პროცესის მონიტორინგი, რომელიც მოიცავს თვალთვალის მიმდინარეობაზე ზედამხედველობას;
- (3) Ex post ზედამხედველობა, რომელიც გულისხმობს თვალთვალის დასრულების შემდგომ მისი კანონიერების გადამოწმებას.<sup>44</sup>

სამივე ეტაპზე უსაფრთხოების სამსახურები ანგარიშვალდებულნი არიან ინდივიდუალურ შემთხვევაზე მიმავრებული მოსამართლის წინაშე, რაც გულისხმობს მათ ვალდებულებას, ჩააბარონ ახსნა-განმარტება ზედამხედველ ორგანოს საკუთარი საქმიანობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, აიღონ პასუხისმგებლობა დამდგარ შედეგებზე და იკისრონ ბრალეულობა შეცდომების დაშვების შემთხვევაში.<sup>45</sup>

Ex ante კონტროლის ფორმა ძირითადად არის თვალთვალის დაწყებაზე ნებართვის გაცემა. ამ დროს მოსამართლე ამონწმებს თვალთვალის დაწყების კანონიერ და ფაქტობრივ საფუძვლებს და საკუთარ გადანწყვეტილებას შესაბამისი დოკუმენტის ფორმით გამოსცემს. თვალთვალის მიმდინარეობის პროცესში ზედამხედველობის საშუალებაა მოქალაქეების მიერ თვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შეტყობის შემთხვევაში წარმოდგენილი საჩივრების

---

43 Mitnick, B.M. (2011). Capturing 'Capture': Definition and Mechanisms, 36. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/tw3vOhFv>. განახლებულია: 28.03.2024.

44 Venice Commission Report of the Democratic Oversight of the Security Services, 16.

45 იქვე.

განხილვა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება და სასამართლო ზედამხედველობას მხოლოდ რეაქციულ ხასიათს ანიჭებს.<sup>46</sup> შესაბამისად, იდეალურ შემთხვევაში, ამ სტადიაზე ეფექტიანი ზედამხედველობის გასანევად, სასურველია, რომ სასამართლოს უფლება ჰქონდეს, პროაქტიულად (მაგ., საქმეების შემთხვევითი შერჩევის, არაგვემიური კვლევითი ვიზიტის, თემატური გამოძიების და სხვა ფორმით) შეამოწმოს თვალთვალის პროცესის მიმდინარეობა. Ex post ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს სისხლის სამართლის პროცესზე თვალთვალის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერების შეფასების, ასევე, თვალთვალის დასრულების შემდეგ მისი მიზანშეწონილობის შემოწმების გზით.

საქმეზე, "Uzun გერმანიის წინააღმდეგ", ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სასამართლოს უფლება, დაუშვებლად ცნოს თვალთვალის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება, თავისთავად არის თვალთვალზე ზედამხედველობის მნიშვნელოვანი მექანიზმი, თუმცა იგი მიემართება მხოლოდ გამოძიების მიზნებისთვის წარმოებულ თვალთვალს.<sup>47</sup> Ex post ზედამხედველობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია უსაფრთხოების სამსახურების ვალდებულება, თვალთვალის დასრულებიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში მოქალაქეს თვალთვალის შესახებ შეტყობინება გაუგზავნონ.<sup>48</sup> შეტყობინების შემდეგ მოქალაქეს ეძლევა საშუალება, სასამართლოში გაასაჩივროს თვალთვალის კანონიერება და ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ვინაიდან შეტყობინების ვალდებულებას უსაფრთხოების სამსახურები ხშირად არ ასრულებენ, აუცილებელია, სასამართლო ზედამხედველობა უზრუნველყოფდეს როგორც შეტყობინების ვალდებულების შესრულებას, ისე პროაქტიულად ამოწმებდეს დასრულებული თვალთვალის კანონიერებას, რადგან მოსალოდნელია, რომ შეტყობინების შემთხვევაშიც კი, უსაფრთხოების სამსახურების შედარებით გასაიდუმლოებული და დახურული ბუნების გამო მოქალაქეები ამ უფლებით იშვიათად ისარგებლებენ.<sup>49</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო ზედამხედველობა, განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი,

---

46 Effective Oversight of large-scale surveillance activities, 759.

47 Case of Uzun v. Germany. 35623/05, 80. European Court of Human Rights (2010).

48 Ohm, P. (2017). The Surveillance Regulation Toolkit: Thinking beyond Probable Cause, D. Gray and S. E. Henderson. The Cambridge Handbook of Surveillance Law. New York, NY: Cambridge University Press.

49 Eskens, S., Daalen, O. van and van Eijk, N. (2015). Ten standards for oversight and transparency of national intelligence services. Institute for Information Law at the University of Amsterdam, 27. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/rw3VJ9LH>. ბოლო წვდომა: 28.03.2024.

„სტრატეგიული“ თვალთვალის დროს, უნდა ხორციელდებოდეს თვალთვალის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ზედამხედველობის სამივე ფორმა, მათ შორის, ზედამხედველობა უნდა გავრცელდეს ისეთ ტექნიკურ პროცესებზე, როგორცაა, მაგალითად, თვალთვალის ობიექტების შერჩევა, მოპოვებული ინფორმაციის დასახარისხებელი კრიტერიუმების შემუშავება და ამ კრიტერიუმების მიხედვით ინფორმაციის გადარჩევა.<sup>50</sup>

ნებართვის გაცემის და ზედამხედველობის შემდგომი ფაზების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს რისკები, რომლებიც თან ახლავს ერთი და იმავე მოსამართლის მიერ თვალთვალის მთელი პროცესის წარმართვას. მოსამართლე, რომელიც თვალთვალის ნებართვას გასცემს, ზედამხედველობის შემდგომ ეტაპებზე თვალთვალის პროპორციულობის შეფასების დროს ნაკლებად მოტივირებულია კრიტიკულად გადახედოს საკუთარ პირვანდელ შეფასებას. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ნებართვის გამცემი მოსამართლე ზედამხედველობის შემდგომ ეტაპებზე „საკუთარ საშინაო დავალებას თვითონ ასწორებს“.<sup>51</sup> შესაბამისად, კრიტიკულად შეფასების შანსები უფრო მაღალი იქნება, თუ ნებართვის გაცემის, მონიტორინგის და ex post ფაზებს სხვადასხვა მოსამართლე წარმართავს. მეორე მხრივ, ერთი მოსამართლის ზედამხედველობის უპირატესობა ის არის, რომ თვალთვალის სრული პროცესის შესახებ ინფორმაციის ქონა შესაძლებლობა აძლევს მას, სიღრმისეულად გაეცნოს საქმის დეტალებს და სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილებები.<sup>52</sup>

## 1.5 სასამართლო ზედამხედველობის შინაარსობრივი ფარგლები

ოტავას პრინციპების მიხედვით, უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობა უნდა ემსახურებოდეს მათი საქმიანობის მართებულობის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, კანონიერებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.<sup>53</sup> თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში

50 Case of Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, 58170/13, 62322/14, 24960/15, 320. European Court of Human Rights (2021).

51 Venice Commission Report on the Democratic Oversight of the Security Services, 4.

52 Judicial Oversight of surveillance: the case of Ireland in comparative perspective, 142.

53 Ottawa Principles on Anti-terrorism and Human Rights, 7.

ჩარევის საფუძვლები კანონმდებლობით იყოს განსაზღვრული და აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობის მინიმალურ მოთხოვნებს. ეს პირობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლებიდან გამომდინარეობს. მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა ხორცილდება „კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.<sup>54</sup> მე-13 მუხლი კი წარმოშობს ძირითადი უფლების დარღვევის პასუხად „სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების ქონის“ უფლებას.<sup>55</sup> სასამართლო ზედამხედველობის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს:

- ინფორმაციის შეგროვების მიზნებს, ვადებსა და მექანიზმებს;
- იმ ადამიანების წრეს, ვისი მონაცემებიც პოტენციურად შეიძლება შეგროვდეს (მაგალითად, კარგი პრაქტიკაა სპეციალური წრეების – ჟურნალისტების, ადვოკატებისა და სასულიერო პირების – საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების შეზღუდვა);<sup>56</sup>
- უფლებაში ჩარევის დასაბუთების მინიმალურ სტანდარტს;
- თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე ნებართვის გაცემის, გამოყენების მიმდინარეობის მონიტორინგისა და დასრულების შემდეგ მიზანშეწონილობის ან მოქალაქის მიმართვის საფუძველზე მიღებული საჩივრების განხილვის პროცედურებს.<sup>57</sup>

კანონმდებლობით დეტალურად უნდა იყოს განწერილი იმ გადაუდებელი შემთხვევების ხასიათიც, რომელთა დროსაც უსაფრთხოების სამსახურებს უფლება აქვთ, მოსამართლის ნებართვის გარეშე დაიწყონ თვალთვალის პროცესი (რაც მოგვიანებით დაექვემდებარება სასამართლოს მიერ გადახედვას). კანონმდებლობის სიცხადე და ამოწურვადობა ამცირებს ადამიანის უფლებებში შერჩევითი ჩარევის რისკებს და მოქალაქეებში თვალთვალის პოტენციური შესაძლებლობიდან მომდინარე „მსუსხავ ეფექტს“.<sup>58</sup> მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევრო-

---

54 ევროპის საბჭო (1950). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათ დაცვის ევროპული კონვენცია, მე-8 მუხლი.

55 იქვე, მე-13 მუხლი.

56 Compilation of Good Practices for Intelligence Agencies and their Oversight, 23.

57 იქვე, 12.

58 Report on the Democratic Oversight of the Security Services, 25.

პულმა სასამართლომ საქმეებზე, „Weber და Saravia გერმანიის წინააღმდეგ“ და „Huwig საფრანგეთის წინააღმდეგ“, ჩამოაყალიბა მინიმალური კრიტერიუმები სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადებასთან დაკავშირებით, რომლებსაც განჭვრეტადი საკანონმდებლო ჩანაწერი უნდა აკმაყოფილებდეს:

- დანაშაულთა წრე, რომლებზეც დასაშვებია სატელეფონო მოსმენის გამოყენება;
- მოსამართლის ვალდებულება, ბრძანებით მკაფიოდ განსაზღვროს მოქალაქეთა შეზღუდული კატეგორიები, რომლებიც ფარულ მიყურადებას შეიძლება დაექვემდებაროს;
- სატელეფონო მოსმენის მიმდინარეობის მაქსიმალური ხანგრძლივობა და შეზღუდვები;
- მოზოვებული მონაცემების გამოკვლევის, გამოყენების და შენახვის პროცედურა;
- უსაფრთხოების ზომები, რომლებიც მიიღება მონაცემების მესამე პირებთან გაზიარების შემთხვევაში;
- შემთხვევები, როდესაც მონაცემები უნდა წაიშალოს ან ჩანაწერები განადგურდეს.<sup>59</sup>

საკანონმდებლო ჩანაწერი, ასევე, სასურველია, ითვალისწინებდეს თვალთვალის განხორციელების მექანიზმების ამომწურავ ჩამონათვალს და უკანონო თვალთვალის შემთხვევაში მოქალაქისთვის უფლების აღდგენის ფორმებს.<sup>60</sup> ნათელი და ამომწურავი საკანონმდებლო ჩანაწერი მოსამართლეს შესაძლებლობას მისცემს, ზუსტად და ორგანიზებულად შეაფასოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებებისა და ფაქტობრივი მტკიცებულებების შესაბამისობა კანონმდებლობასთან. ამასთანავე, თვალთვალის პროცესის ზედამხედველობისას მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს ზემოქმედებისა და რისკების შეფასების მიდგომით და განსაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს თვალთვალის ღონისძიებები აუცილებლობისა და პროპორციულობის სტანდარტებს. მოსამართლეებმა თითოეულ საქმეში მხედველობაში უნდა მიიღონ თვალთვალის პოტენციური ზეგავლენა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ პროცესებზე და დასაბუთების დროს უსაფრთხოების სამსახურებს მოსთხოვონ ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც

59 Case of Weber and Saravia v. Germany, 54934/00, 94. European Court of Human Rights (2006). Case of Huwig v. France, 11105/84. European Court of Human Rights (1990).

European Human Rights, Criminal Surveillance, and Intelligence Surveillance: Towards 'Good Enough' Oversight, Preferably but Not Necessarily by Judges, 513.

60 Ten standards for oversight and transparency of national intelligence services, 28.

აჩვენებენ, რომ თვალთვალის ღონისძიების გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად.<sup>61</sup>

თვალთვალის მექანიზმების გამოყენების დასაბუთების სტანდარტი პრაქტიკაში უმეტესად გონივრული ეჭვი, სავარაუდო მიზეზი, ან სულაც საკითხის რელევანტურობაა.<sup>62</sup> სხვა სიტყვებით, იმისთვის, რათა უსაფრთხოების სამსახურმა სასამართლოსგან მოქალაქეზე თვალთვალის უფლება მოიპოვოს, მას მიზეზის მხოლოდ მინიმალურ დონეზე დასაბუთება ევალდება. მოქალაქეების თანამედროვე კომუნიკაციის ფორმებისა და თვალთვალის განვითარებული ტექნოლოგიების ფონზე, როდესაც თვალთვალი შედარებით ნაკლები ეკონომიკური რესურსის გამოყენებასთან არის დაკავშირებული, დასაბუთების ეს სტანდარტი უსაფრთხოების სამსახურებს ხშირად შესაძლებლობას აძლევს, რომ წვდომა მოქალაქეების კომუნიკაციის არხებზე სრულად მოიპოვონ (მაგ., კომპიუტერის/მობილურის მეხსიერების ბარათი) და ამ დროს საქმისთვის არასაჭირო ინფორმაციაც შეაგროვონ.<sup>63</sup> ფართო ტექნიკური შესაძლებლობების დამსახურებით, უსაფრთხოების სამსახურები ხშირად „თივის ზვინში ნემსის ძებნის“ პრინციპით მოქმედებენ: კომუნიკაციის არხებიდან დიდი რაოდენობის ინფორმაციას სრულად აგროვებენ და შემდეგ, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაციის საცავებში სასურველ ინფორმაციას კონკრეტული კრიტერიუმებით გამოარჩევენ.<sup>64</sup> სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ტექნიკურად რაც უფრო მარტივდება მოქალაქეების მასობრივი თვალთვალი, სასამართლო მით უფრო მკაცრად უნდა აკონტროლებდეს უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის ფარგლებს.<sup>65</sup> შესაბამისად, დასაბუთების სტანდარტი პერსონალური ინფორმაციის შეგროვებაზე მაღალი უნდა იყოს და მკაცრად მიჰყვებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დადგენილ სიზუსტის სტანდარტს. დეტალიზაციის ხარისხი კიდევ უფრო მაღალი უნდა გახდეს თვალთვალის გაგრძელების მოთხოვნის დასაბუთებისას. ასევე, თვალთვალის ნებართვის გაცემისას მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ მინიმუმაციის პრინციპით და უსაფრთხოების სამსახურებს ზუსტად მიუთითონ, კონკრეტულად რა ტიპის მონაცემები შეაგროვონ და როგორ გაანადგურონ ჭარბი ინფორმაცია. სასამართლო ზე-

---

61 იქვე, 29.

62 The Surveillance Regulation Toolkit: Thinking beyond probable cause, 491.

63 Brown, I., Halperin, M.H., Hayes, B., Scott, B. and Vermeulen, M. (2015). Towards Multilateral Standards for Surveillance Reform, 2. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6w3bdowt>. განახლებულია: 28.03.2024.

64 იქვე.

65 იქვე.

დამხედველობა აგრეთვე უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ თვალთვალის ღონისძიებები გამოძიების მიზნების მისაღწევად გამოიყენებოდეს როგორც უკანასკნელი საშუალება.<sup>66</sup>

რეალური ზედამხედველობის გასაწევად აუცილებელია, რომ ზედამხედველობის ყველა ეტაპზე სასამართლოს სრული წვდომა ჰქონდეს საქმისთვის საჭირო ყველა მასალაზე. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიარი 2015 წლის ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით გარანტირებული უნდა იყოს ზედამხედველობის ინსტიტუტებისთვის ყველა ტიპის ინფორმაციაზე წვდომა, „მათი საიდუმლოების ხარისხის მიუხედავად“, მათ შორის, სასამართლოებისთვის საგამოძიებო ფუნქციების მინიჭების გზით.<sup>67</sup> ამასთანავე, უსაფრთხოების სამსახურებს მოეთხოვებათ „ღია და თანამშრომლური“ დამოკიდებულება ზედამხედველი ორგანოების მიმართ.<sup>68</sup> ამ უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ უსაფრთხოების სამსახურებმა ზედმინვენიტ დეტალურად და ზუსტად აღრიცხონ თავიანთი საქმიანობა ხელმისაწვდომი ფორმით, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ეს ინფორმაცია დაექვემდებაროს სასამართლოს მხრიდან რეალურად გადამოწმებას.<sup>69</sup>

სასამართლო ზედამხედველობა ვრცელდება უსაფრთხოების სამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაციის მართვის პროცესზეც. სასამართლომ უნდა მოიკვლიოს, ამონებენ თუ არა უსაფრთხოების სამსახურები მოპოვებული ინფორმაციის რელევანტურობასა და სისწორეს და უზრუნველყოს, რომ არასწორი ან ზედმეტი ინფორმაცია შესაბამისი პროცედურის დაცვით დროულად წაიშალოს ან განადგურდეს.<sup>70</sup>

## 1.6 სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობა

სასამართლო ზედამხედველობის დემოკრატიულობის ხარისხი არ განისაზღვრება მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურებზე განხორციელებული ზედამ-

66 The Surveillance Regulation Toolkit: Thinking beyond probable cause, 494.

67 Council of Europe Commissioner for Human Rights (2015). Democratic and effective oversight of national security services, 13. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ww3bz3lv>. განახლებულია: 28.03.2024.

68 იქვე.

69 იქვე, 8.

70 Compilation of Good Practices for Intelligence Agencies and their Oversight, 25.

ხედველობის ეფექტიანობით. სასამართლო ასევე ვალდებულია, რომ თვალთვალის მიმდინარეობისა და მასზე ზედამხედველობის შედეგების შესახებ სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას და უზრუნველყოს მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების სათანადო ჩართულობა.<sup>71</sup> ეს შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ზედამხედველობის მეთოდოლოგიის, პერიოდული ანგარიშების, აგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების, თემატური გამოძიებების შედეგებისა და მსგავსი მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნებით.<sup>72</sup>

სასამართლოს გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სასამართლოს, ისე უსაფრთხოების სამსახურების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის, სამართლიანობისა და ადამიანური უსაფრთხოების განცდის ჩამოყალიბებაში. როგორც სასამართლო ზედამხედველობის, ისე უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის მამოძრავებელი ძირითადი პრინციპი გამჭვირვალობა უნდა იყოს, ხოლო ფარულობა – საგამონაკლისო წესი, რომელიც უსაფრთხოების მხოლოდ განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხებს მიემართება. გასაიდუმლოებული ინფორმაციის ხასიათი კი კანონმდებლობით ზუსტად და ამომწურავად უნდა იყოს განმარტებული.<sup>73</sup>

გასაიდუმლოების შემთხვევებშიც, სასამართლოსა და უსაფრთხოების სამსახურებს აქვთ შესაძლებლობა, რომ საზოგადოებას გონივრულობის ფარგლებში დასაშვებად დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ, მაგალითად, სტრატეგიული დეტალების დაშიფვრის გზით, ან ოპერატიული მოქმედებების დასრულების შემდგომ. მოქალაქის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე ინფორმაციის გასაიდუმლოების შესაძლებლობები კანონმდებლობით ზუსტად განეროს; ყოველი ასეთი შემთხვევის არსებობისას კი, როგორც სასამართლომ, ასევე უსაფრთხოების სამსახურებმა მოქალაქეებს ნათლად უნდა დაუსაბუთონ შეზღუდვის მიზნები.<sup>74</sup>

---

71 Effective Oversight of large-scale surveillance activities, 752.

72 Ten Standards for oversight and transparency on national intelligence services, 28.

73 Effective Oversight of large-scale surveillance activities, 743.

74 The Tschwane Principles, 6.



## თავი 2. სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლო ზედამხედველობა

### 2.1 შესავალი

როგორც პირველ თავში აღინიშნა, თვალთვალის ღონისძიებების გამოყენება ემსახურება საგამოძიებო და კონტრდაზვერვით მიზნებს. პირველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საგამოძიებო პროცესი კონკრეტულ დანაშაულსა და მასთან დაკავშირებულ მოქალაქეთა შეზღუდულ წრეს მიემართება, ხოლო თვალთვალის მექანიზმების გამოყენების საბოლოო მიზანი კონკრეტული სასამართლო პროცესისთვის მტკიცებულებების შეგროვებაა. მეორე შემთხვევაში, თვალთვალის მექანიზმების გამოყენება დანაშაულის ფაქტს, როგორც წესი, არ უკავშირდება და ეროვნული უსაფრთხოების დაცვისთვის რელევანტური რისკების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად შეგროვებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიპის საქმიანობა სასამართლო ზედამხედველობას უნდა ექვემდებარებოდეს, მათი პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნება არსებითად განსხვავებულია, ამიტომ მოცემული კვლევა საგამოძიებო და კონტრდაზვერვით რეჟიმებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ანალიზებს.

წინამდებარე თავი შეეხება სისხლისსამართლებრივი მიზნებისთვის თვალთვალის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებას, რომლებსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი „ფარული საგამოძიებო მოქმედებების“ სახელით მოიხსენიებს. კვლევის ამ ნაწილში გაანალიზდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე სასამართლო ზედამხედველობის განმსაზღვრელი კანონმდებლობა, რომლის ძირითადი ნაწილიც განთავსებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI<sup>1</sup> თავში. შემდეგი თავი კი დაეთმობა კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვების სპეციალურ ღონისძიებებზე სასამართლო ზედამხედველობის მომწესრიგებელ კანონმდებლობას, რომლის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონში.

## 2.2 ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც გულისხმობს, რომ საგამოძიებო ორგანოებს სამართალდაცვითი მიზნებისთვის მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული ამ მექანიზმების გამოყენება შეუძლიათ.<sup>75</sup> თვალთვალის ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ კანონმდებლობა განჭვრეტადობის რაც შეიძლება მაღალ სტანდარტს გვთავაზობდეს, რათა მოქალაქეებს წინასწარ შეეძლოთ განსაზღვრა, პოტენციურად რა ფორმებით შეუძლიათ სამართალდამცავ ორგანოებს მათი პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის თვალთვალი.

კანონმდებლობით განსაზღვრულია ექვსი ტიპის ფარული საგამოძიებო მოქმედება. ესენია:

- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
- ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან, რაც ასევე მოიცავს კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაციის უფლებასაც;
- გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა;
- საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი;
- ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა და ფოტოგადაღება;
- ელექტრონული თვალყურის დევნება.<sup>76</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულია ჩამოთვლილი მექანიზმებიდან ზოგიერთის განმარტება. კერძოდ, **სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა** განმარტებულია, როგორც ავტორიზებული კომპანიის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.<sup>77</sup> **ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან** გულისხმობს უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ ელექტრონული კავშირიდან (ელექტრონული ფოსტა), კავშირგაბმულობის ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო ან საინფორმაციო სისტემიდან მიმდინარე, გადაცემული, მიღებული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგ-

---

75 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

76 იქვე.

77 იქვე, მე-3 მუხლის 36-ე ნაწილი.

როვებელი ინფორმაციის მოხსნასა და ფიქსაციას ტექნიკურ ან/და პროგრამულ საშუალებათა გამოყენებით.<sup>78</sup> **ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კომპიუტერული სისტემიდან** კი ნიშნავს უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ კომპიუტერული სისტემიდან გადაცემული, მიღებული, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში მიმდინარე, შევრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნასა და ფიქსაციას ტექნიკურ ან/და პროგრამულ საშუალებათა გამოყენებით.<sup>79</sup> **გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა** განიშარტება, როგორც მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის რეალურ დროში მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრა.<sup>80</sup>

კანონმდებლობით განმარტებული არ არის ისეთი ფარული საგამოძიებო მოქმედებები, როგორცაა: **საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი, ფარული ვიდეო-აუდიოჩანწერა და ფოტოგადაღება და ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებით**. პირველი ორი მოქმედების შინაარსი მეტ-ნაკლებად აღქმადია ჩვეულებრივი მოქალაქისთვის, თუმცა, ბუნდოვანია, რა ტიპის თვალთვალს გულისხმობს ელექტრონული თვალყურის დევნება და რით განსხვავდება ის სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისგან ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით გათვალისწინებული ვიზუალური კონტროლისგან, რომელიც ასევე შეიძლება განხორციელდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.<sup>81</sup>

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა ვიზუალური კონტროლის სასამართლოს განჩინების გარეშე გამოყენების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.<sup>82</sup> მოსარჩელე მხარის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის გარემოება, რომ ვიზუალური კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული საშუალებითაც, რაც „ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში გამოყენებადი ერთ-ერთი ღონისძიების – ელექტრონული თვალყურის დევნების მსგავსი ღონისძიებაა“.<sup>83</sup> შესაბამისად, ბუნდოვანია, ვიზუალურ კონტროლსა და ელექტრონული თვალყურის დევნებას შორის პრაქტიკული განსხვავება რაში

78 იქვე, 33-ე ნაწილი.

79 იქვე, 34-ე ნაწილი.

80 იქვე, 35-ე ნაწილი.

81 „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

82 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/1/1630, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (2023). ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/kajudicial-acts?legal=14894>. განახლებულია: 28.03.2024.

83 იქვე.

მდგომარეობს. ამ განსხვავებების მკვეთრად გამიჯვნა და სისხლის სამართლის კოდექსში ელექტრონული თვალყურის დევნების ნათელი განმარტების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვისთვის, რადგან, კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონული თვალყურის დევნებაზე, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთ ფორმაზე, სასამართლო ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს, განსხვავებით ვიზუალური კონტროლისგან, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ერთ-ერთი ფორმაა და არ ექვემდებარება სასამართლო ზედამხედველობას.

## 2.3 დანაშაულები, რომლებზეც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია იმ საქმეთა ამომწურავი რიგი, რომელთა გამოძიების დროსაც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება. 2022 წლის ივნისის საკანონმდებლო რეფორმამდ<sup>84</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლები ვრცელდებოდა ძირითადად მხოლოდ განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებსა და ნაკლებად მძიმე დანაშაულების შებლუდულ რაოდენობაზე, თუმცა ამ სიას დაემატა ახალი მუხლები, მათ შორის 27 ნაკლებად მძიმე ახალი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავიდან.<sup>85</sup>

84 Civil Georgia (2022). „ვენეციის კომისია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ცვლილებებს აკრიტიკებს“. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/506293>. განახლებულია: 28.03.2024.

85 ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებული (XXI), სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული (XXII), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული (XXIII), საკუთრების წინააღმდეგ მიმართული (XXV), სამწარმო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული (XXVI), ფულად-საკრედიტო სისტემასთან დაკავშირებული (XXVII), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული (XXX), მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული (XXXII), კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ (XXXIII) მიმართული დანაშაულების, ასევე, ნარკოტიკული (XXXIII), კიბერდანაშაულის (XXXV), გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (XXXVI), კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ (XXVII), ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებული (XXVIII), ტერორიზმის (XXXVIII), მმართველობის წესის წინააღმდეგ (XL) და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული (XLVII) დანაშაულების თავებიდან, ასევე, ყველა სახის სამოხელეო დანაშაული (XXXIX).

სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, დანაშაული არის სამი კატეგორიის: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადოდ.

აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებებმა მრავალმხრივი კრიტიკა გამოიწვია. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად მოუწოდეს საქართველოს პრეზიდენტს, საკანონმდებლო პროექტზე ვეტოს დადებისკენ, რადგან ის მნიშვნელოვნად აუარესებდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს.<sup>86</sup> პრეზიდენტმა მართლაც ისარგებლა ვეტოს უფლებით და აღნიშნა, რომ საქართველოში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების პერიოდში მსგავსი კანონი, რომელიც გაუმართლებლად ავიწროებდა ადამიანის უფლებებს, ქვეყანაში არ უნდა მიღებულიყო.<sup>87</sup> საქართველოში ევროკავშირის მაშინდელმა ელჩმა კარლ ჰარცელმა ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის მნიშვნელოვნად ზღუდავდა საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.<sup>88</sup>

ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, საკანონმდებლო ინიციატივის განმარტებითი ბარათი ფარული საგამოძიებო მოქმედებების გაფართოების საფუძვლად მხოლოდ ისეთ ზოგად მიზნებს ასახელებდა, როგორიცაა ტერორიზმი, ჰიბრიდული ომის საფრთხე და ორგანიზებული დანაშაული. განმარტებითი ბარათი სათანადოდ ვერ ხსნიდა, რატომ იყო საჭირო ცვლილებები და, შესაბამისად, ამ მასშტაბის ინტენსიური ჩარევა ადამიანის უფლებებში იმის გათვალისწინებით, რომ ახლად დამატებული დანაშაულები ძირითადად ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.<sup>89</sup> კომისიამ ასევე მიუთითა, რომ ცვლილებები არ იყო დასასაბუთებელი ფაქტობრივი მონაცემებით.<sup>90</sup> ამასთანავე, საკანონმდებლო ორგანოს არ შეუფასებია ადამიანის უფლებებისთვის მოცემული ცვლილებების თანმდევნი რისკები და არ განუხილავს სხვა, ნაკლებად მზღუდავი ალტერნატივები.<sup>91</sup>

86 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (2022). „მოვუწოდებთ პრეზიდენტს ვეტო დაადოს ფარული მიყურადების გაუარესებულ კანონმდებლობას“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/pw3npNxM>. განახლებულია: 28.03.2024.

87 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (2022). „მოვუწოდებთ პრეზიდენტს ვეტო დაადოს ფარული მიყურადების გაუარესებულ კანონმდებლობას“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/pw3npNxM>. განახლებულია: 28.03.2024.


88 Delegation of the European Union to Georgia (2022). „Remarks by Ambassador Carl Hartzell following the amendments to the criminal procedure code“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/jw3nsnvh>. განახლებულია: 28.03.2024.

89 European Commission for Democracy through Law (Venice Commission) (2022). Georgia – Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, 8. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Mw3nfxmR>. განახლებულია: 28.03.2024.

90 იქვე, 9.

91 იქვე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებას, თვალთვალის ღონისძიებები უნდა უკავშირდებოდეს არა მხოლოდ ფორმალურად ჩამოთვლილ დანაშაულებს, არამედ უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმურ მიზნებს, როგორცაა ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უნესრიგობის ან დანაშაულის პრევენცია, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.<sup>92</sup> აგრეთვე, ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება უნდა იყოს აუცილებელი, გადაუდებელი საჭიროებით გამოწვეული, პროპორციული და უკანასკნელი საშუალება, რომელიც გამოიყენება მას შემდეგ, რაც მტკიცებულებების მოპოვება სხვა გზით შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.<sup>93</sup> 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება დანაშაულთა ფართო სპექტრზე ადამიანის უფლებების დარღვევისა და თვითნებობის მომეტებულ რისკს ქმნის და წინააღმდეგობაში მოდის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ამ პრინციპებთან, რადგან არსებული ცვლილებით ფარული საგამოძიებო მოქმედებები არა განსაკუთრებულ, არამედ ორდინალურ საგამოძიებო მექანიზმებად იქცევა.



92 სსსკ, 143<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

93 იქვე, მე-3 და მე-4 ნაწილები.

ამდენად, 2022 წლის რეფორმის შედეგად ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება გავრცელდა დანაშაულთა მრავალფეროვან სპექტრზე, რომლებიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხარისხის, ასევე დანაშაულის სუბიექტისა და სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტითაც.

## 2.4 ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი სუბიექტების წრე

საგამოძიებო პროცესში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებულ გადანაცვებებს პროკურორი იღებს.<sup>94</sup> 143<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების (სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი) განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება პროკურორის მითითებით ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს აქვს.<sup>95</sup> რაც შეეხება დანარჩენ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს (ფარული ვიდეოჩანერა, ფარული აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება, ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებით), მათი განხორციელების უფლება აქვს „ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში“.<sup>96</sup> ამ ორგანოებში იგულისხმებიან შემდეგი უწყებები: იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პროკურატურა.<sup>97</sup> ამ ორგანოებს შორის საგამოძიებო ქვემდებარეობა წესრიგდება საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით.<sup>98</sup> შესაბამისად, თავიანთი პროფესიული უფლებამოსილების ფარგლებში, ამ ორგანოების გამომძიებლებს უფლება აქვთ, რომ ის ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა განხორციელების ექსკლუ-

94 სსსკ, 1433-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

95 სსსკ, მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

96 იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

97 სსსკ, 34-ე მუხლი.

98 საქართველოს გენერალური პროკურორი, ბრძანება №3 „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 2019 წლის 23 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Pw3nk0As>. განახლებულია: 28.03.2024.

ზიური უფლებაც ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს არ არის მიკუთვნებული, თავად განახორციელონ.

აღსანიშნავია, რომ ეს მსჯელობა გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების სისტემური განმარტებიდან, ვინაიდან კანონმდებლობა იყენებს ბუნდოვან და ზოგად ტერმინს – „ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში“. თვალთვალთან დაკავშირებული კანონმდებლობა უნდა გამოირჩეოდეს განსაკუთრებული სიცხადითა და კონკრეტულობით და აღქმადი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისთვის. ამდენად, ნაცვლად ზოგადი ფორმულირებისა, კოდექსი პირდაპირ უნდა ასახელებდეს იმ ორგანოებს, რომლებსაც აქვთ ფარული ვიდეო/აუდიოჩანერის, ფოტოგადაღებისა და ელექტრონული თვალყურის დევნების უფლება.

## 2.5 ფარული საგამოძიებო მოქმედებების სამიზნე პირები

ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროს „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირის“, ანუ იმ ინდივიდის მიმართ, რომლებზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე ის დანაშაული, რომელზეც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენება.<sup>99</sup> გარდა ამისა, ფარული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება გამოიყენებოდეს ისეთი პირის მიმართაც, რომელიც პირდაპირ კომუნიკაციაშია „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფ პირთან“ – იღებს ან გადასცემს მისთვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს მის საკომუნიკაციო საშუალებებს.<sup>100</sup>

ამდენად, ფარული საგამოძიებო მოქმედებები პოტენციურად შეიძლება უფლებამოსილმა ორგანოებმა გამოიყენონ ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, თუ ის პოტენციურად ინფორმაციას აწვდის ან იღებს სავარაუდო ბრალდებულისგან ან იყენებს მის საკომუნიკაციო საშუალებებს. „დასაბუთებული ვარა-

---

99 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

100 იქვე.



უნდის<sup>101</sup> სტანდარტი, რომელიც სავარაუდო ბრალდებულის მიმართ ვრცელდება, ბუნდოვანია, შეეხება თუ არა მასთან დაკავშირებულ სხვა პირებსაც. ამდენად, არაკეთილსინდისიერი გამოყენების პირობებში, არსებობს რისკი, რომ სავარაუდო ბრალდებულთან შესაძლო კავშირის არგუმენტით ფარული საგამოძიებო მოქმედებები გავრცელდეს ადამიანთა საკმაოდ ფართო წრეზე. შესაბამისად, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები განსაკუთრებით ყურადღებით და კრიტიკულად უნდა შეაფასოს იმ შემთხვევაში, თუ თვალთვალის იგვეგმება სავარაუდო დამნაშავესთან კომუნიკაციაში მყოფი სხვა, სავარაუდოდ უდანაშაულო, პირების მიმართ. პროკურორმა „დანაშაულთან კავშირში მყოფი პირის“ სავარაუდო დამნაშავეობის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილებისას, იმავე სტანდარტით, დამატებით უნდა დაასაბუთოს, რომ მოქალაქე სავარაუდოდ კომუნიკაციაშია, ან მის საკომუნიკაციო საშუალებებს იყენებს „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“ და ასევე აჩვენოს, რატომ აქვს ამ კომუნიკაციას არსებითი მნიშვნელობა საქმის გამოძიებისთვის. მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ეს თვითნებობის რისკი და კრიტიკულად შეაფასოს, რამდენად საჭიროა, სავარაუდო ბრალდებულის გარდა, სხვა პირების მიმართაც გამოიყენებოდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებები. ასეთი მკაცრი მიდგომა გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითვე გათვალისწინებული ვალდებულებიდან, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელმა ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა შეზღუდონ იმ კომუნიკაციისა და პირების მონიტორინგი, რომლებსაც დანაშაულთან კავშირი არ აქვთ.<sup>102</sup>

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.<sup>103</sup> ამ საქმიანობაში ჩართული პირების პირადი ცხოვრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში პოლიტიკური თავისუფლების დაც-

101 საერთო მტკიცებულებითი სტანდარტი სსსკ-ით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის, რომელიც გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც საკმარისი იქნებოდა ობიექტური პირისთვის, რომ დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

სსსკ, მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

102 სსსკ, 143<sup>7</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

103 იქვე, 143<sup>8</sup>-ე მუხლის მე-17 ნაწილი.

ვისა და ჯანსაღი დემოკრატიული გარემოს შექმნისთვის. შესაბამისად, მათი დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა დადებითი გადაწყვეტილებაა.

გარდა ამისა, სასულიერო პირის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ეს მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას არ უკავშირდება.<sup>104</sup> ადვოკატის შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია უნდა გაიმიჯნოს ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის შინაარსისგან და ადვოკატის საქმიანობასთან დაკავშირებული შინაარსის შემცველი ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.<sup>105</sup> ამდენად, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურების ვალდებულება მხოლოდ ადვოკატთან მიმართებით არის მითითებული. მსგავსი ჩანაწერის არსებობა სასულიერო პირის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის საქმიანობასთან დაკავშირებითაც მნიშვნელოვანია. რეალურ დროში ზოგიერთი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას (მაგ., სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადება), მოსალოდნელია პირად და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კომუნიკაციის გამიჯვნის პრობლემა წარმოიქმნას, ასევე საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება „შემთხვევით“ მოხვდეს მეთვალყურეობის არეალში. შესაბამისად, აუცილებელია, კანონმდებლობამ სათანადოდ უზასუხოს აკრძალული ინფორმაციის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ამ რისკს.

## 2.6 ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცედურა და მისი კონტროლი

როგორც უკვე აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, რომელიც მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით.<sup>106</sup> მოტივირებული შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს გარემოებებს, რომლებიც ადასტურებს, რომ:

---

104 იქვე, 143<sup>7</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

105 იქვე, 143<sup>7</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

106 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

- (1) გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია კანონით განსაზღვრულ დანაშაულებზე;
- (2) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის დამნაშავეობის შესახებ („დანაშაულთან კავშირში მყოფი პირი“), პირი კომუნიკაციაშია „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფ პირთან“ ან მის საკომუნიკაციო საშუალებებს იყენებს „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“;
- (3) ფარული საგამოძიებო მოქმედება ემსახურება გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას და დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად აუცილებელი, შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა;
- (4) ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას არსებითი მნიშვნელობა ექნება გამოძიებისთვის და მისი მოპოვება შეუძლებელია, ან გაუმართლებლად რთულია სხვა გზით.<sup>107</sup>

გარდა ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, სასურველია, რომ პროკურორის შუამდგომლობა ასევე შეიცავდეს დასაბუთებას, რატომ არის კონკრეტული ფარული საგამოძიებო მოქმედება, სხვა საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით, ყველაზე ეფექტიანი საშუალება გამოძიებისთვის. ეს დასაბუთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი შუამდგომლობით ითხოვს რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ერთდროულად გამოყენებას. ამასთანავე, ვინაიდან ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებაში განსაზღვრული ვადით და კანონმდებლობა მიუთითებს, რომ ვადა უნდა იყოს იმ ხანგრძლივობის, რამდენიც საჭიროა გამოძიების მიზნების მისაღწევად,<sup>108</sup> სასურველია, რომ პროკურორმა შუამდგომლობაში მიუთითოს ვადის დეტალური დასაბუთება და ვადებში განწერილი სავარაუდო გეგმა, რომლის მიხედვითაც ის აპირებს მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენებას გამოძიების მიზნებისთვის.

მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, დახურულ სასამართლო სხდომაზე, გეპირი მოსმენით ან მის გარეშე, და გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე იღებს განჩინების სახით.<sup>109</sup> 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-10 ნაწილში ჩამოთვლილია ის დეტალები, რომლებიც უნდა შედიოდეს

---

107 იქვე, მე-2 ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტები.

108 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

109 იქვე, მე-5 ნაწილი.

მოსამართლის განჩინებაში. მოსამართლემ გარდა ტექნიკური ნაწილების შემოწმებისა, კრიტიკულად უნდა გააანალიზოს პროკურორის შუამდგომლობაში წარმოდგენილი არგუმენტები და შეაფასოს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერება და საჭიროება. ასევე, სასურველია, რომ მოსამართლემ განჩინებაში მიუთითოს დეტალური დასაბუთება, რატომ მიიჩნია/არ მიიჩნია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება საჭიროდ.<sup>110</sup>

შუამდგომლობა დახურულ სხდომაზე განიხილება და არც გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ,<sup>111</sup> შესაბამისად, საქმის მიმდინარეობის პროცესში სამოსამართლო საქმიანობის კრიტიკული შეფასების საშუალებები მეტად მწირია. სწორედ ამიტომ, არსებობს საფრთხე, რომ მოსამართლე შესაძლოა ზედაპირულად მოეკიდოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე კონტროლის ვალდებულებას, ან ზედმეტად მიენდოს პროკურორის დასაბუთებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საგამონაკლისო წესს. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება საქმისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების განადგურება ან დაკარგვა გამოიწვიოს, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება მოსამართლის განჩინების გარეშე, პროკურორის მოტივირებული დადგენილებითაც დაიწყოს. ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში პროკურორმა უნდა მიმართოს შესაბამის სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს გადაუდებელი აუცილებლობა და მიუთითოს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე.<sup>112</sup> მოსამართლე მიღებიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს შუამდგომლობას და იღებს გადაწყვეტილებას გამოყენებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ძალაში დატოვების ან შეწყვეტის შესახებ. ამ პროცედურის განხორციელების პროცესში განსაკუთრებით კარგად იკვეთება რამდენად ენდობა სასამართლო პროკურატორის საქმიანობას და რამდენად კრიტიკულად აფასებს ის პროკურორის გადაწყვეტილებას.

---

110 სსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-10 ნაწილი.

111 იქვე, მე-13 ნაწილი.

112 იქვე, მე-6 ნაწილი.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს.<sup>113</sup> კანონმდებლობა ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ხუთ საფუძველს:

- (1) ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება;
- (2) ისეთი გარემოებების გაჩენა, რომელიც აჩვენებს, რომ განჩინებით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენებას გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;
- (3) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტა;
- (4) ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სისხლისსამართლებრივი საფუძვლის გაუქმება.<sup>114</sup>
- (5) სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლა.<sup>115</sup>

გარდა ჩამოთვლილისა, ფარული საგამოძიებო მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, თუ ის პროკურორმა დაიწყო სასამართლოს ნებართვის გარეშე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით და შემდეგ ეს უკანასკნელი სასამართლომ უკანონოდ ცნო.<sup>116</sup>

ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერების უფლება აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს კონტროლის ელექტრონული სისტემით, თუ მას არ მიუღია მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული და მატერიალური ეგზემპლარების დეტალები ერთმანეთს არ ემთხვევა ან შეიცავს ბუნდოვანება-უზუსტობებს.<sup>117</sup> ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედების გაგრძელება.<sup>118</sup>

ამდენად, შეჩერების/შეწყვეტის საფუძვლები დაფუძნებულია მიდგომაზე, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლო პროკურორს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებას მისცემს, ის აქტიურად აღარ ზედამხედველობს თვალთვალის პროცესს. შესაბამისად, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს

---

113 სსსკ, 143<sup>ე</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

114 იქვე, მე-2 ნაწილი.

115 სსსკ, 143<sup>ე</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

116 იქვე, მე-4 ნაწილი.

117 იქვე, მე-5 ნაწილი.

118 იქვე, მე-13 ნაწილი.

მოსამართლის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების პროცესში პროაქტიულად ჩარევის საფუძვლებს. ამგვარი მიდგომა შეიძლება გამართლდეს იმით, რომ იდეალურ შემთხვევაში მოსამართლემ ნებართვის გაცემის დროს ისე უნდა შეაფასოს ყველა საჭირო გარემოება, რომ გადაწყვეტილება შემდგომ გადამოწმებას აღარ საჭიროებდეს. თუმცა, ამ მიდგომით სასამართლო ზედამხედველობას მხოლოდ რეაქციული ხასიათი აქვს (ანუ დამოკიდებულია პროკურორის მიმართვაზე) და ვრცელდება მხოლოდ ნებართვის გაცემის ეტაპზე. საიმიხოდ, რომ სასამართლო ზედამხედველობა რეალური და ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, სასამართლოს ჰქონდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების პროცესზე პროაქტიული, მუდმივი მონიტორინგის შესაძლებლობა და კანონმდებლობა ითვალისწინებდეს შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს შეეძლება, თვალთვალის მიმდინარეობის პროცესში საკუთარი ინიციატივით გადაამოწმოს ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება ან ნებართვის მინიჭების დროს წარმოდგენილი გარემოებების აქტუალურობა. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში კი მას უნდა შეეძლოს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერება და პროკურორისთვის ახსნა-განმარტების მოთხოვნა.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლო მას განჩინების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა უგზავნის ასლს მატერიალური სახით.<sup>119</sup> სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის შემთხვევაში, განჩინებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიღებისთანავე ანვდის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას იწყებს მიღების დადასტურებისთანავე.<sup>120</sup> ამ შემთხვევაში სამსახურის უფროსს ფარული საგამოძიებო მოქმედების დროებით შეჩერება შეუძლია პროკურორის დადგენილებაში „ბუნდოვანება-უზუსტობის“ აღმოჩენის, ელექტრონული და მატერიალური რეკვიზიტების ერთმანეთთან შეუსაბამობის, ან ელექტრონული ეგზემპლარის მიუღებლობის დროს.<sup>121</sup>

ამასთანავე, ინსპექტორის ბერკეტი მხოლოდ ელექტრონული კონტროლის სისტემით ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებაა და ეს უფლებაც მხოლოდ ერთ ფარულ

---

119 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

120 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილი.

121 იქვე, მე-5<sup>2</sup> ნაწილი.

საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება.<sup>122</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ზოგადად ინფორმირებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების სიხშირეზე და სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის შემთხვევაში შეუძლია, ხელი შეუწყოს შუამდგომლობისა და განჩინების დეტალების დაზუსტებას, თუმცა მას არ აქვს ტექნიკური შესაძლებლობა, რომ დააკვირდეს სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებების უშუალოდ განხორციელებას, რაც ეჭვქვეშ აყენებს სამსახურის მიერ ზედამხედველობის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას.

## 2.7 ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ეტაპები და ვადები

ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების პროცესი, კანონმდებლობის მიხედვით, იყოფა სამ ეტაპად. პირველი ეტაპია სასამართლოს მიერ განჩინების საფუძველზე დანყებული თვალთვალი, რომლის ხანგრძლივობაც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს.<sup>123</sup> მეორე ეტაპზე სასამართლოსთვის შემდგომი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობით მიმართვის შემდეგ თვალთვალის ღონისძიება შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებით არა უმეტეს 90 დღის ვადით,<sup>124</sup> მესამე ეტაპზე გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით – კიდევ დამატებით – არა უმეტეს 90 დღის ვადით.<sup>125</sup> ამდენად, საერთო ჯამში, ფარული საგამოძიებო მოქმედების ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს 270 დღით. იმ შემთხვევაში, თუ სამჯერ ვადის გაგრძელების შემდეგაც ვერ მიიღწევა შესაბამისი მიზანი, გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, არსებობს სასამართლოს მიერ ვადის კიდევ ერთხელ, არა უმეტეს 90 დღით, გაგრძელების შესაძლებლობა, თუ საგამოძიებო მოქმედება ტარდება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ გარემოებებში.<sup>126</sup> აგრეთვე, თუ დანაშაული მიეკუთვნება კოდექსით განსაზღვრული გამონაკლისების რიგს (მაგ., განზ-

---

122 სსსკ, 143<sup>6</sup>-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

123 სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-12' ნაწილი.

124 იქვე.

125 იქვე.

126 იქვე, მე-127 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

რახ მკვლევლობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ტრეფიკინგი, მძევლად ხელში ჩაგდება და სხვ.),<sup>127</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 90 დღის ვადით „იმდენჯერ, რამდენჯერაც იარსებებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო ... საფუძველი“.<sup>128</sup>

**ცხრილი 1: ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადები**

	მაქსიმალური ვადა					ჯამი
	I ეტაპი	II ეტაპი	III ეტაპი	IV ეტაპი	V ეტაპი	
დანაშაულთა უმრავლესობა	90 დღე	90 დღე	90 დღე			270 დღე
„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შემთხვევები	90 დღე	90 დღე	90 დღე	90 დღე		360 დღე
სსსკ-ით გათვალისწინებული საგამონაკლისო დანაშაულების წრე <sup>129</sup>	90 დღე	90 დღე	90 დღე	90 დღე	„იმდენჯერ, რამდენჯერაც“ საჭიროა	დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა <sup>130</sup>

აქვე, საყურადღებოა, რომ საკითხის ამგვარი მონესრიგება ზემოთ ნახსენები და ფართოდ გაკრიტიკებული 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგია. კონტრასტისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ფარული საგამოძიებო მოქმედებების მაქსიმალურ ვადად პირველ ეტაპზე 1 თვეს აწესებდა. ეს ვადა შეიძლებოდა მეორე ეტაპზე გაგრძელებულიყო კიდევ არა უმეტეს 2 თვის ვადით. საბოლოო, მესამე, ეტაპზე ვადის გაგრძელება არა უმეტეს სამი თვის ვადით დაიშვებოდა. კანონი ვადის მეოთხედ გაგრძელების შესაძლებლობას არც

127 იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.  
128 სსკ-ის მე-127 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.  
129 108-ე, 109-ე, 143-ე, 143<sup>2</sup>-ე, 144-144<sup>3</sup>-ე, 223-224<sup>1</sup>-ე, 230-232-ე, 234-235<sup>1</sup>-ე, 255<sup>1</sup>-ე მუხლები, 260-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილები, 262-ე, 263-ე მუხლები, XXXVII-XXXVIII და XLVII თავებში შემავალი მუხლები.  
130 სისხლის სამართლის კოდექსი, 71-ე მუხლი.



საგამონაკლისო შემთხვევებში ითვალისწინებდა.<sup>131</sup> ამდენად, 2022 წლის ცვლილებებამდე ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება ჯამში მაქსიმუმ 6 თვით (180 დღით) იყო შესაძლებელი. ეს ვადა რადიკალურად განსხვავდება რეფორმის შედეგად დადგენილი ახალი ვადებისაგან, რომელიც მუხლების უდიდეს ნაწილზე 9 თვემდე (270 დღე) თვალთვალს, საგამონაკლისო შემთხვევებში 1 წლამდე (360 დღე), ხოლო მუხლების საკმაოდ დიდ ჯგუფზე (80-ზე მეტი მუხლი, საიდანაც 10-მდე მუხლი სასჯელად ხუთ წელზე ნაკლები ვადით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას), თვალთვალის შეიძლება დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე განუსაზღვრელად გაგრძელდეს.

**ცხრილი 2: ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების ვადების შედარება**

	მაქსიმალური ვადები					ჯამი
	I ეტაპი	II ეტაპი	III ეტაპი	IV ეტაპი	V ეტაპი	
2021 წლის რეფორმამდე	30 დღე	60 დღე	90 დღე			180 დღე
2021 წლის რეფორმის შემდეგ	90 დღე	90 დღე	90 დღე	90 დღე	„იმდენჯერ, რამდენჯერაც“ საჭიროა	270 დღე (1)
						360 დღე (2)
						დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა (3)

ყოველ ჯერზე გაგრძელების მოთხოვნით მიმართვისას პროკურატურის წარმომადგენელს ეკისრება ვალდებულება, რომ მოტივირებულ შუამდგომლობაში მიუთითოს, რატომ ვერ მოხერხდა გამოძიებისთვის საკმარისი მონაცემების მოპოვება წინა ვადის განმავლობაში.<sup>132</sup> ამ დათქმის მიუხედავად, კვლავ რჩება ადამიანის უფლებებში არაპროპორციულად ჩარევის მომეტებული საფრთხე. პირველ რიგში, შესაძლებელია, რომ მოსამართლემ რუტინულად გააგრძელოს უკვე დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედება და საკმარისად კრიტიკულად არ შეაფასოს პროკურატურის მიერ წარმოდ-

131 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის 2020 წლის 25 დეკემბრის რედაქცია. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/cw3mufRe>. განახლებულია: 28.03.2024.

132 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-12<sup>8</sup> ნაწილი.

გენილი ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ მოხერხდა საჭირო მიზნის მიღწევა განსაზღვრულ ვადაში. გარდა ამისა, თვალთვალის გახანგრძლივების მოქნილი შესაძლებლობები სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებს უბიძგებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები აღიქვან არა საგამონაკლისო, უკიდურეს მექანიზმად, არამედ მტკიცებულებების მოპოვების სტანდარტულ და რუტინულ გზად.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ 2023 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის ვადის გაგრძელების შესახებ საერთო სასამართლოებმა განიხილეს 228 შუამდგომლობა, რომელთაგან სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 220 (198 – სრულად, 22 – ნაწილობრივ), შესაბამისად, დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი – 96.5%-ია.<sup>133</sup> ანალოგიურია 2022 წლის ტენდენციაც: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 288 შუამდგომლობა, რომელთაგან სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 265 (204 – სრულად, 61 – ნაწილობრივ), რაც შეადგენს 92%-ს.<sup>134</sup> ფარული ვიდეოჩანერის ან/და აუდიოჩანერის და ფოტოგალების ვადის გაგრძელების შემთხვევაში სასამართლომ 2023 წელს 122 შუამდგომლობა განიხილა, საიდანაც 107 სრულად ან ნაწილობრივ (115 – სრულად, 2 – ნაწილობრივ) დაკმაყოფილდა.<sup>135</sup> 2022 წელს სასამართლოებმა ასეთი 186 შუამდგომლობა განიხილეს, საიდანაც სრულად ან ნაწილობრივ 144 (144 – სრულად) დაკმაყოფილდა.<sup>136</sup>

ამასთანავე, ვადების ხანგრძლივობა საგამოძიებო ორგანოებს არ უბიძგებს საქმის დროული და ეფექტიანი გამოძიებისკენ, ან საკუთარი საგამოძიებო სტრატეგიის გადაფასებისაკენ. მსგავს არგუმენტაციაზე დაყრდნობით, 2022 წლის საკანონმდებლო რეფორმის შეფასებისას, ვენეციის კომისიამაც აღნიშნა, რომ თვალთვალის ვადების მრავალჯერადი გახანგრძლივების შესაძლებლობა, განსაკუთრებით „იმდენჯერ, რამდენჯერაც“ ის საჭირო გახდება ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში, არის გადაჭარბებული ჩარევა ადამიანის უფლებებში.<sup>137</sup>

---

133 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (2023). „საქმიანობის ანგარიში,“ 142. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1eisshkc>. განახლებულია: 02.04.2024.


134 იქვე.

135 იქვე, 144.


136 იქვე.

137 Georgia – Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code


გრაფიკი 2: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის  
გაგრძელების სტატისტიკა (2023)




გრაფიკი 3: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის  
გაგრძელების სტატისტიკა (2022)



გრაფიკი 4: ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის და ფოტოგაღების  
ვადის გაგრძელების სტატისტიკა (2023)



გრაფიკი 5: ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის და ფოტოგაღების  
ვადის გაგრძელების სტატისტიკა (2022)



## 2.8 ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ შეტყობინება და გასაჩივრების მექანიზმები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოქალაქის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების გასაჩივრების ორ მექანიზმს. პირველი მექანიზმი შეეხება შემთხვევას, როდესაც პირისთვის მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ცნობილი გახდა საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას. ამ დროს პირს შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება სააპელაციო სასამართლოს საგამო-

ძიებო კოლეგიაში ერთჯერადად გაასაჩივროს.<sup>138</sup> გასაჩივრების ვადა თვალთვალის შესახებ ინფორმაციისა და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათია.<sup>139</sup> იმ შემთხვევაში, თუ პირისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ცნობილი გახდა საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, გასაჩივრების ვადა არის 1 თვე.<sup>140</sup> თუ სააპელაციო სასამართლო ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას უკანონოდ ცნობს, მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებელ მტკიცებულებად შეიძლება იცნოს,<sup>141</sup> ხოლო დასრულებულ საქმეზე, შესაძლოა, განაჩენის გადასინჯვის საფუძველი გახდეს.<sup>142</sup> ამასთანავე, საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია წარმოიშვას მოთხოვნა პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.<sup>143</sup>

აღსანიშნავია, რომ 48 საათიანი ვადა საკმაოდ მცირე დროა საიმისოდ, რომ მოქალაქემ შეძლოს საჩივრის წარსადგენად სათანადო სამართლებრივი მომზადება. ამასთანავე, ბუნდოვანია, რას გულისხმობს „ცნობილი გახდა“, როგორ უნდა დაამტკიცოს მოქალაქემ ცნობის მიღების ფაქტი, როგორია მტკიცების ტვირთი ასეთ შემთხვევაში და ზუსტად საიდან უნდა აითვალოს გასაჩივრების ვადა. საპროცესო კანონმდებლობა თვალთვალის შედეგად პოტენციურად დაზარალებულ მოქალაქეს უნდა სთავაზობდეს ხელმისაწვდომ მართლმსაჯულებას და უქმნიდეს პოტენციურად დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტიან შესაძლებლობებს, რაც მსგავსი ჩანაწერით განსაკუთრებით რთულდება, რადგან მკაცრ ვადებში მოქცევა და ბუნდოვანი ფორმულირებები მოქალაქეს უბიძგებს, უარი თქვას საკუთარი უფლების რეალიზაციაზე.

რაც შეეხება გასაჩივრების მეორე მექანიზმს, იგი დაფუძნებულია საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებაზე, ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების/შეწყვეტის შემდგომ წერილობით შეატყობინონ პირს მის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ, გადასცენ მოსამართლის განჩინება, თანმხლები მასალა და აცნობონ ზემოთ ნახსენები გასაჩივრების უფლების შესახებ.<sup>144</sup> იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად როდის უნდა გაეგზავნოს პირს შეტყობინება, გადაწყ-

---

138 სსსკ, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-14 ნაწილი.

139 იქვე.

140 იქვე, მე-15 ნაწილი.

141 იქვე, მე-14 ნაწილი.

142 იქვე.

143 სსსკ, მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი.

144 სსსკ, 143<sup>9</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ვეტილებას პროკურორი იღებს.<sup>145</sup> თუ პროკურორს მიაჩნია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებიდან 12 თვის ვადაში არ უნდა გაუგზავნოს პირს შეტყობინება, იგი ვალდებულია ამ ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა შუამდგომლობით მიმართოს განჩინების მიმღებ მოსამართლეს და შეტყობინების არა უმეტეს 12 თვით გადავადება მოითხოვოს.<sup>146</sup> პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს ის საფრთხე, რომელსაც შეტყობინება გამოძიებასა და სამართალწარმოების ინტერესებს შეუქმნის.<sup>147</sup> იმავე წესით პროკურორს შეტყობინების 12 თვით გადავადება კიდევ ორჯერ შეუძლია.<sup>148</sup> ამდენად, პირისთვის შეტყობინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების თაობაზე ჯამში მაქსიმუმ 48 თვის ვადით შეიძლება გადავადდეს. შედარებისთვის, 2021 წლის რედაქციით, პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ მისი ჩატარებიდან 12 თვის ვადაში უნდა ცნობებოდა. ეს ვადა შეიძლებოდა ორჯერ გაზრდილიყო 12-12 თვით. ამდენად, შეტყობინება მაქსიმუმ შეიძლებოდა გადავადებულიყო 36 თვით. კონკრეტულ დანაშაულებთან (იგივე დანაშაულები, რომლებზეც შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების ვადა იმდენჯერ გაგრძელდეს, რამდენჯერაც ეს აუცილებელი იქნება) დაკავშირებით, შეტყობინება შეიძლება გადავადდეს „იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს აუცილებელი იქნება“ სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამართალწარმოების ინტერესების დაცვის მიზნით.<sup>149</sup>

შესაძლოა, ობიექტურად მართლაც არსებობდეს შეტყობინების გადავადების რეალური საჭიროება და თეორიულად მოსამართლესაც შეუძლია ეს მოთხოვნა კრიტიკულად შეაფასოს. თუმცა, გადავადების ამდენად ხანგრძლივი შესაძლებლობა<sup>150</sup> ქმნის ადამიანის უფლებებში განსაკუთრებით ხანგრძლივი და ინტენსიური ჩარევის საფრთხეს, რაც, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის საგამოძიებო ორგანოებს უფლებამოსილების გადამეტებისა და თვითნებობისთვის. ამასთანავე, რაც უფრო გვიან იღებს მოქალაქე ინფორმაციას მის მიმართ ჩატარებული თვალთვალის შესახებ, მით უფრო ნაკლებია გასაჩივრების სურვილი და ინტერესი, რადგან ობიექტურად მცირდება მისი სამართლებრივი და ფაქტობრივი ინტერესი მომხდარის მიმართ. გარდა ამისა, ვინაიდან შეტყობინების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს, სასამართლო

---

145 იქვე, მე-3 ნაწილი.

146 იქვე, მე-4 ნაწილი.

147 იქვე, 143<sup>ე</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

148 იქვე, მე-5 ნაწილი.

149 იქვე, მე-4 ნაწილი.

150 იქვე, მე-7 ნაწილი.

არ ზედამხედველობს შეტყობინების ვადების დაცულობას.<sup>151</sup> შესაბამისად, ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკები განსაკუთრებით მაღალია და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობა არ ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ შეტყობინების არსებული მექანიზმი გაკრიტიკებულია სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშშიც. ანგარიში მიუთითებს, რომ ბუნდოვანია შეტყობინების პროცედურა. კერძოდ, ნათელი არ არის, მოქალაქეს უნდა გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება, თუ საკმარისია ინფორმაციის პროკურატურაში ადგილზე გაცნობა; მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს მის შესახებ მოგროვებული ინფორმაციის შინაარსს, თუ საკმარისია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტის შესახებ ცნობება; მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს მასალებს, რომლებიც განადგურებას ექვემდებარება, თუ საკმარისია განადგურების შესახებ ფაქტის შეტყობინება.<sup>152</sup> ანგარიშში ასევე ნახსენებია, რომ გენერალურმა პროკურორმა გამოსცა 2022 წლის 4 ნოემბრის №211-გ ბრძანება, რომლითაც პროკურორებს დაევალიათ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, მის შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და ამ მასალის განადგურების შესახებ წერილობით შეტყობინება იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, თუმცა ეს ბრძანება საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის და გენერალურმა პროკურორმა სახალხო დამცველის აპარატს უარი უთხრა მის მიწოდებაზე შიდაუწყებრივ დანიშნულებაზე მითითების საფუძველით.<sup>153</sup>

შეტყობინების მექანიზმი, გარდა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მხარეთათვის მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობისა, ფაქტობრივად ერთადერთი საშუალებაა, რომელიც საგამოძიებო ორგანოებს ავალდებულებს, რომ მოქალაქეებს გაუმჟღავნონ თვალთვალის შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, იგი საზოგადოებისთვის სასამართლო ზედამხედველობის ეფექტიანობის შესაფასებლად საკვანძო საშუალებაა, რადგან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინებისგან განსხვავებით, საჩივარზე გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივანსა და ბრალდების მხარეს გადაეცემა.<sup>154</sup> შესაბამისად, ეს მექანიზმი თვალთვალის შემთხვევებზე

---

151 ეს მტკიცება სოციალური სამართლიანობის ცენტრის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილის პასუხად თბილისის საქალაქო სასამართლომაც დაუდასტურა.

152 საქართველოს სახალხო დამცველი (2023), „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 143. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/2eis1RDo>. განახლებულია: 02.04.2024.

153 იქვე.

154 სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-16 ნაწილი.

სამოგადოებრივი ზედამხედველობის განხორციელების და ინდივიდუალური უფლებების დარღვევაზე სამართლებრივი რეაგირების მოთხოვნის მთავარი ბერკეტია, რომლის რეალიზებაც, შეტყობინების გადავადების ამგვარი მონღს-რიგების გამო, უკიდურესად შეზღუდულია. 2022 წლის საკანონმდებლო ცვლი-ლებების შეფასებისას შეტყობინების ვადების გაფართოებას ვენეციის კომისიაც უარყოფითად აფასებს და მიუთითებს საფრთხეზე, რომ შეუტყობინებლობის ან გაუშმართლებლად დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევები, შესაძლოა, გარ-დაიქმნას არა საგამონაკლისო, არამედ რუტინულ პრაქტიკად.<sup>155</sup>

## 2.9 ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობა, შენახვა და განადგურება

ფარული საგამოძიებო მოქმედებების დასრულებამდე ამ მოქმედების შედე-გად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება მხოლოდ პროკურორს, მოსამართლეს და გამომძიებელს აქვთ.<sup>156</sup> ინფორმაციას ასევე ეცნობა დაც-ვის მხარე წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა და საპროცესო შეთანხმების დადების დროს.<sup>157</sup> ფარული საგამოძიებო მოქმე-დების შედეგად მოპოვებული მასალა, თუ მას არ აქვს ღირებულება გამოძიე-ბისათვის, პროკურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურ-დეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ.<sup>158</sup> ასევე, თუკი გადაუდებელი აუცილებლობით მოპოვებული ინფორმაცია, მიუ-ხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხა-რემ მტკიცებულებად არ წარადგინა საქმის არსებითად განხილვისას, დაუ-ყოვნებლივ უნდა განადგურდეს.<sup>159</sup> ამ მასალის განადგურების ვალდებულება ეკისრება საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმხორციე-ლებელ, სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერ ან მის ზემდგომ პროკურორს იმ მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ფა-რული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების/კანონიერად ცნობის შესახებ. ეს უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს იმავე სასამართლოს სხვა მო-სამართლემაც.<sup>160</sup>

---

155 Georgia – Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, 12.

156 სსკ, 1439 მუხლის 1-ლი ნაწილი.

157 იქვე, მე-2 ნაწილი.

158 სსკ, 143<sup>8</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი.

159 იქვე.

160 იქვე, მე-5 ნაწილი.



რაც შეეხება მასალას, რომელსაც სასამართლო დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს, ან საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, მათი შენახვის ვალდებულება სასამართლოს ეკისრება და გარკვეული ვადების გასვლის შემდეგ ანადგურებს მოსამართლე (ან იმ სასამართლოს მოსამართლე) , რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე.<sup>161</sup>

ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების პროცესში ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს აქვს ინფორმაციის კოპირების და ე.წ. არაკანონიერი „ალტერნატიული ბანკის“<sup>162</sup> შექმნის ტექნიკური შესაძლებლობა და შესაძლო მოტივაციაც, იმის გათვალისწინებით, რომ ის მიკუთვნებულია სუს-ის მმართველობას, ეს უკანასკნელი კი, როგორც საგამოძიებო და კონტრდაზვერვითი ფუნქციების მქონე ორგანო, „პროფესიულად არის დაინტერესებული, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას“.<sup>163</sup> მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აქვს უფლება შეამოწმოს მონაცემთა დამუშავების კანონიერება მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების ელექტრონული სისტემით კონტროლის, სააგენტოს შებლდული დაშვების არეალში შესვლის, მიმდინარე რეჟიმში საქმიანობის მონიტორინგის, ახსნა-განმარტების მოთხოვნისა და სხვა უფლებამოსილებების განხორციელების გზით,<sup>164</sup> მონაცემთა ალტერნატიული ბანკები შესაძლებელია მაინც საიდუმლოდ დარჩეს იმის გათვალისწინებით, რომ სამსახურს სააგენტოს ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ „შებლდული დაშვების არეალის“ ფარგლებში შეუძლია.<sup>165</sup> ამის გათვალისწინებით, კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის რეალური კონტროლის უფრო ქმედითი მექანიზმები.

სწორედ ამგვარ ლოგიკას დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, როდესაც აღნიშნა, რომ სახელმწიფო უწყებისთვის ერთდროულად გამოძიების ფუნქციებისა და თვალთვალის ტექნიკური საშუალებების კონტროლის შესაძლებლობა თავისთავად ზრდიდა ადამიანის უფლებებში თვითნებური და მომეტებული ჩარევის რისკებს: „უფლების დარღვევის რისკები თავისთავად იზრდება, როდესაც ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

---

161 იქვე, მე-6 ნაწილი.

162 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/625,640. 2016 წლის 14 აპრილი, პარა. 100.

163 იქვე. პარა. 55.

164 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი,“ მე-4016 მუხლის მე-7 ნაწილი.

165 იქვე, „ა“ ქვეპუნქტი.

(ან გამოძიების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანო) იმავე დროს ფლობს და ადმინისტრირებას უწევს ტექნიკურ საშუალებებს“.<sup>166</sup>

სუს-ის ინსტიტუციური მოწყობიდან მომდინარე რისკები კიდევ უფრო იზრდება, თუ ზედამხედველობის მექანიზმები საკმარისად ეფექტიანი არ არის. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ თვალთვალის განხორციელების უფლებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებაზე ინსპექტორის კონტროლის არსებული ბერკეტები არასაკმარისია, ვერ გამორიცხავს ინსპექტორის გვერდის ავლით და, შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე სატელეფონო საუბრების მიყურადების საფრთხეს“.<sup>167</sup> საქმის განხილვის დროს ექსპერტების მსჯელობამ დაადასტურა, რომ ტექნიკურად ასევე შესაძლებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაამონტაჟოს ე.წ. პარალელური ინფრასტრუქტურა, რომელზეც არ გავრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლი. საბოლოოდ, სასამართლო მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომ სადავო ნორმები „შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მოიპოვოს პირადი ხასიათის ინფორმაცია განუსაზღვრელ პირთა წრის შესახებ. მართალია, არსებობს პრეზუმცია, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანო ბოროტად არ ისარგებლებს ამ ტექნიკური საშუალებებით, თუმცა რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის (მათ შორის, პროგრამული უზრუნველყოფის) შექმნა, ფლობა, ადმინისტრირება და ამ საშუალებების გამოყენებით პირადი ხასიათის ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა, ასევე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (მეტადატას) კოპირება და შენახვა ისეთი უწყების მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს გამოძიების ფუნქცია ან არის პროფესიულად დაინტერესებული ამ ინფორმაციის გაცნობით, ქმნის პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მომეტებულ საფრთხეს“.<sup>168</sup>

სწორედ ამ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით შეიქმნა ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც, ერთ შეხედვით, მხოლოდ ტექნიკურად ახორციელებს ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებს და არ აქვს საგამოძიებო ფუნქციები. თუმცა, კვლავ საეჭვოა მისი რეალური ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, რადგან ის სუს-ის შემადგენლობაში შემავალ სსიპ-ს წარმოადგენს. შესაბამისად, საკანონ-

---

166 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/625,640. 2016 წლის 14 აპრილი, პარა. 53.

167 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/625,640. 2016 წლის 14 აპრილი, პარა. 59.

168 იქვე, პარა. 117.

მდებლო ცვლილებებმა რეალურად ვერ ასახა საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილების მიზნები, რადგან სააგენტო არ არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან დამოუკიდებელი ორგანო. სწორედ ამ კრიტიკას დაეფუძნა სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, როდესაც 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი სარჩელით მიმართა და მოითხოვა, სასამართლოს შეეფასებინა, რამდენად შეესაბამება 2017 წლის საკანონმდებლო რეფორმები 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებას.<sup>169</sup>

## 2.10 ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობა

უსაფრთხოების სექტორის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ნდობისა და ანგარიშვალდებულებისთვის აუცილებელია, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ზედამხედველი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობის კონტექსტში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ ამგვარ მექანიზმს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის სახით, რომელსაც უზენაესი სასამართლო ანარმობს.<sup>170</sup> რეესტრში აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ცნობები, აგრეთვე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ. შესაბამისად, კანონის მიხედვით, უზენაეს სასამართლოს ეკისრება შუამდგომლობებისა და განჩინებების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების ვალდებულება.

ვინაიდან კანონში დეტალურად არ არის მითითებული კონკრეტულად რა ტიპის მონაცემები უნდა დამუშავდეს და რა სიზუსტით, მონაცემების შეგროვების, ვიზუალიზაციისა და ანალიზის მეთოდოლოგია უზენაესმა სასამართლომ თავად უნდა განსაზღვროს. უზენაესი სასამართლოს მიერ 2014-2022 წლებში გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი მიაჩნდება მეტ-ნაკ-

169 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2017). „ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (იანვარი-აგვისტო, 2017)“, 5. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Sw3mXRxN>. განახლებულია: 28.03.2024.

170 სსსკ-ის 143<sup>10</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ლებად ერთგვაროვანი მეთოდოლოგიური მიდგომის ქონაზე, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიის განსაზღვრასთან დაკავშირებული დოკუმენტები საჭაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

დამკვიდრებული პრაქტიკით, სასამართლო ყოველწლიურად აქვეყნებს Excel-ის დოკუმენტებში დამუშავებულ სტატისტიკურ მონაცემებს, სადაც მითითებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში შესული შუამდგომლობების ჯამური რაოდენობა, რომელიც შემდგომ ჩაშლილია შემდეგ კატეგორიებად: დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/არ დაკმაყოფილდა/დატოვებულია განუხილველად.<sup>171</sup> გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემები შეიცავს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შემთხვევების ჯამურ რაოდენობას. ამ უკანასკნელში იგულისხმება ის ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ. გარდა ამისა, სასამართლო დამატებით აქვეყნებს ერთ-ერთი ფარული საგამოძიებო მოქმედების – სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის – გამოყენების ჯამურ რაოდენობას საქალაქო/რაიონული სასამართლოებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები იმდენად მწირი და ფრაგმენტულია, რომ არ იძლევა ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებით არათუ ანალიტიკური, არამედ აღწერილობითი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობასაც კი. მაგალითად, სასამართლოს შესაძლებლობა აქვს, თუმცა არ აქვეყნებს სტატისტიკას შემდეგი ინდიკატორების შესახებ:

- პირთა ჯამური რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოყენებული იყო ფარული საგამოძიებო მოქმედებები;<sup>172</sup>
- კონკრეტული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობა რაიონულ/საქალაქო სასამართლოებისა და დანაშაულთა კვალიფიკაციის მიხედ-

---

171 საქართველოს უზენაესი სასამართლო (2022). საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/vw3mV35H>, განახლებულია: 28.03.2024.

172 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ფარული მიყურადება და ჩანერა დაიწყო 2852 პირის მიმართ, ხოლო 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – 2506 პირის მიმართ. ვინაიდან პირების შესახებ 2022 წლის მონაცემები ნაწილობრივია, შეუძლებელია მისი შედარება განჩინებების წლიურ რაოდენობასთან. 2023 წლის შემთხვევაში კი, როგორც უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები აჩვენებს, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა დაკმაყოფილდა 744 განჩინებით. შესაბამისად, ერთი განჩინებით მოსმენა დაიწყო საშუალოდ 3 პირის მიმართ.

ვით (ამ ეტაპზე სასამართლო ამ მონაცემებს მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის შემთხვევაში ამუშავებს);<sup>173</sup>

- ერთზე მეტი ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების შემთხვევაში, ერთდროულად გამოყენებული მოქმედებების სიხშირე (ეს ინფორმაცია შესაძლებლობას მოგვცემდა, შეგვეფასებინა, რომელ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს აქვს გამოძიების პროცესში ურთიერთშემავსებელი ფუნქცია, ხომ არ გადაფარავენ ისინი ერთმანეთს და ა.შ.);
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების ვადის გაგრძელების სიხშირე და საშუალო ხანგრძლივობა;<sup>174</sup>
- მოქალაქეების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების გასაჩივრების სიხშირე;<sup>175</sup>
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობა;<sup>176</sup>

173 კონკრეტულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე, კერძოდ, ფარულ ვიდეო და აუდიოჩანერაზე ჩამოიღო ფრაგმენტული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის მიმართვის საფუძველზე. კერძოდ, 2023 წელს სამსახურმა სოციალური სამართლიანობის ცენტრს აცნობა, რომ 2021 წელს საერთო სასამართლოებმა განიხილეს ფარულ ვიდეო და აუდიოჩანერასთან დაკავშირებული 406 შუამდგომლობა, საიდანაც 399 დაკმაყოფილდა. 2022 წელს სასამართლოებში შევიდა 614 შუამდგომლობა იმავე მოქმედების გამოყენებასთან დაკავშირებით, საიდანაც დაკმაყოფილდა 583 შუამდგომლობა. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს იმავე ინფორმაციის გაზიარების მოთხოვნას სამსახურმა უარით უპასუხა და აღნიშნა, რომ სამსახურს, რომელიც 2022 წლის პირველ მარტს დაარსდა, წინა წლების მასალებზე წვდომა არ ჰქონდა. ამასთანავე, სამსახურმა მიუთითა, რომ მას სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობა მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის შემთხვევაში ჰქონდა.

174 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 881 განჩინებით მოსმენა 30 დღემდე ვადით მიმდინარეობდა, 64 განჩინებით – 60 დღემდე ვადით, ხოლო 178 განჩინებით – 90 დღემდე ვადით. ამ მოქმედებების საშუალო ხანგრძლივობა 29 დღე იყო. რაც შეეხება 2023 წელს, 365 განჩინებით ნებართვა 30 დღემდე ვადით გაიცა, 96 განჩინებით – 60 დღემდე ვადით, ხოლო 521 განჩინებით – 90 დღემდე ვადით. ჯამში 2023 წელს მოქმედებების საშუალო ხანგრძლივობა 50 დღე იყო.

175 მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქეს შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივროს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გვაცნობა, რომ არ აღრიცხავს სტატისტიკურ მონაცემებს საჩივრების რაოდენობასთან დაკავშირებით.

176 2024 წელს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სოციალური სამართლიანობის ცენტრს აცნობა, რომ 2017-2023 წლებში გენერალურმა პროკურატურამ უზენაეს სასამართლოს მიმართა სულ 10 შუამდგომლობები. პროკურატურამ თავი შეიკავა იმის ცნობებით, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ ამ შუამდგომლობებთან დაკავშირებით და უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებისკენ მოგვიწოდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა 2024 წლის 7 მარტის წერილის პასუხად გვაცნობა, რომ 01.03.2022 – 31.12.2023 პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს სასამართლოდან ამ ტიპის განჩინებები არ მიუღია. თავის მხრივ, უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა ამ ინფორმაციის გაზიარებაზე იმ არგუმენტით, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის წარმოება ამ მონაცემების დამუშავების ვალდებულებას არ მოიცავდა (ვრცლად ქვემოთ).

- პირთა რაოდენობა, რომლებსაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ეცნობა;<sup>177</sup>
- პირთა რაოდენობა, რომლებსაც ეცნობა ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ;
- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინების გადავადების სიხშირე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ინდიკატორების შესახებ სტატისტიკის წარმოების ვალდებულება პირდაპირ არ არის მითითებული კანონმდებლობის ზოგად ჩანაწერში, კეთილსინდისიერი და საჯარო ინტერესით მოქმედების შემთხვევაში, უზენაეს სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების მიხედვითაც დაამუშაოს სტატისტიკური მონაცემები, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების შესახებ ფრაგმენტული ინფორმაციის მოპოვება სხვა უწყებებისთვის მიმართვის გზით ისედაც ხერხდება. შესაბამისად, უზენაეს სასამართლოს შეუძლია თავად იკისროს ამ ინფორმაციის მოგროვებისა და გამოქვეყნების ვალდებულება.

სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-17 ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრში გამოქვეყნებული სტატისტიკა მოიცავს მხოლოდ საქალაქო სასამართლოებში შესულ შუამდგომლობებსა და მათზე გამოცემულ განჩინებებს, თუმცა არ აღრიცხავს უზენაეს სასამართლოში შესულ შუამდგომლობებს. ეს ინფორმაცია სოციალური სამართლიანობის ცენტრმა უზენაესი სასამართლოსგან გამოითხოვა, როგორც საჯარო ინფორმაცია, თუმცა სასამართლოსგან მიიღო პასუხი, რომ ეს მონაცემები რეესტრში არ აღრიცხება.<sup>178</sup> ამ პასუხთან დაკავშირებით სოციალური სამართლიანობის ცენტრმა უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული საჩივ-

---

177 სოციალური სამართლიანობის ცენტრის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილის პასუხად საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გვაცნობა, რომ 2023 წელს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ წერილობით ეცნობა 1352 პირს. უზენაესმა სასამართლომ გვაცნობა, რომ ვინაიდან შეტყობინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, შესაბამისად, უზენაესი სასამართლო არ ფლობს ინფორმაციას შეტყობინების ვადებთან შესაბამისობის შესახებ. იგივე ინფორმაცია დაგვიდასტურა თბილისის საქალაქო სასამართლომაც.

178 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.10.2023-ის პასუხი სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილზე.

რით მიმართა და მოითხოვა, უზენაეს სასამართლოს უფლებამოსილი პირის-თვის 2016-2022 წლებში უზენაეს სასამართლოში შესული შუამდგომლობების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება დაევალებინა. გეპირი მოსმენის სხდომაზე სოციალური სამართლიანობის ცენტრმა აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია ნედლი მონაცემების სახით ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოსთვის, არსობრივად მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას და სასამართლო ვალდებულია, რომ ეს მონაცემები სტატისტიკურად დაამუშაოს, სამომავლოდ კი, ცვლილება შეიტანოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის წარმოების მეთოდოლოგიაშიც. უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა გეპირი მოსმენის სხდომაზე არ გაიზიარა მოთხოვნა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მოცემული ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს სტატისტიკაში არ აღირიცხება. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული პოზიციის მიხედვით, უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრი ამ დასაბუთებას არ დაეთანხმა და სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, უზენაეს სასამართლოს დააკისროს ვალდებულება, დაამუშაოს და ცენტრს გაუზიაროს 2016-2022 წლების მონაცემები და სამომავლო სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას ცვლილება შეიტანოს სტატისტიკური რეესტრის წარმოების მეთოდოლოგიაში.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფილი სტატისტიკა მოიცავს ინფორმაციას როგორც საქალაქო (რაიონული) სასამართლოებში, ისე უზენაეს სასამართლოში შესული შუამდგომლობების შესახებ. 143<sup>10</sup>-ე მუხლის სიტყვიერი განმარტებიდან ნათელია, რომ კანონმდებლის ნება სწორედ ამგვარი სტატისტიკის წარმოებას ისახავდა მიზნად, რადგან ის იყენებს ტერმინს „სასამართლოები“, რომელიც გულისხმობს როგორც საქალაქო, ისე უზენაეს სასამართლოს და არ მიუთითებს, რომ სტატისტიკის წარმოების ვალდებულება მხოლოდ საქალაქო სასამართლოებში შესულ შუამდგომლობებზე ვრცელდება და უზენაესი სასამართლო ამ წესიდან გამონაკლისია. რეესტრის წარმოების მიზანია, რომ უზრუნველყოს სასამართლოსა და საგამოძიებო სამსახურების გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების სიხშირისა და მასშტაბების შესახებ. შესაბამისად, მონაცემების არასრულყოფილად შეგროვების შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფარული საგამოძიებო მოქმედებები სპეციალური სტატუსის მქონე პირების (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, მოსამართლეების და იმუნიტეტის მქონე პირების) მიმართ ხორციელდება, ფუნდამენტურად ზიანდება სტატისტიკის წარმოების მთავარი მიზნები.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და პოლიტიკური თავისუფლების მი-  
საღწევად აუცილებელია, რომ კანონმდებლობა უკანონო თვალთვალისგან  
განსაკუთრებული გარანტიებით იცავდეს მოსამართლეებს, პოლიტიკოსებს,  
მაღალი თანამდებობის პირებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომად-  
გენლებს. 143<sup>10</sup> მუხლის მთავარი მიზანიც სწორედ ესაა, რადგან ის შუამდ-  
გომლობის წარდგენის უფლებას მხოლოდ გენერალურ პროკურორს (ან მის  
მოადგილეს), ხოლო თვალთვალის ნებართვის გაცემის უფლებას მხოლოდ  
უზენაეს სასამართლოს აძლევს. ამ ტიპის საქმეებზე სტატისტიკური მონაცე-  
მების გამოქვეყნების მიმართ განსაკუთრებით მაღალია საჯარო ინტერესი,  
რადგან მან საზოგადოებას წარმოდგენა უნდა შეუქმნას იმის შესახებ, თუ რამ-  
დენად ხშირად ხდებიან პოლიტიკურად მნიშვნელოვანი სუბიექტები თვალ-  
თვალის სამიზნეები და რამდენად ეფექტიანია ამ პროცესზე სასამართლოს  
ზედამხედველობა. შესაბამისად, უზენაესი სასამართლო ვალდებულია, რომ  
სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობის მიზნებიდან გამომდინა-  
რე, ეს ინფორმაციაც პროაქტიულად დაამუშაოს და ყოველწლიურად გამო-  
აქვეყნოს.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლო არ ახორციელებს აღწერილო-  
ბითი სტატისტიკური მონაცემების ანალიტიკურ და ნარატიულ დამუშავებას.  
მაგალითად, სასამართლო არ აიდენტიფიცირებს და აანალიზებს ფარული  
საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებულ ტენდენციებსა  
და დამკვიდრებულ პრაქტიკას, არ აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს და არ  
მსჯელობს სასამართლო ზედამხედველობის შინაარსობრივ ელემენტებზე.  
იმის გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობებზე სასამართლოს გადაწყვე-  
ტილება საჯაროდ არ ცხადდება, ხოლო განჩინებების ასლებს სასამართლო  
მათ საიდუმლო ხასიათზე მითითების საფუძვლით არ აზიარებს,<sup>179</sup> საჯარო ინ-  
ტერესის დაკმაყოფილების მიზნით, უზენაესი სასამართლო პროაქტიულად  
უნდა ამუშავებდეს განაჩინებსა და შუამდგომლობებში წარმოდგენილ არგუ-  
მენტებს და აქვეყნებდეს ანგარიშებს მათი ზოგადი შინაარსისა და ძირითადი  
ტენდენციების შესახებ.

შესაბამისად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ზედამხედველობის ეფექ-  
ტიანობის შესახებ საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული არ არის და  
სასამართლო ვერ აკმაყოფილებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებუ-  
ლების სტანდარტებს. ამ მიმართულებით სასამართლო უფრო გამჭვირვალე

---

179 თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2023-ის პასუხი სოციალური სამართლიანობის  
ცენტრის წერილზე.



უნდა იყოს და პროაქტიულად აწვდიდეს საზოგადოებას ინფორმაციას. ამგვარი მიდგომა წარმოაჩენდა, რამდენად ეფექტიანია სასამართლოს ზედამხედველობა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე და ნებართვის გაცემისას იყენებს თუ არა იმ სტანდარტს, რომელიც გაამართლებდა ადამიანის უფლებებში ჩარევას.

## 2.11 სტატისტიკურ მონაცემებში გამოკვეთილი ტენდენციები


წინამდებარე თავში გაანალიზებულია უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტში გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში გამოკვეთილი ტენდენციები.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს<sup>180</sup> უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის შესახებ სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა.<sup>181</sup> ვინაიდან ჯამური სტატისტიკური მაჩვენებლები ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის, შეუძლებელია იმის დადგენა, სულ რამდენი შუამდგომლობა შევიდა საერთო სასამართლოებში და მათგან რამდენი დაკმაყოფილდა, ასევე, რამდენია სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის წილი საერთო რაოდენობაში. გამოქვეყნებული მონაცემებით მხოლოდ ის დგინდება, რომ 2023 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩანერასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოებში 859 შუამდგომლობა შევიდა, საიდანაც 779 სრულად ან ნაწილობრივ (744 – სრულად, 35 – ნაწილობრივ) დაკმაყოფილდა, რაც 90.68%-ს შეადგენს.

---

180 01.04.2024 მდგომარეობით.

181 საქართველოს უზენაესი სასამართლო (2023). საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/news>. განახლებულია: 28.03.2024.




2023 წელსაც, წინა წლების მსგავსად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა ყველაზე ხშირად ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის მუხლთან იყო დაკავშირებული.

**ცხრილი 3: ათი დანაშაული, რომლებზეც ყველაზე მეტი შუამდგომლობა შევიდა სასამართლოში (2023)**

დასახელება	განხილულია	სრულად/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა
ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (223 <sup>1</sup> -ე მუხლი)	197	189
თაღლითობა (180-ე მუხლი)	106	100
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრე-კურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (260-ე მუხლი)	69	61
ქრთამის აღება (338-ე მუხლი)	40	40
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი)	37	25
განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი)	34	23
გამოძალვა (181-ე მუხლი)	33	33
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მუხლი)	29	27
მითვისება ან გაფლანგვა (182-ე მუხლი)	27	25
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109-ე მუხლი)	18	16

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშში დამატებით მითითებულია სტატისტიკური მონაცემები ფარული ვიდეოჩანწერის ან/და აუდიოჩანწერისა ფოტოგადაღების შესახებ. კერძოდ, სამსახურის ცნობით, 2023 წელს საერთო სასამართლოებმა განიხილეს 1022 შუამდგომლობა, საიდანაც 956 სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (952 – სრულად, 4 – ნაწილობრივ) რაც 93.5 პროცენტს შეადგენს.<sup>182</sup>




პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2023 წელს საერთო სასამართლოებმა კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე სულ 3 შუამდგომლობა განიხილეს, საიდანაც 1 დაკმაყოფილდა, 2 – არა.<sup>183</sup>


უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია აჩვენებს, რომ 2022 წელს საერთო/საქალაქო სასამართლოებში სულ შევიდა 3250 შუამდგომლობა, საიდანაც სულ დაკმაყოფილდა 2882; აქედან სრულად – 2685, ხოლო ნაწილობრივ – 197). შესაბამისად, დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 88.7%-ს, რაც აჩვენებს, რომ 2022 წელს შუამდგომლობების დაკმაყოფილების დონე საკმაოდ მაღალია.

182 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (2023). „საქმიანობის ანგარიში“, 143. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1eisshkc>. განახლებულია: 02.04.2024.


183 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (2023). „საქმიანობის ანგარიში“, 150. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1eisshkc>. განახლებულია: 02.04.2024.



გარდა ჯამურად გამოყენებული ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა, როგორც აღინიშნა, უზენაესი სასამართლოს რეესტრი განცალკევებით აქვეყნებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის სტატისტიკას. სტატისტიკის მიხედვით, 2022 წელს სასამართლოში 1266 შუამდგომლობა შევიდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის თაობაზე, რაც მოქმედებების სრული ჯამის 47.1%-ს შეადგენს. ეს მონაცემი მიუთითებს, რომ პროკურატურა თვალთვალის მთავარ მექანიზმად სწორედ ფარული საგამოძიებო მოქმედების ამ სახეს იყენებს.



სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩანერასთან დაკავშირებით შუამდგომლობების დაკმაყოფილების დონე 84.7%-ია.



როგორც ვიცით, რეესტრი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების დეტალურ სტატისტიკას მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩანერასთან მიმართებით აქვეყნებს. მოცემული სტატისტიკის მიხედვით ირკვევა, რომ 2022 წელს ყველაზე ხშირად სატელეფონო მიყურადება ქურდული სამყაროს წევრობასთან დაკავშირებული საქმეების შემთხვევაში გამოიყენებოდა.


**ცხრილი 4: ათი დანაშაული, რომლებზეც ყველაზე მეტი შუამდგომლობა შევიდა სასამართლოში (2022)**

დასახელება	განიხილია	სრულად/ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა
ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (223'- ე მუხლი)	291	255
თაღლითობა (180-ე მუხლი)	140	122
ქურდობა (177-ე მუხლი)	100	56
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (260-ე მუხლი)	91	81
განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი)	68	60
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი)	55	34
გამოძალვა (181-ე მუხლი)	46	39
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მუხლი)	38	38
ქრთამის აღება (338-ე მუხლი)	33	31
ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (210-ე მუხლი)	32	30

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშში მითითებულია ცალკეული სტატისტიკა ფარული ვიდეოჩანერის ან/და აუდიოჩანერის, ფოტოგადაღების შესახებაც. სამსახურის მიხედვით, 2022 წელს სასამართლომ სულ განიხილა 888 შუამდგომლობა, რომელთაგან 820 სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (811 – სრულად, 9 – ნაწილობრივ), რაც შეადგენს 92.34%-ს.<sup>184</sup>


184 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (2023). „საქმიანობის ანგარიში“, 150. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1eissk>. განახლებულია: 02.04.2024.

გრაფიკი 11: ფარული ვიდეო ან/და აუდიოჩანაწერისა და ფოტოგადაღების  
სტატისტიკა (2023)




2021 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლოებში ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებით სულ შევიდა 3849 შუამდგომლობა, საიდანაც 3564 სრულად ან ნაწილობრივ (3497 – სრულად, 67 – ნაწილობრივ) დაკმაყოფილდა, რაც 92,6%-ს შეადგენს. ამ მონაცემების თანახმად, 2021 წელს ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაკმაყოფილების ხარისხი კიდევ უფრო მაღალი იყო, ვიდრე 2022 წელს.

გრაფიკი 12: ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების სტატისტიკა  
(2021)




სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის გამოყენების ნებართვის მოთხოვნით 2021 წელს სასამართლოში სულ 1207 შუამდგომლობა შევიდა, რაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჯამური რაოდენობის 31.4%-ია. ვინაიდან უზენაესი სასამართლო არ აქვეყნებს დეტალურ სტატისტიკას სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებით, შეუძლებელია სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადებისა და ჩანერის სიხშირის შედარება ფარული საგამოძიებო მოქმედების სხვა სახეებთან.

გრაფიკი 13: სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების სიხშირის მიმართება სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებების სიხშირესთან (2021)



სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების სტატისტიკა აჩვენებს, რომ 1207 შუამდგომლობიდან 1084 სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც შეადგენს 89.8%-ს.

გრაფიკი 14: სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების სტატისტიკა (2021)






სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2021 წელსაც, სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადება ყველაზე ხშირად ქურდული სამყაროს წევრობასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიმდინარეობდა.

*ცხრილი 5: ათი დანაშაული, რომლებზეც ყველაზე მეტი შუამდგომლობა შევიდა სასამართლოში (2021)*

დასახელება	განხილულია	სრულად/ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა
ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (223 <sup>1</sup> -ე მუხლი)	165	158
თაღითობა (180-ე მუხლი)	145	132
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი)	113	91
განზრახ მკვლელობა (118-ე მუხლი)	87	78
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (260-ე მუხლი)	87	76
ქურდობა (177-ე მუხლი)	65	50
გამოძალგა (181- მუხლი)	43	38
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (109-ე მუხლი)	37	33
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მუხლი)	34	34
ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (210-ე მუხლი)	34	32


2020 წელს საერთო სასამართლოებში ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებით სულ 3442 შუამდგომლობა შევიდა. აქედან 3274 სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც 95.12%-ს შეადგენს.

გრაფიკი 15: ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების სტატისტიკა (2021)




3442 შუამდგომლობიდან სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადებასთან დაკავშირებული სულ 997 მოთხოვნა იყო, რაც ჯამური შემადგენლობის 29%-ია.

გრაფიკი 16: სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების სიხშირის მიმართება სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებების სიხშირესთან (2020)



სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანწრის სტატისტიკა აჩვენებს, რომ 997 მოთხოვნიდან 932 სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც შეადგენს 93.4%-ს.

გრაფიკი 17: სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების სტატისტიკა (2020)




2020 წელსაც სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა ყველაზე ხშირად ქურდული სამყაროს წევრობის მუხლთან დაკავშირებით იყო გამოყენებული.

*ცხრილი ნ: ათი დანაშაული, რომლებზეც ყველაზე მეტი შუამდგომლობა შევიდა სასამართლოში (2021)*

დასახელება	განხილულია	დაკმაყოფილდა
ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (223 <sup>1</sup> -ე მუხლი)	113	107
თაღლითობა (180-ე მუხლი)	94	91
განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი)	92	86
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი)	71	63
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (260-ე მუხლი)	65	55
ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (210-ე მუხლი)	50	47
გამოძალვა (181-ე მუხლი)	43	42
ქურდობა (177-ე მუხლი)	41	31
ქრთამის აღება (338-ე მუხლი)	39	39
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109-ე მუხლი)	28	28

2016-2022 წლების ჯამური სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაკმაყოფილების დონე წლების განმავლობაში გარკვეულწილად მცირდება, თუმცა ის ყოველთვის აღემატება 88%-ს.




რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად ფარული საგამოძიებო მოქმედებები 2018 წელს გამოიყენებოდა, ხოლო დაკმაყოფილების პროცენტი ყველაზე მაღალი 2017 წელს იყო. აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე შუამდგომლობების რაოდენობა ფაქტობრივად განახევრდა. ამასთანავე, 2019 წლიდან, თანდათან, თუმცა მცირედით, იკლებს შუამდგომლობების დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელიც.

**ცხრილი 7: ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაკმაყოფილების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები**

წელი	სულ	სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	დაკმაყოფილების პროცენტი
2022	3250	2882	88.7
2021	3849	3564	92.6
2020	3442	3274	95.1
2019	7084	6775	95.6
2018	9606	9317	97
2017	6157	6015	97.7
2016	4150	3929	94.7

სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჯამური რაოდენობიდან სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის პროცენტული მაჩვენებელი ცვალებადია, თუმცა მისი წილი ყოველწლიურად სტაბილურად მატულობს.




თავის მხრივ, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის მოთხოვნით შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 2016-2023 წლებში 84-95%-ს შორის მერყეობს.

**ცხრილი 8: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის დაკმაყოფილების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები**

წელი	სულ	სრულად/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა	დაკმაყოფილების პროცენტი
2016	401	345	56	86
2017	548	521	27	95
2018	1059	981	78	92.6
2019	1037	904	133	87.18
2020	997	932	65	93.5
2021	1207	1089	118	89.8
2022	1266	1073	193	84.76

გრაფიკი 20: სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების დაკმაყოფილების მაჩვენებელი (%)



ჭამურად, 2020-2023 წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ყოველწლიურად ორი დანაშაული, რომელთა მიმართაც ყოველწლიურად ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა, იყო ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (223<sup>1</sup>-ე მუხლი) და თაღლითობა (180-ე მუხლი).

## 2.12 შეჯამება

ამ თავში მიმოხილული იყო ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე სასამართლო ზედამხედველობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა და მისი აღსრულების პრაქტიკა.

კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ სასამართლოს ზედამხედველობას მხოლოდ რეაქციული ხასიათი აქვს, ანუ მოსამართლე ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მსჯელობას მხოლოდ პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში ან მოქალაქის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების გასაჩივრების შემთხვევაში იწყებს. კანონმდებლობა თვალთვალის მიმდინარეობის ეტაპებს მხოლოდ კალენდარულად, 90-დღიანი ვადების ინტერვალებით აღიქვამს და არ ასახავს აკადემიურ ლიტერატურასა და საერთაშორისო რეკომენდაციებში ხაზგასმულ პრაქტიკას ზედამხედველობის სამ, შინაარსობრივად განსხვავებულ ეტაპად (ავტორიზაცია, მონიტორინგი და ex post facto შემოწმება) დაყოფის საჭიროების შესახებ. შესაბამისად, გარ-

და სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შესაძლებლობისა, სასამართლო ზედამხედველობა არ ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის სრულ ციკლზე და კონტროლს მიღმა რჩება ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების პროცესის დიდი ნაწილი, რადგან სასამართლოს არ აქვს თვალთვალის პროცესის პროაქტიული მონიტორინგის ბერკეტები, ასევე, დასრულების შემდგომ მისი კანონიერებისა და საჭიროების საკუთარი ინიციატივით შეფასების საშუალება. კანონმდებლობით გათვალისწინებული თვალთვალის და შეტყობინების გადავადების გაუმართლებლად გრძელი ვადების გათვალისწინებით, სასამართლო ზედამხედველობის პროაქტიული მექანიზმების არარსებობა უკიდურესად ზრდის ადამიანის უფლებების დარღვევისა და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან თვითნებობის რისკებს.

გარდა ამისა, სასამართლო ზედამხედველობის არქიტექტურა ფაქტობრივად მხოლოდ ორი სუბიექტის, მოსამართლისა და პროკურორისგან შედგება, და ის პირდაპირ არ მიემართება ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, რომელიც პროკურორის მითითებით ექსკლუზიურად ახორციელებს მთელ რიგ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონმდებლობა რეალისტურად არ აფასებს იმ რისკებს, რომლებიც თან ახლავს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ამ მოქმედებების ტექნიკურ განხორციელებას და მასზე სუს-ის შესაძლო ზეგავლენას. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შეზღუდული ჩართულობა და სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობის ნაკლებობა სასამართლოსა და პროკურატურას შორის ზედმეტად ახლო, თანამშრომლური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობას ქმნის, რომლის დროსაც, მოსამართლე, რომელიც ნაკლებად განიცდის პირდაპირი საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ტვირთს, შეიძლება ზედმეტად მიენდოს პროკურატურის მიერ მოწოდებულ ცნობებს და კრიტიკულად არ შეაფასოს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ამგვარი „სიმბიოზის“ განვითარების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, რომ სასამართლო ზედამხედველობის პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს, მაგალითად, ზედამხედველობის პროცესში სახალხო დამცველის ინსტიტუტის ან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფრო აქტიურად ჩართვის გზით.

აქვე, აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა არასრულყოფილია, არ იძლევა ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებული ტენდენციების გამოვლენის საშუალებას

და ვერ აკმაყოფილებს სასამართლო ზედამხედველობის გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტებს. სტატისტიკის ხარვეზიანობასთან ერთად, უზენაესი სასამართლო გამოირჩევა საჯარო ინფორმაციის გაცემის ნების ნაკლებობით, რაც ასევე აფერხებს სამოქალაქო ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას.

ამდენად, საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის წესი საკმაოდ ცხადად არის მოწესრიგებული, მაგრამ გათვალისწინებული არ არის ჩატარების პროცესის მიმდინარეობისა და დასრულების შემდგომ შემონმების პროაქტიული ბერკეტები, რაც ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების პროცესის დიდ ნაწილს სასამართლო ზედამხედველობის მიღმა ტოვებს. ამასთანავე, კანონმდებლობა სათანადოდ არ პასუხობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების თანმდევ ინსტიტუციურ (სააგენტოს სუს-ის მმართველობაში ყოფნა) და ტექნიკურ (სააგენტოს მიერ მონაცემების თვითნებური კოპირების შესაძლებლობა) რისკებს.



## თავი 3. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ სპეციალურ ღონისძიებებზე სასამართლო კონტროლი

### 3.1. შესავალი

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები საგამოძიებო რეჟიმის გარდა, კონტრდაზვერვით მიზნებსაც ემსახურება. განსხვავებით პირველი პროცესისგან, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებები სავარაუდო დანაშაულის გამოძიებისას, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში გამოიყენება, კონტრდაზვერვით საქმიანობას არასამართლდაცვითი მიზნები აქვს. მისი მთავარი ამოცანა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებიდან მომდინარე საფრთხისგან სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაა მათი გამოვლენისა და თავიდან აცილების გზით. კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია და საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ხელმისაწვდომი არ არის საქმიანობის შედეგად მოპოვებული მასალები, რადგან ისინი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. განსხვავებით საგამოძიებო რეჟიმისგან, კონტრდაზვერვითი საქმიანობის დროს სპეციალური ღონისძიებების გამოყენება არ ექვემდებარება სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებების რეგულირების სფეროს. შესაბამისად, მწირია იმ ბერკეტების ჩამონათვალი, რომლებიც დააბღვევდა კონტრდაზვერვითი ღონისძიებების არალეგიტიმურ და უკანონო გამოყენებას.

კვლევის ეს ნაწილი მიმოიხილავს კონტრდაზვერვითი საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას და ამ პროცესში გამოყენებულ სპეციალურ ღონისძიებებზე, განსაკუთრებით, ელექტრონულ თვალთვალზე, სასამართლო კონტროლის განმსაზღვრელ საკანონმდებლო ჩარჩოს. წინამდებარე თავი აანალიზებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზედამხედველი მოსამართლის კონტროლის ბერკეტებს კონტრდაზვერვით საქმიანობაზე. გარდა ამისა, მიმოიხილულია სისტემის ინსტიტუციური მონაცემები, უფლებამოსილებების გამიჯვნის პრობლემა კონტრდაზვერვით საქმიანობაში ჩართულ სხვადასხვა უწყებას შორის, მათი ფართო ძალაუფლება, ზოგიერთი სპეციალური ღონისძიების განჭვრეტადობის პრობლემა და საჭარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გამოწვევები.

## 3.2. სპეციალური ღონისძიებების სახეები

საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ ადგენს იმ სპეციალური ღონისძიებების სიას, რომლებიც გამოიყენება კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელებისას. განსხვავებით სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების რეჟიმისგან, რომელიც ემსახურება დასჯადი ქმედების შემადგენლობის განხორციელების სავარაუდო შემთხვევის დადგენას, კონტრდაზვერვითი საქმიანობა უსაფრთხოების სექტორში საქმიანობის სპეციალური სახეა, რომლის მიზანია ისეთი სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების გამოვლენა და თავიდან არიდება, რომლებიც მომდინარეობს უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა თუ პირების მიერ სადაზვერვო ან და ტერორისტული საქმიანობიდან.<sup>185</sup> შესაბამისად, კონტრდაზვერვით საქმიანობაზე სისხლის სამართლის გამოძიებისგან განსხვავებული კონტროლის რეჟიმი მოქმედებს, რადგან ის არ ემსახურება სამართალდაცვით მიზნებს.<sup>186</sup>

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და უწყებების კოორდინაციაზე პასუხისმგებელია სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი.<sup>187</sup> გარდა ამისა, საქმიანობაში ჩართულები არიან „სპეციალური სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში“. დამატებითი ინფორმაცია ამ უწყებების შესახებ კანონმდებლობით დაზუსტებული არ არის, თუმცა მათ მინიჭებული აქვთ ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესასრულებლად აუცილებელია.<sup>188</sup>

ნიშანდობლივია, რომ კონტრდაზვერვით საქმიანობაში ჩართული უწყებები არა კანონის დონეზე, არამედ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.<sup>189</sup> სპეციალურ სამსახურებს, კანონმდებლობით, ფართო ძალაუფლება აქვს მინიჭებული, რომელთა განხორციელებაც უკავშირდება ადამიანის არაერთი, მათ შორის, პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვას. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილება ამომწურავად ჩამოთვლის უწყებებსა და მათში შემავალ კონკრეტულ დეპარტამენტებს, რომლებსაც

---

185 საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, 1-ლი მუხლი.

186 იქვე, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

187 იქვე, მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი.

188 იქვე, მე-8 მუხლი.

189 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის №448 დადგენილება „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სპეციალური სამსახურების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება შეუძლია, პრობლემურია, რომ მსგავსი უფლებამოსილებების მქონე ორგანოები კანონმდებლობის დონეზე არ რეგულირდება და მთავრობას შეუძლია ნებისმიერ დროს გააფართოს ან დაავიწროოს სპეციალური სამსახურების სია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა არ იძლეოდეს, მათ შორის, მთავრობის მიერ, ნორმის ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ჰქონდეს სრული *carte blanche* იმ უწყებების განსასაზღვრად, რომლებმაც შესაძლოა განახორციელონ კონტრდაზვერვითი/სადაზვერვო საქმიანობა.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, სპეციალური სამსახურები უფლებამოსილი არიან გამოიყენონ სპეციალური, ოპერატიული ან ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები. პირველი კატეგორია გულისხმობს, ოპერატიული საქმიანობის ფარგლებში, უცხო ქვეყნისგან მომდინარე სადაზვერვო ან ტერორისტული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ღია ან ფარული მეთოდების გამოყენებით.<sup>190</sup> მეორე შემთხვევაში, იმავე საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენება ტექნიკური საშუალებები.<sup>191</sup>

საინტერესოა, რომ კანონმდებლობა ცალსახად არ განმარტავს ოპერატიული საქმიანობის არსს. მაგალითად, თუ ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობა კანონით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებითა და ღონისძიებებით (მაგალითად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა) ინფორმაციის მოპოვებაა, ოპერატიული საქმიანობის შესახებ მხოლოდ მისი მიზანია ცნობილი. არ არის დაკონკრეტებული, რა მეთოდებსა და ღონისძიებებს შეიძლება გულისხმობდეს ოპერატიული საქმიანობა. ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩამონათვალი კანონმდებლობაში ამომწურავადაა ჩამოთვლილი.<sup>192</sup> თუმცა, კანონმდებლობა სპეციალურ სამსახურებს გადაანდობს ოპერატიული ღონისძიებების სახეების განსაზღვრას, შესაბამისად, უცნობია, რა ტიპის აქტივობებს მოიცავს ის.<sup>193</sup> კანონმდებლის მსგავსი მიდგომა სპეციალურ სამსახურებს საშუალებას აძლევს, რომ ოპერატიულ საქმიანობად მიიჩნიოს ნებისმიერი ტიპის ღონისძიება ან მეთოდი, რომელიც ინფორმაციის შეგროვებას ემსახურება დასახული მიზნის მისაღწევად. ამ ღონისძიებებზე ზედამხედველობის ერთადერთი მექანიზმი კი შიდა უწყებრივი კონტროლია,

190 საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

191 იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

192 იქვე, მე-2 ნაწილი.

193 იქვე, 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

რადგან ის არ ექვემდებარება სასამართლოს მიერ ღონისძიებების გამოყენების კანონიერების შემონახვას.

თავისთავად, უსაფრთხოების სექტორში შემავალი ინსტიტუტები უნდა ფლობდნენ გარკვეულ თავისუფლებას კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელების დროს მეთოდებისა და ღონისძიებების შერჩევაში, თუმცა ამ საკითხის უწყებებზე სრულად გადანდობა საკანონმდებლო ხარვეზად უნდა შეფასდეს. სპეციალური სამსახურები მკაცრად დახურული, ცენტრალიზებული უწყებებია, რომლებიც ხშირად აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალს ექვემდებარება და შეზღუდულია მათ ქმედებებზე დემოკრატიული კონტროლი. ამასთანავე, არ არის საჭარო ის აქტები, რომლებითაც უწყებები ოპერატიული ღონისძიებების სახეებს განსაზღვრავენ. შესაბამისად, ამგვარი რეგულირება განჭვრეტადი არ არის და სამიზნე პირებს არ აწვდის სრულ ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, მათ მიმართ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელდეს. მსგავსი უკონტროლო მიდგომის პირობებში, სპეციალურ სამსახურებს შეუძლიათ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში მოაქციონ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ინტენსიურად ერევა ადამიანის უფლებებში ისე, რომ მათზე არ განხორციელდეს დემოკრატიული კონტროლი. ხოლო ამისთვის გამოიყენონ უსაფრთხოების დაცვის არგუმენტი.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების სიას. ინფორმაციის შეგროვების მიზნით, სპეციალური სამსახურები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: (1) ფარული ვიდეო- და აუდიოჩანერა; (2) ფარული კინო- და ფოტოგადაღება; (3) სატელევიზიო კამერებისა და სხვა სახის ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება; (4) ელექტრონული თვალთვალი; (5) საფოსტო კორესპონდენციის კონტროლი; (6) სტრატეგიული მონიტორინგისა და (7) ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებები.<sup>194</sup> კანონმდებლობა აზუსტებს, რომ ელექტრონული თვალთვალი, თავის მხრივ, მოიაზრებს 3 ტიპის ღონისძიებას:

- (1) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა;
- (2) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან;
- (3) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა.<sup>195</sup>

---

194 იქვე, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

195 იქვე, მე-4 ნაწილი 3.

ამ ღონისძიებების უმრავლესობა, ასევე გამოიყენება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროსაც და იგივე მნიშვნელობას ატარებს, თუმცა საინტერესოა 3 სპეციალური მეთოდი, რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში გამოიყენება. ესენია:

- (1) სატელევიზიო კამერების და სხვა სახის ელექტრონული მონაცემების გამოყენება;
- (2) ინდივიდუალური მონიტორინგი;
- (3) სტრატეგიული მონიტორინგი.

ამ ტიპის ღონისძიებები არ გვხვდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამონათვალში.

პირველ შემთხვევაში, კანონმდებელი სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს უფლებამოსილებას ანიჭებს, ნებართვა გაცეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სატელევიზიო კამერებისა და სხვა ელექტრონული მონაცემების გამოყენებაზე.<sup>196</sup> ბუნდოვანია, რას გულისხმობს ეს კონკრეტული ღონისძიება. ჩანანერში არ ზუსტდება ის ელექტრონული მონაცემები, რომელთა გამოყენების უფლებაც კონტრდაზვერვით საქმიანობაში ჩართულ სუბიექტებს აქვთ. მსგავსი მიდგომა, შესაძლოა, ნიშნავდეს იმას, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სპეციალურ სამსახურებს, უფლება აქვთ გამოიყენონ ნებისმიერი პირის, მათ შორის, რიგითი მოქალაქეების კუთვნილი ელექტრონული მონაცემები (ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა) კონტრდაზვერვის მიზნებისთვის. კანონმდებლობა მიუთითებს სატელევიზიო კამერების გამოყენებაზეც, რაც სავარაუდოდ მაუწყებლების კუთვნილი ტექნიკით სარგებლობას გულისხმობს, მაგრამ ორივე შემთხვევაში, შეუძლებელია იმის დადგენა, მონაცემების როგორი გამოყენებაა განსაზღვრული და გულისხმობს თუ არა ის, მაგალითად, მათში შეღწევას კონკრეტული ინფორმაციის ამოღების მიზნით. გარდა ამისა, დაზუსტებული არ არის, საჭიროებენ თუ არა სპეციალური სამსახურები ელექტრონული მონაცემების მფლობელების ნებართვას ან თანხმობას მათი ტექნიკის კონტრდაზვერვითი მიზნით გამოყენების შესახებ.

ბუნდოვანებასთან ერთად, პრობლემაა ის, რომ მსგავსი შინაარსის ნორმაზე არ ვრცელდება ეფექტიანი კონტროლი და ერთადერთი უფლებამოსილი

---

196 იქვე, მე-17 მუხლი.

პირი, რომელსაც ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელია. ამ ნაწილში, კანონმდებლობის კიდევ ერთი ხარვეზი ვლინდება. კერძოდ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, სპეციალური სამსახური არის ის უწყება ან უწყების შესაბამისი ქვედანაყოფი, რომელიც, მთავრობის დადგენილებით, უფლებამოსილია გამოიყენოს კონტრდაზვერვის სპეციალური ღონისძიებები. მაგალითად, სუს-ს, როგორც ცალკე უწყება არ არის კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის სპეციალური სამსახური. მის მხოლოდ ზოგიერთ დეპარტამენტს აქვს უფლებამოსილება განახორციელოს კონტრდაზვერვითი საქმიანობა. შესაბამისად, როდესაც კანონმდებლობა განმარტავს ნებართვის გამცემ პირად სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს, ის არ აზუსტებს საუბარია პოლიტიკური თანამდებობის პირზე, მაგალითად, სუს-ის უფროსზე ან შსს-ის მინისტრზე, თუ სპეციალურ სამსახურად განსაზღვრული დეპარტამენტის, მაგალითად, სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსზე. მსგავსი საკანონმდებლო ჩანაწერი მიუთითებს იმაზე, რომ სპეციალური ღონისძიებების განხორციელებისას ნებართვა გაიცემა არა ინსტიტუტის (მაგალითად, შსს, სუს-ი) უმაღლესი ხელმძღვანელის, არამედ მისი კონკრეტული ქვედანაყოფის (მაგალითად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი), ანუ რომელიმე დეპარტამენტის უფროსის მიერ.

ინდივიდუალური და სტრატეგიული მონიტორინგის მნიშვნელობა სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ კანონით განიმარტება. სპეციალური ღონისძიების პირველი სახე გულისხმობს საქართველოს ტერიტორიის გარეთ ან იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, კონკრეტული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ტექნიკური იდენტიფიკატორის მეშვეობით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული სატელეკომუნიკაციო შეტყობინებების მონიტორინგს.<sup>197</sup> ხოლო მეორე ღონისძიება, ამავე პრინციპის დაცვით, არა კონკრეტულ, არამედ ზოგადი სატელეკომუნიკაციო ნაკადის მონიტორინგს.<sup>198</sup> ამ ორ ღონისძიებაზე დამატებით ინფორმაციას კანონმდებლობა არ იძლევა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ პირველ შემთხვევაში საუბარია ტარგეტირებულ მონიტორინგზე, რაც გულისხმობს კონკრეტულ პირთან ან პირებთან დაკავშირებული სატელეკომუნიკაციო შეტყობინებების კონტროლს. მეორე შემთხვევაში, ღონისძიება უნდა მოიცავდეს ზოგად სატელეკომუნიკაციო მონიტორინგს, სადაც სტრატე-


---

197 საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“, მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

198 იქვე, „ა“ ქვეპუნქტი.

გიულად, სავარაუდოდ, თემატიკისა და შინაარსის გათვალისწინებით, სპეციალური სამსახურის წარმომადგენელი მონიტორინგს უწევს შეტყობინებების ნაკადს და ეძებს მისთვის საინტერესო, გამოსადეგ ინფორმაციას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ამ ორი სპეციალური ღონისძიების ზოგადი მიზანია მოიპოვოს ინფორმაცია ისეთი ქმედებების შესახებ, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ არის მიმართული.

### გრაფიკი 21: სპეციალური ღონისძიებების სახეები



### 3.3. სპეციალური ღონისძიებების განმახორციელებელი სუბიექტები


იმ უწყებებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ დაზვერვითი/კონტრდაზვერვითი საქმიანობა, საქართველოს მთავრობის დადგენილება განსაზღვრავს. ამ საკითხის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დონეზე რეგულირების პრობლემურობა დოკუმენტის წინა ქვეთავშია მიმოხილული. იმ სპეციალური სამსახურების სია, რომლებიც საქართველოში კონტრდაზვერვითი საქმიანობის უფლებით არიან აღჭურვილნი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებითაა დაზუსტებული. ძირითადი ორი უწყება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საფრთხის გამოვლენასა და პრევენციას, არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს-ი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს).<sup>199</sup> გარდა ამისა, ინდივიდუალური და სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილებას, მთავრობა ანიჭებს საქართველოს დაზვერვის სამსახურსა და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტსაც. აქტი ამომწურავად ჩამოთვლის სუს-ისა და შსს-ის იმ სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებსაც დაზვერვითი/კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში სპეციალური

<sup>199</sup> საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის №448 დადგენილება „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სპეციალური სამსახურების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე.



ლონისძიებების გამოყენება შეუძლიათ და წარმოადგენენ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონით დადგენილ სპეციალურ სამსახურს. ესენია: სუს-ის (1) გენერალური ინსპექცია; (2) კონტრდაზვერვის დეპარტამენტი; (3) კონტრტერორისტული ცენტრი; (4) სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი; (5) უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის დეპარტამენტი; შსს-ის (1) გენერალური ინსპექცია; (2) სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი; (3) საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

**გრაფიკი 22: სპეციალური სამსახურები, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ კონტრდაზვერვითი საქმიანობა<sup>200</sup>**



200 \*შენიშვნა: საქართველოს დაზვერვის სამსახურსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში შეუძლიათ მხოლოდ სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება.

### 3.4. სპეციალური სამსახურების კომპეტენციები და უფლებამოსილებების დუბლირების პრობლემა

კონტრდაზვერვით საქმიანობაში ჩართულ სპეციალურ სამსახურებს კანონმდებლობა ფართო ძალაუფლებას ანიჭებს. გარდა კონტრდაზვერვითი ფუნქციებისა, ხშირად, ისინი საგამოძიებო უფლებამოსილებასაც ახორციელებენ. კვლევის ამ ნაწილში, აღწერილია სპეციალური სამსახურების კომპეტენციები და განხილულია მათი უფლებამოსილებების დუბლირების პრობლემა.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის კოორდინაციასა და ორგანიზაციაზე პასუხისმგებელია სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი.<sup>201</sup> ეს სტრუქტურული ერთეული აღჭურვილია როგორც მაკოორდინირებელი, ისე ანალიტიკური და საგამოძიებო ფუნქციებით. პირველ რიგში, ის თავად ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას და გამოავლენს, თავიდან აიცილებს და აღკვეთს უცხო ქვეყნის წარმომადგენლების ისეთ საქმიანობას, რომელიც საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული.<sup>202</sup> გარდა ამისა, ის ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, იყენებს სისხლის საპროცესო სამართლებრივ იძულების ღონისძიებებს და იძიებს მის ქვემდებარეობაში მოქცეულ სისხლის სამართლის საქმეებს.<sup>203</sup> მის ფუნქციებში ასევე შედის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია, მათი შესრულების კონტროლი და იმ პირების შემოწმება, რომლებიც დაიშვებიან საიდუმლო ინფორმაციასთან.<sup>204</sup> შესაბამისად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი უფლებამოსილების ფართე სპექტრითაა აღჭურვილი.

კონტრტერორისტული ცენტრის ფუნქციები უფრო კონკრეტულია. მისი მთავარი ამოცანა ტერორიზმთან ბრძოლაა. ამ უფლებამოსილებას ის ახორციელებს როგორც საგამოძიებო, ისე პრევენციული ღონისძიებების გატარებით. კონტრტერორისტულ ცენტრს შეუძლია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და აწარმოოს მის კომპეტენციაში შემავალ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება.<sup>205</sup>

---

201 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-7 მუხლის „8“ ქვეპუნქტი.

202 იქვე.

203 იქვე.

204 იქვე.

205 იქვე, „3“ ქვეპუნქტი.

კიდევ ერთი უწყება, რომელიც კონტრდაზვერვით საქმიანობაშია ჩართული, სუს-ის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი. მისი ამოცანები მოიცავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციური წყობილებისა და სუვერენიტეტის, სახელმწიფო კონსტიტუციური სისტემისა და ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლისგან დაცვას.<sup>206</sup> მის კომპეტენციებში შედის, მათ შორის, პოლიტიკური და ეკონომიკური საფრთხის პროგნოზირება, გამოვლენა და აღკვეთა. სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი, ერთი მხრივ, პასუხისმგებელია ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე, ხოლო, მეორე მხრივ, იძიებს და აღკვეთს მის ქვემდებარეობაში არსებულ სისხლის სამართლის დანაშაულებს. კანონმდებლობის თანახმად, მის ქვემდებარეობაში შედის ისეთი დანაშაულის გამოძიება, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ ან შეიცავს ექსტრემიზმის ნიშნებს. საინტერესოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს „ექსტრემიზმის ნიშნების“ შემცველი დანაშაულის ცნებას. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, გარდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა (როგორებიცაა, მაგალითად, ჯაშუშობა, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება ან სხვ.)<sup>207</sup>, კიდევ რა ტიპის ქმედების შემადგენლობა ჯდება სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ქვემდებარეობაში.

სამივე დეპარტამენტი ჩაბმულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის როგორც გამოვლენაში, ისე პრევენციაში და აღკვეთაში. შესაბამისად, მათ გააჩნიათ არა მხოლოდ ანალიტიკური, არამედ კონტრდაზვერვითი და საგამოძიებო ფუნქციები. სუს-ის დეპარტამენტების საქმიანობის მსგავსი განზოგადებული აღწერა ცხადყოფს, რომ შიდა ინსტიტუციურ გამონწვევებს შორისაა სტრუქტურულ ერთეულებს შორის უფლებამოსილებების გადაფარვა. მაგალითად, გაურკვეველია, რა ტიპის დანაშაული შეიძლება გამოიძიოს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თითქმის სრული ჩამონათვალი კონტრტერორისტული ცენტრისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქვემდებარეობაშია.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ კონტრდაზვერვით საქმიანობას, თავისი ბუნებით, არასამართალდაცვითი მიზნები აქვს, კანონმდებლობა უშვებს შემთხვევებს, როდესაც კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენება გამოძიების მიზნებისთვის. გარდა სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებებისა, ნებისმიერი სპეციალური ღონისძიების ჩატარებისას მოპოვებული ინფორმაცია, სპეციალური სამსახურს,

---

206 იქვე, „თ“ ქვეპუნქტი.

207 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, მე-11 კარი.

შეუძლია გადასცეს საგამოძიებო ორგანოს სავარაუდო დანაშაულზე გამოძიების დასაწყებად ან არსებულ გამოძიებაში გამოსაყენებლად.<sup>208</sup> ინფორმაციის გადაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი, თუმცა ბუნდოვანია საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი სამსახური მოპოვებულ მასალებს გადასცემს საგამოძიებო ორგანოს. მაგალითად, მსგავს საფუძვლებში შედის ინფორმაციის მნიშვნელობა გამოძიებისთვის, გადაუდებელი აუცლებლობა ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად, ან ისეთი დანაშაულის გამოძიების მიზანი, რომელზეც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.<sup>209</sup>

შესაბამისად, ერთი მხრივ, სუს-ის ზემოხსენებულ დეპარტამენტებს შეუძლიათ კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის გამოიყენონ სპეციალური ღონისძიებები, მათ შორის, ისეთი, რომლებზეც არ ვრცელდება სასამართლო კონტროლი. მეორე მხრივ, თავადვე გამოიყენონ მოპოვებული ინფორმაცია სუს-ის ქვემდებარებაში არსებული დანაშაულების გამოსაძიებლად. შესაბამისად, სამართალდაცვითი და არასამართალდაცვითი ფუნქციების მსგავსი აღრევა უკონტროლოს ხდის სუს-ის უფლებამოსილებებს და აჩენს რისკს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია უწყებამ გამოიყენოს საგამოძიებო მიზნებისთვის მაშინ, როდესაც ის ვერ აკმაყოფილებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის კანონმდებლობით დადგენილ მტკიცების სტანდარტებს. ამ რისკს ისიც ზრდის, რომ კონტრდაზვერვით და საგამოძიებო რეჟიმებში თითქმის იდენტური ღონისძიებების ჩამონათვალი გვხვდება. ერთადერთი განსხვავება მათი გამოყენებისას ის არის, რომ გამოძიების რეჟიმში, ნებისმიერი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება საჭიროებს მტკიცების სტანდარტის მიღწევას და სასამართლოს ნებართვას. მსგავსი კონტროლი კი კონტრდაზვერვით რეჟიმში მხოლოდ ელექტრონული თვალთვალის მექანიზმზე გვხვდება.

ზემოაღნიშნული 3 დეპარტამენტის მიღმა, კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებს სუს-ის უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის დეპარტამენტი, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტებისათვის უსაფრთხოების რეჟიმის დადგენასა და მით მიმართ არსებული საფრთხეების გამოვლენაზეა პასუხისმგებელი.<sup>210</sup>

---

208 საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, მე-14<sup>8</sup> მუხლი.

209 იქვე.

210 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-7 მუხლის „თ1“ ქვეპუნქტი.

კონტრდაზვერვით საქმიანობას ეწევა შსს-ში შემავალი 2 ძირითადი დანე-  
სებულება – სასაზღვრო პოლიცია და სტრატეგიული მილსადენების დაცვის  
დეპარტამენტი. სასაზღვრო პოლიცია პასუხისმგებელია სახელმწიფო საზღვ-  
რისა და საზღვაო სივრცის დაცვაზე, სხვა უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტო-  
რიული მთლიანობის, საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალა-  
ქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვაზე.<sup>211</sup> რაც შეეხება სტრატეგიული  
მილსადენების დაცვის დეპარტამენტს, მისი მთავარი ფუნქციაა ქვეყნის ტერი-  
ტორიაზე გამავალი სტრატეგიული მილსადენების და მათი ინფრასტრუქტუ-  
რული ობიექტების დაცვა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.<sup>212</sup>

საქართველოს მთავრობის დადგენილება დამატებით განსაზღვრავს სუს-ისა  
და შსს-ს გენერალურ ინსპექციებს კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმა-  
ხორციელებელ სუბიექტებად. ეს სტრუქტურული ერთეულები უწყებების შიდა  
კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.<sup>213</sup>

სპეციალური ღონისძიებების განმახორციელებელი სუბიექტების, განსაკუთ-  
რებით სუს-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ხშირ შემთხვევაში ზო-  
გადი და დუბლირებულია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარდა საქართველოს  
გენერალური პროკურორის ბრძანებისა, რომელიც სისხლის სამართლის  
საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის სა-  
კითხს განსაზღვრავს, საჯაროდ ხელმისაწვდომ ნორმატიულ წყაროებში არ  
გვხვდება სუს-ის უფროსის ბრძანება ან სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული  
აქტი, რომელიც განსაზღვრავდა საგამოძიებო ფუნქციის განაწილებას სუს-ის  
დეპარტამენტებს შორის. აგრეთვე, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის სუს-ში  
შემავალი იმ დეპარტამენტების დებულებები, რომლებიც ჩართულნი არიან  
კონტრდაზვერვით საქმიანობაში ან ახორციელებენ სპეციალურ ღონისძი-  
ებებს. სხვა შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეულების დებულებები საჯაროდ  
ხელმისაწვდომია.<sup>214</sup>

211 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის №786 ბრძანება  
„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლი.

212 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილება „საქართველოს  
შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-10 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

213 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილება „საქართველოს  
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, 50-ე მუხლის მე-4  
ნაწილი.

214 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/kwBhd5Gx>, განახლებულია: 19.02.2024.

სტრუქტურული ერთეულის დებულება, თავისთავად, არ შეიძლება იყოს სრულად გასაიდუმლოებული დოკუმენტი. ის მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინფორმაციას, როგორცაა დეპარტამენტის სამართლებრივი მოწყობა და ორგანიზაცია, მისი ძირითადი ამოცანები, ზოგადი კომპეტენცია და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, ეს a priori არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ტიპის საჯარო ინფორმაციას დეპარტამენტების შესახებ საზოგადოება არ უნდა ფლობდეს. სუს-ის ამ დეპარტამენტებს კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიღმა სხვა ფუნქციებიც აქვთ, რომლებზეც სისხლისსამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება. ამასთანავე, კანონმდებლობით დადგენილია ინფორმაციის დასაიდუმლოების სტანდარტი, რომელიც ინფორმაციისთვის ამ სტატუსის მინიჭებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს მიზანშეწონილად, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად.<sup>215</sup> გარდა ამისა, აუცილებელია ზიანის დასაბუთებაც ნებისმიერი ინფორმაციის დასაიდუმლოების პროცესში.

ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ კონტრდაზვერვით საქმიანობაში ჩართული სპეციალური სამსახურები აკმაყოფილებდნენ გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს მაინც, რაც არ შეაფერხებდა მათ საქმიანობას და უარყოფით გავლენას არ მოახდენდა საზოგადოებრივ და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე. ამგვარ ინფორმაციას განეკუთვნება ზოგადი მონაცემები დეპარტამენტების სტრუქტურის, ორგანიზაციის, ამოცანებისა და მუშაობის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეფუძნება კონსტიტუციასა და უსაფრთხოების სექტორის მარეგულირებელ მოქმედ კანონმდებლობას.

### 3.5. სპეციალური ღონისძიებების სამიზნე ობიექტები

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისგან განსხვავებით, სადაც სუბიექტთა წრე დამოკიდებულია გამოძიების ფარგლებში გამოკვეთილ გარემოებებზე, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ობიექტის ცნება გაცილებით უფრო ფართოა. კანონმდებლობის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა ხორციელდება კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მას არ აქვს სამართალდაცვითი ფუნქცია. შესაბამისად, სპეციალური ღონისძიებების სამიზნე ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმა-

---

215 საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, მე-2<sup>1</sup> მუხლი.

ხორციელებელი ორგანოსთვის შესაძლოა წარმოადგენდეს ისეთ საფრთხეს, რომელიც გამომდინარეობს უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან.<sup>216</sup>

სპეციალური სამსახურები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ კონტრდაზვერვითი საქმიანობა ნებისმიერ პირზე, მიუხედავად მათი მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობის, რელიგიური აღმსარებლობისა და პოლიტიკური მრწამსისა.<sup>217</sup> კანონმდებლობის ერთადერთი შეზღუდვა კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელების ადგილს უკავშირდება. სპეციალურ სამსახურებს მსგავსი უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე აქვთ.<sup>218</sup> შესაბამისად, სისხლისსამართლებრივისგან განსხვავებით, კონტრდაზვერვითი რეჟიმი სპეციალურ სამსახურებს აძლევს შესაძლებლობას, დასაბუთების გარეშე გამოიყენოს ზოგიერთი სპეციალური ღონისძიება ნებისმიერი პირის მიმართ.

კანონმდებლობა ადგენს სპეციალური ღონისძიებების განხორციელების შემდეგ საფუძვლებს:

- მონაცემები ფაქტებისა და მოვლენების, ან მათი ნიშნების, შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის, ან რომლებსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას;
- მონაცემები უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ან უცხო ქვეყნის წარმომადგენლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების მომზადებასთან ან განხორციელებასთან, ან არსებობს საფუძველი ასეთი ვარაუდისათვის;
- მონაცემები საქართველოს პირის შესახებ, რომლებიც მიუთითებს მის კავშირზე უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან.<sup>219</sup>

---

216 საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, 1-ლი მუხლი.

217 იქვე, მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი.

218 იქვე.

219 იქვე, მე-10 მუხლი.

კანონმდებლობით შემოთავაზებული საფუძვლები, რომელთა არსებობაც საკმარისია კონტრდაზვერვითი საქმიანობის განსახორციელებლად, არის ზოგადი და არაგანჭვრეტადი. კანონმდებლობა არ განმარტავს რიგ ტერმინოლოგიას. მაგალითად, არ არის ცნობილი, რა ტიპის მონაცემი/ინფორმაცია შეიძლება გახდეს საკმარისი სპეციალური ღონისძიებების განსახორციელებლად. გარდა ფაქტებისა და მოვლენებისა, ბუნდოვანია, რას გულისხმობს ნიშნების არსებობა სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისა. გარდა ამისა, კანონმდებლობა უშვებს არა ფაქტებსა და მონაცემებზე დამყარებულ მოქმედებებს, არამედ პროცესში შემოდის ვარაუდი, რომ კონკრეტული პირი ან ორგანიზაცია, თავისი საქმიანობით, შესაძლოა, ამზადებდეს ან ახორციელებდეს ისეთ ქმედებებს, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგაა მიმართული ან დაკავშირებულია ტერორიზმთან.

საფუძვლების მსგავსი ზოგადი და ბუნდოვანი განმარტება ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში წარმოშობს რისკს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელმა ორგანოებმა თავად განსაზღვრონ რა ტიპის საქმიანობას, ფაქტებს, მოვლენებს ან პირებს მიიჩნევენ სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხედ. ცალსახაა, რომ კანონმდებლის ენა ყველანაირ თავისუფლებას ანიჭებს სპეციალურ სამსახურებს, რომ ნებისმიერი პირი, ორგანიზაცია, ქმედება ან მოვლენა მოაქციოს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში და კანონიერი საფუძვლები შეუქმნას მათ ადამიანის უფლებებში ჩამრევი ინტენსიური ღონისძიებების გამოსაყენებლად. ამგვარი მიდგომით „ფორმალურად კანონიერი“ ხდება უფლების მზღუდავი ღონისძიებების ჩატარება, თუმცა ეჭვქვეშ დგას ამ ღონისძიებების პროპორციულობა და ლეგიტიმურობა.

იმ პირობებში, როდესაც სპეციალური ღონისძიებების უმეტესობის განსახორციელებლად საკმარისია მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანება და მათ უმრავლესობაზე არ ვრცელდება დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები, კიდევ უფრო პრობლემურია საფუძვლების მსგავსი ფართო განმარტების არსებობა. მსგავსი ზოგადი განმარტება კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელ უწყებებს ფართო დისკრეციას ანიჭებს და არაეფექტიანი ზედამხედველობის სისტემის პირობებში, ქმნის საფრთხეს, რომ სპეციალურმა სამსახურებმა მათ ხელთ არსებული ძალაუფლება არაპროპორციულად და არალეგიტიმურად გამოიყენონ.



### 3.6. სპეციალური ღონისძიებების ჩატარების პროცედურა და სასამართლო კონტროლი

მიუხედავად იმისა, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული სპეციალური ღონისძიებები ითვალისწინებს ადამიანის პირად ცხოვრებაში არაერთი ხასიათის ინტენსიურ ჩარევას, განსხვავებით საგამოძიებო რეჟიმისგან, მოქმედებების დიდ ნაწილზე დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები, განსაკუთრებით კი, სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება. კანონმდებლობა განმარტავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს მინიმალური შეზღუდვები აქვთ სპეციალური ღონისძიებების გამოყენებისას და მათ სასამართლოს ნებართვა მხოლოდ ორ შემთხვევაში სჭირდებათ – ელექტრონული თვალთვალისა და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლის შემთხვევებში.<sup>220</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ელექტრონული თვალთვალი და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლი ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, სასამართლო კონტროლის მექანიზმს არ ითვალისწინებს ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებათა სრული ჩამონათვალი (მაგალითად, ფარული ვიდეო-აუდიო ჩანერა, ფარული კინოფოტოგადაღება, ინდივიდუალური და სტრატეგიული მონიტორინგი), რომელიც შეიძლება არა იდენტურად, თუმცა არანაკლებ ინტენსიურად იჭრება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში. მეორე მხრივ, ოპერატიულ ღონისძიებებზე, რომელთა სახეებიც სპეციალური სამსახურების სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება და კანონით რეგულირებული არ არის, სასამართლო კონტროლი საერთოდ არ ვრცელდება. შესაბამისად, როგორც მათი გამოყენების გადანყვეტილებებზე, ისე მათ აღსრულებებზე ერთადერთი კონტროლის საშუალება შეიძლება იყოს შიდაუნყებრივი მექანიზმები.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონულ თვალთვალსა და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლზე სასამართლოს ზედამხედველობა კანონმდებლობით რეგულირებულია, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პროცესით, სამართალდაცვითი მიზნებისთვის დადგენილ პროცედურას. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე, ზედამხედველ მოსამართლეს, რომელიც ერთადერთია, ვისაც შეუძლია რეალურად აკონტროლოს

<sup>220</sup> იქვე, მე-11 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

სპეციალური სამსახურების მიერ ჩატარებული ღონისძიებები. ზედამხედველი მოსამართლე საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრია და თავმჯდომარის დავალებით განიხილავს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული კონკრეტული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების კანონიერების საკითხს.<sup>221</sup>

კანონმდებლობა არ განმარტავს წესს, რომლის საფუძველზეც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს ვინ იქნება ზედამხედველი მოსამართლე სასამართლოს შემადგენლობიდან. ამასთანავე, არაფერია ცნობილი მისი განსაკუთრებული კვალიფიკაციის შესახებ, რომელიც აუცილებელია ამ უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მათ შორის, ელექტრონული თვალთვალის ტექნიკური კონტროლის სფეროში. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლე იცვლება, არის მაშინ, როდესაც ზედამხედველი მოსამართლე რაიმე მიზეზით ვერ ახორციელებს მისთვის დაკისრებულ უფლებამოსილებას; ამ დროს, მას ანაცვლებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული სხვა, ამავე ინსტანციის, მოსამართლე.<sup>222</sup>

მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონი, ან მისი დანართი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხას, არ მიუთითებს ზედამხედველი მოსამართლის ვინაობის დასაიდუმლოების შესაძლებლობაზე, საჭაროდ ცნობილი არ არის იმ მოსამართლის ვინაობა, ვისაც ეს უფლებამოსილებები აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მინიჭებული. სავარაუდოა, რომ ზედამხედველი მოსამართლის ვინაობის დასაიდუმლოების ერთადერთი საფუძველი ის ზოგადი ნორმაა, რომელიც კონტრდაზვერვითი საქმიანობის გასაიდუმლოებულ ბუნებას განსაზღვრავს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობაზე სასამართლო კონტროლი 3 მექანიზმით ხორციელდება: *ex ante* ზედამხედველობა, პროცესის მონიტორინგი და *ex post* ზედამხედველობა. პირველ შემთხვევაში, მსგავსად საგამოძიებო რეჟიმისა, მოსამართლე სპეციალური სამსახურის მიერ წინასწარ წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებით ნებართვას გასცემს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების ჩატარებაზე. მეორე შემთხვევაში, მოსამართლე უშუალოდ აკონტროლებს თვალ-

---

221 იქვე, მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი.

222 იქვე, 14<sup>6</sup> მუხლის მე-5 ნაწილი.

თვალის პროცესს სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და პროაქტიულად ითხოვს სპეციალური სამსახურებისგან ინფორმაციას ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, ხოლო ბოლო – ex post მექანიზმის გამოყენებისას, სპეციალური სამსახურები მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის წესით ახორციელებენ კონტრდაზვერვით საქმიანობას, რის შემდეგაც, მოსამართლეს უკვე ჩატარებული მოქმედებების კანონიერების გადამოწმების მიზნით მიმართავენ.<sup>223</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ზედამხედველ მოსამართლეს შეუძლია ელექტრონული თვალთვალის როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი კონტროლი, უშუალოდ პროცესში. ერთი მხრივ, სპეციალური ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ის ამოწმებს, რამდენად შეესაბამება სპეციალური სამსახურების მოქმედებები მოსამართლისვე გაცემულ ნებართვას და მასში შესულ რეკვიზიტებს. მეორე მხრივ, მას შეუძლია სპეციალურ სამსახურს მოსთხოვოს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის წარდგენა, განიხილოს მიღებული ინფორმაცია დახურულ სხდომაზე სპეციალური სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით და დაასრულოს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება, თუ ის მიიჩნევს, რომ სახეგვა კანონმდებლობით დადგენილი შეწყვეტის/შეჩერების საფუძვლები.<sup>224</sup>

კანონმდებლობა დამატებით აკონკრეტებს სპეციალური ღონისძიებების შეწყვეტის ან შეჩერების საფუძვლებს. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება წყდება, თუ შესრულდა ზედამხედველი მოსამართლის ბრძანებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა, ამოიწურა თვალთვალის ვადა, ღონისძიების გაგრძელებით ობიექტურად შეუძლებელია დასახული ამოცანის მიღწევა ან ინფორმაციის მოსაპოვებლად თვალთვალის გაგრძელებას არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.<sup>225</sup> ზედამხედველი მოსამართლე უფლებამოსილია ელექტრონული სისტემის გამოყენებით შეაჩეროს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება, თუ ის მიმდინარეობდა მისი ბრძანების გარეშე, ან გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიების შესახებ არ არსებობს სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების ელექტრონული ასლი.<sup>226</sup>

---

223 იქვე, მე-14, მე-13, მე-14<sup>5</sup> და 14<sup>6</sup> მუხლები.

224 იქვე.

225 იქვე, მე-14<sup>4</sup> მუხლის, 1-ლი ნაწილი.

226 იქვე, მე-4 ნაწილი.

კანონმდებლობის მსგავსი მონესრიგება მიუთითებს იმაზე, რომ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების შეჩერების საფუძვლები ფორმალურია. შესაბამისად, მოსამართლე მხოლოდ იმას ამონმებს, რამდენად შეესაბამება ღონისძიების ჩატარება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ კრტიერიუმებს – მოსამართლის ნებართვას ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადანყვებით. ზედამხედველი მოსამართლის ეს ფუნქცია შეიძლება შევადაროთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებას საგამოძიებო რეჟიმში, როდესაც ის აკონტროლებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერებას სპეციალური ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რაც შეეხება შეწყვეტის საფუძვლებს, ზედამხედველი მოსამართლე მეტად არის ჩართული კონტრდაზვერვითი საქმიანობის შინაარსის ანალიზში.

კანონმდებლობის თანახმად, იმას, თუ რამდენად შესრულდა მოსამართლის ბრძანებით განსაზღვრული ამოცანა ვადამდე ადრე, აფასებს არა თავად მაკონტროლებელი ორგანო, არამედ სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც დაინტერესებული პირია და თავად ითხოვს სასამართლოსგან ელექტრონულ თვალთვალზე ნებართვას.<sup>227</sup> განსხვავებული მონესრიგებაა იმ შემთხვევაში, თუ საკითხი შეეხება ელექტრონული თვალთვალის ვადაზე ადრე შეწყვეტას მოპოვებული ინფორმაციის მნიშვნელობისა და საჭიროების საფუძვლით. ამ შემთხვევაში, გარდა სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელისა, სპეციალური ღონისძიების შეწყვეტის უფლება ზედამხედველ მოსამართლესაც აქვს.

მსგავსი რეგულირება წინააღმდეგობაში მოდის სასამართლო ზედამხედველობის ზოგად პრინციპებთან. პირველ რიგში, კანონმდებლობა, ფაქტობრივად, ზედამხედველი მოსამართლის ფუნქციებით აღჭურავს სპეციალური სამსახურს ხელმძღვანელს. ელექტრონული თვალთვალის გამოყენებისას, ის მიმართავს მოსამართლეს და ითხოვს კონკრეტული ამოცანის შესრულების მიზნით ნებართვას ღონისძიებების განხორციელებაზე, რასაც განიხილავს სასამართლო და აფასებს, რამდენად კანონიერი და ლეგიტიმურია შუამდგომლობის წარმდგენი ორგანოს მოთხოვნა. ხოლო, როდესაც საქმე შეეხება თვალთვალის ვადაზე ადრე შეწყვეტას, არა მოსამართლე, არამედ თავად სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი აფასებს რამდენად შესრულდა ის ამოცანა, რომელიც ნებართვით ზედამხედველი ორგანოს მიერ განისაზღვრა.

---

227 იქვე, მე-2 ნაწილი.

ეს მოდელი ეწინააღმდეგება სასამართლო ზედამხედველობის ლოგიკას და არაეფექტიანს ხდის მოსამართლის ბერკეტს, ვადაზე ადრე შეაჩეროს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება და თავად, როგორც მაკონტროლებელმა ორგანომ, შეაფასოს რამდენად შესრულდა ამოცანა, რომელიც თავად განსაზღვრა.

მესამე საფუძველი, რომლის შემთხვევაშიც შესაძლებელია ელექტრონული თვალთვალის შეწყვეტა, უკავშირდება ზედამხედველი მოსამართლის ბრძანების ვადას. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური ღონისძიების განხორციელების ბრძანებით დადგენილი ვადა ამოიწურა, ელექტრონული თვალთვალი შეწყდება. კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონულ თვალთვალზე ბრძანება გაიცემა იმ ვადით, რაც საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად, თუმცა არა უმეტეს 90 დღისა.<sup>228</sup> ამ შემთხვევაშიც, პრობლემა არა უშუალოდ მაქსიმუმ 90-დღიანი ვადა, არამედ მისი გახანგრძლივების მარეგულირებელი ნორმა. კერძოდ, 90-დღიანი ვადის გაგრძელება შეიძლება მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, იმავე წესით და საფუძველით, რაც დადგენილია თავდაპირველი ბრძანებისათვის, თითოეულ ჯერზე არა უმეტეს 12 თვისა.<sup>229</sup> არ არსებობს შეზღუდვა, რომელიც განსაზღვრავდა რამდენჯერ შეუძლია სპეციალურ სამსახურს შუამდგომლობით ზედამხედველი მოსამართლისთვის მიმართვა. შესაბამისად, ელექტრონული თვალთვალი შეიძლება გაგრძელდეს უვადოდ მანამ, სანამ, მოსამართლის აზრით, შუამდგომლობა გაგრძელებაზე დასაბუთებულია, ან არ დადგება ღონისძიების შეწყვეტის სხვა სამართლებრივი საფუძველი, რომელთა არაეფექტიანობაც ზედა აბზაცშია მიმოხილული.

ამრიგად, სასამართლო ზედამხედველობა არაეფექტიანია ელექტრონული თვალთვალის შეჩერებისა და შეწყვეტის მიზნებისთვის, რაც განპირობებულია სპეციალური სამსახურების გაძლიერებული მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ისინი აფასებენ კონტრდაზვერვის ამოცანის შესრულებას, მოსამართლის ჩაურთველად, და წყვეტენ ელექტრონული თვალთვალის ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს. მათ შეუძლიათ შუამდგომლობით მოითხოვონ ელექტრონული თვალთვალის გაგრძელება ფაქტობრივად უვადოდ. მართალია, ზედამხედველ მოსამართლეს უფლება აქვს, უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტებები კონტროლის პროცესში გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით და მიიღოს გადაწყვეტილება

---

228 იქვე, მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი.

229 იქვე, მე-5 ნაწილი.

შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ინიცირების შესახებ, შუალედური ოქმის საფუძველზე, თუმცა მას ელექტრონული თვალთვალის შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ ორ შემთხვევაში: მაშინ, როდესაც შუალედური ოქმის საფუძველზე ცალსახაა, რომ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების გამოყენებით კონტრდაზვერვითი მიზნის მიღწევა ობიექტურად შეუძლებელია და მაშინ, როდესაც ის განიხილავს შუამდგომლობას ელექტრონული თვალთვალის ვადის გაგრძელების შესახებ. მოსამართლეს, შუალედური ოქმის საფუძველზე, არ შეუძლია იმ საფუძველით შეწყვიტოს სპეციალური ღონისძიების განხორციელება, რომ შესრულებულია მის მიერვე თავდაპირველად გაცემული ბრძანებით განსაზღვრული კონტრდაზვერვითი ამოცანა. მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას კანონმდებლობა მხოლოდ სპეციალური სამსახურის უფროსს ანიჭებს. ელექტრონული თვალთვალის შეჩერების შემთხვევაში კი, ზედამხედველი მოსამართლე ვერ გასცდება ფორმალურ-სამართლებრივ და ტექნიკურ საკითხებს, როგორცაა, განჩინების არსებობა და ლოგირების მონაცემების სისწორე.<sup>230</sup>

არსებობს სხვა სუბიექტური და ობიექტური გამოწვევები, რომლებიც პრაქტიკაში მსგავს ბერკეტებს ასუსტებს. მაგალითად, ელექტრონული თვალთვალის განხორციელების პროცესის შინაარსობრივი კონტროლი მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილებაა და ის არ არის ვალდებული ყოველ ჭერზე გამოითხოვოს ინფორმაცია სპეციალური სამსახურებისგან მიმდინარე მოქმედებების შესახებ და გადასინჯოს, რამდენად არსებობს კონტრდაზვერვითი საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველები. ამ პროცესში, ის სრულად არის შეზღუდული იმ ინფორმაციითა და მასალებით, რომლებიც სპეციალურმა სამსახურმა მიანოდა. მას არ აქვს დამატებითი შესაძლებლობა გადაამოწმოს წარმოდგენილი მასალების სისწორე, რასაც შუამდგომლობით ელექტრონული თვალთვალის დაწყების მოთხოვნა ეფუძნება. შესაბამისად, ზედამხედველი მოსამართლე თავის გადაწყვეტილებას მთლიანად ცალმხრივად მოპოვებულ ინფორმაციას აფუძნებს, რადგან არ აქვს სხვა, განსხვავებული არგუმენტის ან მონაცემების განხილვის საშუალება. ამ პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ზედამხედველი მოსამართლისთვის უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი კვალიფიკაცია. მათ შორის, მოსამართლეს არ მოეთხოვება ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ცოდნა. მსგავს მონეობაში, მოსალოდნელია, რომ ზედამხედველი მოსამართლე მეტად მონეველადი გახდეს უსაფრთხოების

---

230 იქვე, მე-14<sup>ე</sup> მუხლის მე-5 ნაწილი.

არგუმენტის მიმართ და არ შევიდეს შუამდგომლობის განხილვისას დეტალურ ანალიზში, რადგან, ერთი მხრივ, მას საამისო კომპეტენცია არ აქვს, ხოლო, მეორე მხრივ, მისთვის ხელმიუწვდომელია ინფორმაციის ალტერნატიული წყარო, რომელიც სპეციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილ არგუმენტს შეუპირისპირდებოდა.

განსხვავებით საგამოძიებო რეჟიმისგან, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფორმალურ-სამართლებრივ და ტექნიკურ კონტროლსაც ზედამხედველი მოსამართლე ეწევა. შესაბამისად, განჩინების შესაბამისობას სპეციალური სამსახურების მიერ ჩატარებულ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებთან ის ამოწმებს. საგამოძიებო რეჟიმში, ეს ფუნქცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს აქვს. სასურველია, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის კონტროლის პროცესში ჩართული იყოს მესამე, დამოუკიდებელი ინსტიტუტი, მსგავსად ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლისა.

მოქმედი ელექტრონული თვალთვალის მაკონტროლებელი მოსამართლე მუდმივად ერთი ადამიანია, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნული გადანყვეტილებით განისაზღვრება. სასურველია, რომ მსგავსი ტიპის გადანყვეტილების მიღება არა ერთ, არამედ რამდენიმე მოსამართლეს, როტაციის პრინციპით შეეძლოს. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ზედამხედველი მოსამართლის ფუნქციების შეთავსების არც ვადას, შესაბამისად, ამ საკანონმდებლო მოწყობითა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ განწესების პრინციპით, არ არის გამორიცხული, რომ ზედამხედველი მოსამართლე იყოს ერთი ადამიანი მრავალი წლის განმავლობაში. ეს აჩენს რისკს, რომ მოსამართლე მეტად მოწყვლადი გახდეს უსაფრთხოების არგუმენტის მიმართ და სუბიექტურად განიხილოს მის წინაშე წარდგენილი შუამდგომლობები ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების გამოყენების შესახებ იმ პირობებში, რომ მას არ აქვს ალტერნატიული ინფორმაციის მიღების საშუალება და არგუმენტებს ცალმხრივად ისმენს. მართალია, აღინიშნა, რომ მსგავსი შუამდგომლობების განხილვას სპეციალური კომპეტენცია სჭირდება, მაგრამ როტაციის პრინციპის შემოღება არსებითად არ გაზრდის მოსამართლეთა წრეს, რომლებსაც მსგავსი შუამდგომლობების განხილვა მოუწევთ და სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება ექნებათ. ეს, პირველ რიგში, გამომდინარეობს იქედან, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული ელექტრონული თვალთვალის შესახებ შუამდგომლობის განხილვის განსჯადობა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის, რომელიც მაღალი ლეგიტიმაციით კომპლექტდება.

შეჯამებისთვის, კონტრდაზვერვით საქმიანობაზე სასამართლო კონტროლს რამდენიმე ფუნდამენტური ხარვეზი აქვს. პრობლემურია ღონისძიებების ის მწირი სია, რომელზეც სასამართლო ზედამხედველობა ვრცელდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზოგიერთ ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებაზე სასამართლო აქვს რეალური ზედამხედველობის ბერკეტები, მას არ გააჩნია არც რესურსები, და არც საკანონმდებლო ბერკეტები, რომელთა მეშვეობითაც შეძლებდა ალტერნატიული მოკვლევის ჩატარებას ან საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას, რასაც დააფუძნებდა თავის გადაწყვეტილებას. ეს კი აჩენს რისკს, რომ მოსამართლე ყოველ ჯერზე მიემხროს სპეციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილ ცალმხრივ ინფორმაციას და გადაწყვეტილება ყოველთვის უსაფრთხოების არგუმენტის სასარგებლოდ მიიღოს; კონტრდაზვერვითი საქმიანობის საიდუმლოებიდან გამომდინარე, შუამდგომლობის განხილვის პროცესი ვერ იქნება შეჭიბრობითობის პრინციპზე დაფუძნებული, შესაბამისად, მიწოდებული მასალების ანალიზისას, მოსამართლის როლი გადამწყვეტია სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. ზედამხედველ მოსამართლეს არ აქვს რეალური ბერკეტები სპეციალური სამსახურებისგან დამოუკიდებლად, ვადაზე ადრე შეაჩეროს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები, თუ ის მიიჩნევს, რომ ბრძანებით დასახული კონტრდაზვერვის მიზანი შესრულებულია. ამასთანავე, ნაკლოვანია პირისთვის შეტყობინების მექანიზმიც, რომელიც, ფაქტობრივად, სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის კეთილსინდისიერ ქცევაზეა დაფუძნებული. დამატებითი გამოწვევაა ისიც, რომ ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ შუამდგომლობების განმხილველი მოსამართლის დროებით ჩანაცვლებას კანონმდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ განსაზღვრული ზედამხედველი მოსამართლე ფიზიკურად ვერ ასრულებს საკუთარ უფლებამოსილებას. სასურველია, რომ მსგავსი მნიშვნელობის საკითხების განხილვისას, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს უზენაესი სასამართლო რამდენიმე მოსამართლეს შორის როტაციას, რაც გარკვეულწილად დააზღვევდა მოსამართლის მონყვლადობას სპეციალური სამსახურების მიმართ შუამდგომლობების განხილვის პროცესში.

### 3.7. სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა

კონტრდაზვერვითი საქმიანობის საიდუმლო ბუნების არგუმენტის გამოყენებით, როგორც სპეციალური სამსახურები, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლო ზღუდავს წვდომას იმ ინფორმაციაზე, რომელიც ცალსახად საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება განურჩევლად იმისა, შეეხება თუ არა ის კონტრდაზვერვით საკითხებს. მაგალითად, დასაიდუმლოებულია ნებისმიერი ტიპის



სტატისტიკური მონაცემი მხოლოდ იმიტომ, რომ ის კონტრდაზვერვით საქმიანობასთან ასოცირდება მაშინ, როდესაც მსგავსი ინფორმაციის გასაჯაროებით შეუძლებელია კონტრდაზვერვითი საქმიანობის შინაარსის, მეთოდების, ჩართული სამსახურებისა თუ პირების შესახებ ინფორმაციის დადგენა.

მაგალითად, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკას უზენაესი სასამართლო არ აწარმოებს იმ არგუმენტით, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. 2022 წლის 14 იანვარს, „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ უზენაეს სასამართლოს მიმართა და მოითხოვა 2021 წლის განმავლობაში ელექტრონული თვალთვალის განხორციელებაზე გაცემული ნებართვების დაკმაყოფილების სტატისტიკა. მათ შორის, იმ პირების რაოდენობა, რომლებიც დაექვემდებარნენ გაცემული ნებართვების საფუძველზე ელექტრონულ თვალთვალს და რა ვადით. სასამართლომ ორგანიზაციას ინფორმაცია კონტრდაზვერვითი საქმიანობის საიდუმლოების არგუმენტით არ მიაწოდა.<sup>231</sup> ინფორმაციის მოწოდებაზე უარის თაობაზე სამართლებრივი დავა ამ დრომდე მიმდინარეობს უზენაეს სასამართლოსთან. საქართველოს კანონმდებლობით, ინფორმაციის დასაიდუმლოების პროცესში, მნიშვნელოვანია ზიანის ტესტის გამოყენება და მტკიცება, თუ რატომ არის უპირატესი უსაფრთხოების არგუმენტი საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვაზე, რა ზიანი მიადგება სახელმწიფო სიკეთეს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ინფორმაცია გასაჯაროვდება. ის გარემოება, რომ კონკრეტული ინფორმაცია დაკავშირებულია კონტრდაზვერვით საქმიანობასთან, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ის საიდუმლოა, თუ მსგავსი ინფორმაცია არ აღწერს სპეციალური ღონისძიებების შინაარსს და არ აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს. სტატისტიკური ინფორმაცია არ იძლევა იმის ანალიზის შესაძლებლობას, თუ ვის მიმართ ან რა გარემოებების გამო განხორციელდა ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები. ამასთანავე, სტატისტიკური ინფორმაციით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა შინაარსი ჰქონდა სპეციალური სამსახურების კონტრდაზვერვით საქმიანობას. ერთადერთი ინფორმაცია, რასაც მსგავსი მონაცემები საზოგადოებას მიაწვდის, არის ზოგადი წარმოდგენა სახელმწიფოს მიერ კონტრდაზვერვითი საქმიანობის გამოყენების სიხშირეზე, ინტენსივობასა და ვადებზე, რათა შეიქმნას წარმოდგენა სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების დაცვის ფარგლებში განხორციელებულ პოლიტიკაზე.

---

231 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მენეჯერის ფუნქციის შემსრულებლის, გიორგი გეგელიას, 2022 წლის 23 თებერვლის №8-25-22 გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით თავად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა შეიტანა საქმიანობის ანგარიშში სტატისტიკური მონაცემები ელექტრონული თვალთვალის თაობაზე. ანგარიშის მიხედვით, 2022 წლის განმავლობაში, სასამართლომ მსგავსი ნებართვა 33-ჯერ გასცა.<sup>232</sup> თუმცა ეს სტატისტიკაც არასრულყოფილია და ის ვერ პასუხობს საზოგადოებაში არსებულ ყველა შეკითხვას, მაგალითად, ჯამში რამდენჯერ მიმართა სპეციალურმა სამსახურმა სასამართლოს ნებართვის მოთხოვნის მიზნით, რამდენ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოთხოვნა, 33 ბრძანების ფარგლებში, რამდენი პირის ელექტრონული თვალთვალი განხორციელდა, ან რა ვადით. სტატისტიკის წარმოების არაერთგვაროვანი პრაქტიკის მაგალითია ისიც, რომ განსხვავებით 2022 წლის საქმიანობის ანგარიშისგან, 2023 წელს პარლამენტში დარეგისტრირებული დოკუმენტი აღარ გამოყოფს კონტრადზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის მონაცემებს განცალკევებით. ანგარიშის თანახმად, 2023 წელს, ჯამურად, სააგენტოში წარმოდგენილი იყო 1933 განჩინება/ბრძანება და პროკურორის 53 მოტივირებული დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე,<sup>233</sup> რაც არ იძლევა იმის დიფერენცირების საშუალებას, თუ რამდენჯერ გამოიყენა სააგენტომ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება საგამოძიებო და კონტრადზვერვითი დანიშნულებით. პრობლემის სიმწვავეს აჩვენებს ისიც, რომ მიუხედავად ზემოხსენებული მონაცემების საჭაროობისა, სუსი სოციალური სამართლიანობის ცენტრს კვლავ არ აწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას საჭარო ინფორმაციის სახით. 2024 წლის 21 თებერვლის წერილის საპასუხოდ, რომლითაც ორგანიზაცია 2020-2023 წლებში ზედამხედველი მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანებების სტატისტიკას ითხოვდა, სუს-მა აღნიშნა, რომ კონტრადზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, საჭაროობის ვალდებულება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არ ვრცელდება.<sup>234</sup>

მსგავსი ინფორმაციის სრულყოფილი დამუშავება, საზოგადოებას საშუალებას მისცემდა შეეფასებინა, ერთი მხრივ, კონტრადზვერვითი საქმიანობის

---

232 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის ანგარიში, გვ. 33, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/QwBhbfqV>, განახლებულია: 19.02.2024.

233 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის ანგარიში, გვ. 42, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Hw58xKYy>, განახლებულია: 22.04.2024.

234 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის 7 მარტის SSG 2 24 00053786 წერილი.

ფარგლებში ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების გამოყენების მასშტაბი და ასევე, ემსჯელა სასამართლოს მიერ განხორციელებული კონტროლის ეფექტიანობაზე, დაკმაყოფილების მაჩვენებლის საფუძველზე.

სტატისტიკის დაფარვასთან ერთად, პრობლემურია ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ პირისთვის შეტყობინების მექანიზმიც. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური სამსახურები ვალდებულნი არიან პირს შეატყობინონ მის მიმართ განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის შესახებ, კანონმდებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებას სრულად გადაანდობს მის ინიციატორს, ანუ სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს. მან უნდა გადაწყვიტოს, რამდენად შეუქმნის მსგავსი შეტყობინება საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისა და დემოკრატიული წყობილების ინტერესების დაცვას, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ან მის მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდების გამჟღავნებას ან კონტრადვერსიტი საქმიანობით განსაზღვრულ მიზნებს.<sup>235</sup> შესაბამისად, სპეციალური სამსახურის გადაწყვეტილებით, შესაძლოა პირისთვის არასდროს გახდეს ცნობილი მის მიმართ განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის შესახებ. ამ ნაწილშიც, პრობლემურია სხვა ასპექტიც – კანონმდებლობა არ ადგენს ვადას, რომლის ფარგლებშიც პირს შეატყობინება უნდა გაეგზავნოს. მსგავსი სამართლებრივი რეგულირების პირობებში, შეტყობინების მექანიზმი არაეფექტიანია და მაშინაც კი, როდესაც შესაძლებელია ელექტრონული ღონისძიების განხორციელების გასაჩივრება, კონტრადვერსიტი საქმიანობის ობიექტი სასამართლოს ვერ მიმართავს, თუ სპეციალური სამსახური გადაწყვეტს, რომ მისთვის შეტყობინება სახელმწიფოსთვის საფრთხეს წარმოადგენს. რაც, თავის მხრივ, აჩენს რისკს, რომ კონტრადვერსიტი საქმიანობის განმახორციელებელმა ორგანოებმა ეს არგუმენტი გამოიყენონ ყოველთვის, როდესაც მიიჩნევენ, რომ შეიძლება არსებობდეს მათ მიერ ჩატარებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების გასაჩივრების რეალური საფუძველი და მსგავსი ინფორმაცია დაუმალონ თვალთვალს დაქვემდებარებულ ობიექტებს. ამ გადაწყვეტილებას კი, არ გააჩნია კონტროლის მექანიზმი, რადგან კანონმდებლობა არ განსაზღვრავს არც დასაბუთების სტანდარტს ან ვალდებულებას, არც რაიმე სახის დემოკრატიული ზედამხედველობის მექანიზმს, რაც გადაამონწმებდა რამდენად ლეგიტიმურად დაუმალა სპეციალურმა სამსახურმა პირს ინფორმაცია მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის განხორციელებაზე.

235 საქართველოს კანონი „კონტრადვერსიტი საქმიანობის შესახებ“, მე-14<sup>10</sup> მუხლი.

### 3.8. შეჯამება

კონტრდაზვერვითი საქმიანობის საიდუმლო ბუნება მისი მიზნებიდან გამომდინარეობს. ის ემსახურება სახელმწიფოს უსაფრთხოებას და მიზნად ისახავს მის დაცვას გარე საფრთხეებისგან. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთხოების სექტორის სისტემური მონყობა პასუხობდეს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის იმ სტანდარტებს, რომლებიც შესაბამება მსგავსი ტიპის დანვებულებების საქმიანობის ბუნებას. მსგავსი დახურული სისტემის მიერ სრულად გასაიდუმლოებული საქმიანობა აჩენს რისკს, რომ მის ხელთ არსებული დიდი ძალაუფლება და შესაძლებლობები პოლიტიკურ იარაღად იქცეს არაკეთილსინდისიერი ხელისუფალის ხელში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ინტერესების დაცვის პარალელურად, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების არსებობას, რაც დააზღვევდა სპეციალური სამსახურების მიერ უფლებამოსილების ბოროტად და არალეგიტიმურად გამოყენებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას ააშკარავებს.

კონტრდაზვერვითი საქმიანობით გათვალისწინებული სპეციალური ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები არის ზოგადი, ფართო და განუჭვრეტელი. მსგავსი განმარტებით, სპეციალურ სამსახურებს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლიათ გაამართლონ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ჩატარება მაშინაც კი, როდესაც არ დგას ამის ობიექტური საჭიროება. თავის მხრივ, სპეციალური ღონისძიებების დიდი ნაწილი არასათანადოდაა კანონმდებლობით განმარტებული, რაც შეუძლებელს ხდის იმის შეფასებას, რამდენად ინტენსიურად ერევა ესა თუ ის ღონისძიება ადამიანის ძირითად უფლებებში და, შესაბამისად, საჭიროებს თუ არა მასზე უფრო მაღალი სტანდარტის კონტროლს. პრობლემურია ისიც, რომ განსხვავებით საგამოძიებო რეჟიმისგან, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული სპეციალური ღონისძიებების უმრავლესობა, გარდა ელექტრონული თვალთვალისა და საფოსტო კორესპონდენციისა, არ საჭიროებს სასამართლოს ნებართვას. განსხვავებით ოპერატიულ-ტექნიკურისა, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ოპერატიული ღონისძიებების სახეებს და მათი ჩამონათვალის შედგენას შიდა, საიდუმლო აქტების საფუძველზე გადაადნობს სპეციალურ სამსახურებს. არც ის არის დადგენილი, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ოპერატიული საქმიანობა იმისთვის, რომ ის ინტენსიურად არ ერეოდეს ადამიანის უფლებებში. შესაბამისად, ჰიპოთეტურად დასაშვებია, რომ სპეციალური სამსახურების მიერ შემუშავებული ოპერატიული საქმიანობის სახეები იყოს იმაზე

ინტენსიური, ვიდრე, მაგალითად, ელექტრონული თვალთვალი, რომელიც მსგავსი მოწესრიგების პირობებშიც კი საჭიროებს სასამართლო კონტროლს.

სპეციალური ღონისძიებების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მასზე არ ვრცელდება სასამართლო კონტროლი, იღებს მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელად განსაზღვრულია არა უშუალოდ უწყების, მაგალითად, სუს-ის ან შსს-ს, ხელმძღვანელი, არამედ უშუალოდ კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი ქვეუწყების, მაგალითად, სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, უფროსი. ამასთან, სპეციალური სამსახურების ჩამონათვალი გრძელია და ის არა კანონის დონეზე, არამედ კანონქვემდებარე აქტით, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. მსგავსი მოწესრიგება მთავრობას საშუალებას აძლევს ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების გარეშე გაზარდოს ან შეამციროს იმ უწყებების ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ კონტრდაზვერვითი საქმიანობა და გაცილებით დიდი რაოდენობით სახელმწიფო ორგანო აღჭურვოს იმ უკონტროლო ფუნქციებით, რომლებსაც კონტრდაზვერვის განმახორციელებელი უწყებები ითავსებენ.

სუს-ის იმ უწყებებს შორის, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ კონტრდაზვერვით საქმიანობა, პრობლემურია უფლებამოსილებების გამიჯვნა. მკაფიო არაა, თუ როგორ იყოფა მათი ფუნქციები სხვადასხვა დანაშაულის გამოძიების ნაწილში. თავისთავადი რისკია ისიც, რომ ეს უწყებები აღჭურვილნი არიან როგორც კონტრდაზვერვითი, ისე საგამოძიებო ფუნქციებით, რაც აჩენს რისკს, რომ მათ გამოიყენონ სპეციალური ღონისძიებები მაშინ, როდესაც არ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცების სტანდარტი ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. მსგავს შემთხვევაში, სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, სუს-ის დეპარტამენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ის ღონისძიებები, რომლებზეც სასამართლო კონტროლი საერთოდ არ ვრცელდება და შემდეგ ეს ინფორმაცია მოხმარდეს გამოძიების ინტერესს. ამას განაპირობებს ისიც, რომ სუს-ის ქვემდებარეობაშია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოძიება.

მაშინაც, როდესაც კონკრეტული სპეციალური ღონისძიების განხორციელება საჭიროებს სასამართლო კონტროლს, ნაკლოვანია და არაეფექტიანია ზედამხედველობის სისტემა. ამ ნაწილში, განსაკუთრებით საყურადღებოა ზედამხედველი მოსამართლის დანიშვნის წესი. ის ვერ პასუხობს გამჭვირვა-

ლობისა და ანგარიშვალდებულების მინიმალურ სტანდარტებს, რადგან გადამწყვეტილებას მისი დანიშვნის შესახებ ერთპიროვნულად იღებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, არ არსებობს მოსამართლეებს შორის როტაციის პრინციპი და მათი უვადოდ დანიშვნის პირობებში, შესაძლოა ერთი პირი კონტრდაზვერვით საქმიანობას ზედამხედველობდეს წლების განმავლობაში, შეუცვლელად. ამ შემთხვევაშიც, ჩნდება რისკები, რომ, ერთი მხრივ, უსაფრთხოების სექტორის ხელში არსებული ძალაუფლების გათვალისწინებით მოსამართლე გახდეს პიროვნულად მონყვლადი, ხოლო მეორე მხრივ, მწირი კვალიფიკაციისა და ინფორმაციაზე წვდომის პირობებში, მიდრეკილი იყოს უსაფრთხოების დაცვის არგუმენტის მიმართ.

არსებული საკანონმდებლო მოდელის პირობებშიც, როდესაც მოსამართლეს გააჩნია სამი ტიპის კონტროლი ელექტრონულ თვალთვალზე (ex ante, პროცესის განმავლობაში, ex-post), არაეფექტიანია მის ხელთ არსებული ზედამხედველობის მექანიზმები. მაგალითად, მას არ შეუძლია შეაფასოს რამდენად შესრულდა გაცემული ბრძანებით დასახული კონტრდაზვერვის მიზანი და ვადაზე ადრე შეწყვიტოს სპეციალური ღონისძიება.

დამატებით გამოწვევას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის წარმოების პრაქტიკა როგორც სუსის, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. უწყებები, როგორც წესი, უარს აცხადებენ სტატისტიკური მონაცემების გაცემაზე და არგუმენტად ყოველთვის მიუთითებენ კონტრდაზვერვითი საქმიანობის საიდუმლო ბუნებას. გასაჯაროების შედეგად მიყენებული ზიანის შეფასების გარეშე, დაუშვებელია საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული მონაცემების შაბლონური გასაიდუმლოება.

კანონმდებლობის შესწავლა აჩვენებს, რომ პრობლემურია როგორც ინსტიტუციური მონყობა, ისე დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების არსებობა, რომლებიც კონტრდაზვერვითი საქმიანობის საიდუმლო ბუნების პირობებში, დააზღვევდა ადამიანის უფლებების დარღვევას უსაფრთხოების არგუმენტით. ამასთან, მსგავსი მექანიზმების გაუმჯობესება შეაკავებდა უსაფრთხოების სექტორის ხელში არსებულ ჭარბ ძალაუფლებას და დაუქვემდებარებდა მას ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დადგენილ სტანდარტებს.

## დასკვნა

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში უსაფრთხოების სექტორის მიერ თვალთვალის მექანიზმების გამოყენებისა და მასზე სასამართლოს ზედამხედველობის დემოკრატიულობისა და ეფექტიანობის შეფასებას. კვლევის პირველ ნაწილში მიმოხილული იყო უსაფრთხოების სექტორის მიერ თვალთვალის მექანიზმების დემოკრატიულად გამოყენების ძირითადი სტანდარტები აკადემიურ ლიტერატურასა და საერთაშორისო რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მეორე ნაწილში კი გაანალიზებული იყო საქართველოს კანონმდებლობა და მისი პრაქტიკული აღსრულება თვალთვალის მექანიზმების გამოყენების ორი რეჟიმის – საგამოძიებოსა (სამართალდაცვითი) და კონტრდაზვერვითის (არასამართალდაცვითი) თავისებურებების გათვალისწინებით. კვლევამ წარმოაჩინა, რომ თვალთვალის მექანიზმების გამოყენებაზე სასამართლოს ზედამხედველობა ზედაპირულად და ფრაგმენტულად ხორციელდება. კერძოდ, გამოვლინდა შემდეგი სისტემური პრობლემები:

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე სასამართლოს ზედამხედველობა მხოლოდ მის საწყის, ანუ ნებართვის გაცემის ფაზაზე ვრცელდება. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოქმედებების გამოყენების პერიოდში მათი მიმდინარეობის პროაქტიული გადამოწმების მექანიზმებს.
- სასამართლო არ ამოწმებს, რამდენად ასრულებს პროკურატურა ფარული საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ მათ შესახებ მოქალაქეებისთვის შეტყობინების ვალდებულებას. ზედამხედველობის ამგვარი მექანიზმების არარსებობა განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის საკანონმდებლო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების, ისე მათ შესახებ შეტყობინების გადადების ვადები.
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების კონტროლის შესაძლებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ელექტრონული სისტემის მეშვეობით მხოლოდ იმ შემთხვევებში შეუძლია, თუ მოქმედებებს ექსკლუზიურად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ახორციელებს. დანარჩენი ფარული საგამოძიებო მოქმედებები (ფარული ვიდეოჩანწერა ან/და აუდიოჩანწერა, ფოტოგადაღება და ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებით) რომლებიც გამოძიებაში ჩართულ პირებსაც შეუძლიათ შეასრულონ, პირდაპირ ტექნიკურ ზედამხედველობას არ ექვემდებარება.

- ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს სუს-ის ინსტიტუციურ დაქვემდებარებაში ყოფნა ქმნის საფრთხეს, რომ სუს-ი, რომელიც კონტრდაზვერვით და საგამოძიებო ფუნქციებს ერთდროულად ახორციელებს, საკუთარ უფლებამოსილებას ბოროტად გამოიყენებს და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მეშვეობით თვალთვალის კანონგარეშე „ალტერნატიულ ბანკებს“ შექმნის. ამის რისკი განსაკუთრებით დიდია იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველყოფის რეალური მექანიზმები საკმაოდ შეზღუდულია და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის სრულად გაკონტროლებას ვერ ახერხებს.
- ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენებასთან დაკავშირებული ნებართვის გაცემის დროს სასამართლო, დიდი ალბათობით, მომეტებულად ეყრდნობა პროკურორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და კრიტიკულად და დამოუკიდებლად არ აფასებს ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების საჭიროებას.
- კონტრდაზვერვითი საქმიანობა მეტწილად დარეგულირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დონეზე, მათ შორის, ბრძანებებითაა განსაზღვრული კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალური სამსახურებისა და ოპერატიული ღონისძიებების ჩამონათვალი.
- ზოგიერთი კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური ღონისძიება იმდენად ბუნდოვანია, რომ შეუძლებელია მისი შინაარსის დადგენა. ვერ შეფასდება, რამდენად ინტენსიურად ერევა მსგავსი ღონისძიებები ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში.
- კანონმდებლობა სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ აქცევს მხოლოდ ელექტრონული თვალთვალისა და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლის ღონისძიებებს, ხოლო დემოკრატიული ზედამხედველობის მიღმა ტოვებს მთელ რიგ სპეციალურ ღონისძიებებს.
- სუს-ისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არაერთგვაროვნად ან საერთოდ არ იწარმოება სტატისტიკა კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ელექტრონული თვალთვალის ჩატარებაზე გაცემულ ბრძანებებზე.



- ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებაზე სასამართლოს ზედამხედველობა არაგამჭვირვალეა და საზოგადოებას საკმარისად არ მიეწოდება ინფორმაცია ზედამხედველობის ეფექტიანობის შესახებ. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მეთოდოლოგია ბუნდოვანია, სასამართლო სტატისტიკურ მონაცემებს მხოლოდ შერჩევითად და ფრაგმენტულად აგროვებს და არ ანალიზებს მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ტენდენციებს.

## რეკომენდაციები

წარმოდგენილი კვლევა კიდევ ერთხელ მიუთითებს უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული კონტროლის სისტემურ ჩავარდნაზე. შესაბამისად, აუცილებელია ფუნდამენტურად გადაიხედოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელთ არსებული ბერკეტები და მათი გამოყენების მომწესრიგებელი კანონმდებლობა. სისტემურ გაძლიერებას საჭიროებს თვალთვალის ღონისძიებებზე გარე ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმები. რაც შეეხება უსაფრთხოების სექტორზე სასამართლო ზედამხედველობის საკითხს, ასევე ფუნდამენტურად უნდა გადაიხედოს ამ მიმართულებით არსებული ინსტიტუციური, საკანონმდებლო და პრაქტიკული საკითხები.

### ინსტიტუციური და საკანონმდებლო მოწყობა:

- საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, სასამართლო ზედამხედველობა უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ ფარული საგამოძიებო მოქმედებების დანყების, არამედ მათი მიმდინარეობის და დასრულების ეტაპებზეც.
- ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც ექსკლუზიურად ახორციელებს თვალთვალის ღონისძიებებს, სრულად უნდა იყოს ინსტიტუციურად და ფუნქციურად დამოუკიდებელი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან და სამართალდამცავი ორგანოებისგან. ამავდროულად, ამ ინსტიტუტს არ უნდა ჰქონდეს საგამოძიებო თუ კონტრდაზვერვითი ამოცანები და ინტერესები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა თვალთვალის ღონისძიებების თვითნებურად და დაუსაბუთებლად გამოყენების რისკებს.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მაკონტროლებელი ფუნქცია თვალთვალის ღონისძიებებზე უნდა გაძლიერდეს. კერძოდ, სამსახურს უნდა ჰქონდეს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში დაუგეგმავი ვიზიტების განხორციელების უფლება და მათ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდვა დაშვება.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო მანდატი უნდა გავრცელდეს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში თვალთვალის ღონისძიებებზე. კერძოდ, სამსახურის კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემულ ნებართვას-

თან იმ ღონისძიების შესაბამისობა, რომელსაც კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს სპეციალური სამსახური.

- არსებითად უნდა შემცირდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების ვადები და გაუქმდეს ის საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებიც თვალთვალის ვადის გახანგრძლივებას დანაშაულის ხანდაზმულობის ვადით ითვალისწინებს. ერთ-ერთ ვარიანტად, შესაძლოა, განხილული იყოს 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული ვადების დაბრუნება, რომელიც ითვალისწინებდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას მაქსიმუმ 6 თვის (180 დღის) ვადით და გამორიცხავდა მისი განუსაზღვრელად გაგრძელების შესაძლებლობას.
- არსებითად უნდა შემცირდეს მოქალაქისთვის მის მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეტყობინების გადავადების ხანგრძლივობა. შემცირების ერთ-ერთ ვარიანტად, შესაძლოა, განხილულ იყოს 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული ვადების დაბრუნება, რომელიც შეტყობინების გადავადებას უშვებდა მაქსიმუმ 36 თვით და გამორიცხავდა განუსაზღვრელად გადავადების შესაძლებლობას.
- კანონმდებლობით უნდა გაიწეროს გაიწეროს მოქალაქისთვის მის მიმართ განხორციელებული თვალთვალის შეტყობინების პროცედურა. კერძოდ, კანონმდებლობით უნდა დაზუსტდეს შეტყობინების ფორმა და ინფორმაცია, რომელიც ამ დროს მოქალაქეს მიენოდება. შეტყობინების დროს მოქალაქეს ასევე უნდა განემართოს ღონისძიების გასაჩივრების უფლება.
- შეტყობინებიდან ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გასაჩივრებისთვის დღეს არსებული 48 საათიანი ვადა უნდა გაიზარდოს, რათა მოქალაქემ შეძლოს საჩივრის უფრო ხარისხიანად და დასაბუთებულად მომზადება. ამავდროულად, შეტყობინება უნდა იყოს ინფორმაციული (რა საფუძვლებით მიმდინარეობდა თვალთვალი, რა ტიპის ინფორმაცია იყო მის შედეგად მოპოვებული), რათა მოქალაქემ ეფექტიანად შეძლოს ამ ღონისძიების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე სამართლებრივი დავა.
- აუცილებელია, გადაიხედოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არსებული მონაცემები და გატარდეს სტრუქტურული რეფორმა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს დეპარტამენტებს შორის კომპეტენციათა დუბლირე-

ბა. რეფორმის შედეგად, სუს-ის ერთსა და იმავე დეპარტამენტს ერთდროულად არ ჰქონდეს კონტრდაზვერვითი და საგამოძიებო ფუნქციები.

- კანონმდებლობით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის სხვა უწყებისთვის გადაცემის საფუძვლები და პროცედურა, რათა ინფორმაციის მიმოცვლის შესაძლებლობა უწყებებმა არ გამოიყენონ ბოროტად. ინფორმაციის გაცვლის პროცესზე აუცილებელია გარე კონტროლის მექანიზმის არსებობა.
- ნაცვლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა, კანონის დონეზე უნდა განისაზღვროს იმ სპეციალური სამსახურების ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება, რათა გამოირიცხოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ამ ფუნქციის თვითნებურად მინიჭება ისეთი სამსახურისთვის, რომლის მანდატშიც ბუნებრივად არ ჯდება ეს.
- ნაცვლად ერთისა, ზედამხედველ მოსამართლედ უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ყველა ან რამდენიმე მოსამართლე, რომლებიც როტაციის პრინციპით განიხილავენ სპეციალური სამსახურების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს და გადანყვეტენ ნებართვის გაცემის საკითხს. ეს დააზღვევდა მოსამართლის სავარაუდო მიკერძოებულობას სპეციალური სამსახურების არგუმენტების მიმართ.
- ზედამხედველი მოსამართლე უნდა დაინიშნოს არა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად, არამედ უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადანყვეტილებით, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციასაც უზენაეს სასამართლოში მსგავსი მნიშვნელობის საკადრო გადანყვეტილებების მიღება წარმოადგენს (როგორებიცაა, პალატების შემადგენლობების განსაზღვრა, საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლის დანიშვნა, დიდი პალატის შემადგენლობის განსაზღვრა და სხვა).
- კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში გამოყენებად ყველა ისეთ ღონისძიებაზე, რომელიც იწვევს ადამიანის ძირითად უფლებებში და თავისუფლებებში ჩარევას, უნდა გავრცელდეს უზენაესი სასამართლოს კონტროლი.
- ვინაიდან კონტრდაზვერვითი საქმიანობის საფუძვლები შეიძლება იყოს აბსტრაქტული და ზოგადი, უფლებების მზღუდავ ღონისძიებებზე ნებართვის გაცემისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად საკმარისია

უშიშროების აბსტრაქტულ საფრთხეზე მითითებით პირის უფლებების შეზღუდვა.

- მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს მოსამართლის როლი ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების შეწყვეტისას. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური სამსახურისგან მიღებული შუალედური ოქმით დასტურდება, რომ შესრულებულია მოსამართლის ბრძანებით განსაზღვრული კონტრდაზვერვითი ამოცანა, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება თავად შეწყვიტოს ღონისძიების მიმდინარეობა და არ დაელოდოს სპეციალური სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებას.
- კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს სპეციალური ღონისძიების მიმდინარეობის არამხოლოდ მინიმალურ 90-დღიან, არამედ სრული ციკლის მაქსიმალურ ვადასაც. უნდა შემცირდეს ნებართვის ერთჯერადად გახანგრძლივების მაქსიმალური (12 თვემდე) ვადა, ხოლო, ამის პარალელურად, დაკონკრეტდეს რამდენჯერ შეუძლია სპეციალურ სამსახურს ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება (სრული ციკლის მაქსიმალური ვადა). წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით, ნებართვის ვადა შესაძლოა განუსაზღვრელად გაგრძელდეს მანამ, სანამ არ დადგება ღონისძიების შეწყვეტის სხვა საფუძველი.
- პირის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ წერილობითი შეტყობინების შესახებ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს არა სპეციალური სამსახურის უფროსი, არამედ ზედამხედველი მოსამართლე. მოსამართლემ, ყოველ ჯერზე, უნდა შეაფასოს რამდენად აღემატება სპეციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილი უსაფრთხოების არგუმენტი პირის ინფორმირების უფლებრივ ინტერესს.
- ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, საერთო სასამართლოების მოქმედი მოსამართლეებისა და მოსამართლეობის კანდიდატებისთვის უნდა შეიქმნას სავალდებულო სასწავლო მოდული, რომელიც მოიცავს თვალთვალის ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი, ტექნოლოგიური და პოლიტიკური თავისებურებების შესახებ ინფორმაციას, საუკეთესო პრაქტიკასა და საერთაშორისო სტანდარტებს.

## საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

- საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა მოამზადოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის წარმოების მეთოდოლოგია.
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ნედლი მონაცემი სტატისტიკურად უნდა დამუშავდეს. მათ შორის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, მოსამართლეებისა და იმუნიტეტის მქონე პირების მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ახლა ყოველგვარი საფუძვლის გარეშეა დასაიდუმლოებული. უზენაესმა სასამართლომ უნდა გამოაქვეყნოს დეტალური და სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებას მისცემს რეალურ შესაძლებლობას, რომ წარმოდგენა შეეძინან ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებასთან დაკავშირებულ რაოდენობრივ ტენდენციებზე.
- სხვა სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, სავალდებულოდ უნდა ქვეყნდებოდეს ინფორმაცია, თუ რამდენ მოქალაქეს ეცნობა მასზე განხორციელებული თვალთვალის შესახებ და რამდენმა მათგანმა გაასაჩივრა ეს ღონისძიება. ასევე, რა შედეგით დასრულდა დავა.
- უნდა გამოქვეყნდეს ანალიტიკური ანგარიშები, რომლებიც შეგროვებულ და დამუშავებულ სტატისტიკურ მონაცემებს დაეყრდნობა და დაახასიათებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებისა და მათზე სასამართლო ზედამხედველობის ტენდენციებს.
- უზენაესმა სასამართლომ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უნდა გაასაჯაროონ სრულყოფილი სტატისტიკა კონტრდაზვერვითი მიზნებით ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. მათ შორის, დაამუშავონ არამხოლოდ ნებართვების დაკმაყოფილების მაჩვენებელი, არამედ ერთი ბრძანებით თვალთვალს დაქვემდებარებული პირების რაოდენობაც. მსგავსი მიდგომით საზოგადოებას შეეძინებოდა ზოგადი წარმოდგენა კონტრდაზვერვითი საქმიანობის მასშტაბებზე, რაც არ დააზიანებდა სახელმწიფო ინტერესებს ან კონტრდაზვერვის მიზნებს.



